

თეიმურაზ გვანცელაძე

**აფხაზური და ქართული ენების
შემსწავლელთათვის**

1

Теимураз Гванцелазе

**Афшәеи акыртшәеи рцара
зтаху рзы**

ИУНЕСКО
ИУНЕСКО АУСҚА ҚЫРҒЫЗСТАН АМИЛЕТТЭ
КОМИССИА
ҚЫРҒЫЗСТАН АНАУКАҚА РАКАДЕМИА
АРН. ЧИҚОБАВА ИХЫЗ ЗХУ АБЫШАДЫРРАТЭ
ИНСТИТУТ

ТЕИМУРАЗ ГВАНЦЕЛАЗЕ

АҒСШӘИ АҚЫРҒЫЗӘИ АТҚАРА ЗТАХУ РЫ

АКТӘИ АТОМ

АҒСУА БЫША АГРАММАТИКАТЭ ОЧЕРК
АҒСУА-ҚЫРҒЫЗӘИ АЖӘР

Аредактор — акад. **ҚеҒеван ЛомҒаҒизе**

АшәкәыҒыжыҒырта "Қартули Ена"

АшәкәыҒыжыҒырта "Интелеқти"

Қарт

2003

იუნესკო
საქართველოს რესპუბლიკის იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თეიმურაზ გვანცელაძე

აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის

პირველი ტომი

აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა
აფხაზურ-ქართული ლექსიკონი

რედაქტორი — აკად. **ქეთევან ლომთათიძე**

გამომცემლობა „ქართული ენა“

გამომცემლობა „ინტელექტი“

თბილისი

2003

UNESCO
GEORGIAN NATIONAL COMMISSION FOR UNESCO
ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS AT THE
ACADEMY OF SCIENCE OF REPUBLIC OF GEORGIA

TEIMURAZ GVANTSSELADZE

**ABKHAZIAN AND GEORGIAN LANGUAGES
FOR THE LEARNERS**

VOLUME I

ABKHAZIAN GRAMMAR MANUAL
ABKHAZIAN-GEORGIAN DICTIONARY

Editor — academician KETEVAN LOMTATIDZE

"Kartuli Ena"

"Intelekti"

Tbilisi

2003

ЮНЕСКО
НАЦИОНАЛЬНАЯ КОМИССИЯ ПО ДЕЛАМ ЮНЕСКО
РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ. АРН. ЧИКОБАВА
АН ГРУЗИИ

ТЕЙМУРАЗ ГВАНЦЕЛАДЗЕ

**ДЛЯ ИЗУЧАЮЩИХ АБХАЗСКОГО
И ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКОВ**

ТОМ ПЕРВЫЙ

ГРАММАТИЧЕСКИЙ ОЧЕРК АБХАЗСКОГО ЯЗЫКА
АБХАЗСКО-ГРУЗИНСКИЙ СЛОВАРЬ

Редактор — акад. **Кетеван Ломтатидзе**

Издательство "Картули Эна"

Издательство "Интеллект"

Тбилиси

2003

ნაშრომის პირველი ტომი შედგება ქართულ ენაზე დაწერილი აფხაზური ენის მოკლე გრამატიკული ნარკვევისა და აფხაზურ-ქართული ლექსიკონისაგან (ლექსიკონში შედის დაახლოებით 3300 სიტყვა). წიგნი დახმარებას გაუწევს, ერთი მხრივ, აფხაზური ენის შესწავლის მსურველ ქართველ მკითხველს, მეორე მხრივ, ქართული ენის შესწავლის მსურველ აფხაზ მკითხველს.

Аусумта актәи атом шыақәгылоуп қыртышәала иџу аџсуа бызшәа иааркьаџу аграмматикатә очерки аџсуа-қыртџуатә ажәари рыла (ажәар иалоуп 3300-қа ажәак). Ашәжәы ацхь-раара рнәтап, ганкахь ала, аџсшәа ацара зџаху ақыртџа ҟхьаџцәа, даҟәа ганк ала, ақыртшәа ацара зџаху аџсуа ҟхьаџцәа.

© თეიმურაზ გვანცელაძე

© გამომცემლობა „ქართული ენა“

© გამომცემლობა „ინტელექტი“

ISBN 99940-718-8-2

ავტორისაგან

ორი ტომისაგან შემდგარი წინამდებარე ნაშრომი დაიწერა და ქვეყნდება იუნესკოს ეგიდით (კონტრაქტი № 4500005265). ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში.

ნაშრომის პირველ ტომში შედის ქართულ ენაზე დაწერილი აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა და მცირე აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, მეორე ტომში კი წარმოდგენილია აფხაზურ ენაზე დაწერილი ქართული ენის გრამატიკული მიმოხილვა და მცირე ქართულ-აფხაზური ლექსიკონი. ნაშრომი განკუთვნილია, ერთი მხრივ, იმ ქართველი მკითხველისათვის, ვისაც სურს შეისწავლოს აფხაზური ენა, მეორე მხრივ, იმ აფხაზი მკითხველისათვის, ვისაც სურს ქართული ენის შესწავლა. ავტორს სწამს, რომ ასეთი მკითხველები არცთუ ისე ცოტანი იქნებიან და ეს ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს მათ.

წინამდებარე ნაშრომი არის როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული ხასიათისა, ამიტომ აფხაზური და ქართული ენების გრამატიკულ მიმოხილვებში არ შევხებვართ იმ სადავო საკითხებს, რომელთა შესახებაც სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ამავე მიზეზის გამო შევეცადეთ რთული და სპეციფიკური ლინგვისტური საკითხები მარტივი ტერმინოლოგიით გაგვეშუქებინა.

ნაშრომში შესული ოთხი ნაწილიდან **სამი საერთოდ პირველად არის შესრულებული**, კერძოდ, დღემდე არასოდეს დაწერილა და გამოცემულა აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა ქართულ ენაზე, ქართული ენის გრამატიკული მიმოხილვა აფხაზურ ენაზე და ქართულ-აფხაზური ლექსიკონი. რაც შეეხება აფხაზურ-ქართულ ლექსიკონს, ასეთი ლექსიკონი პირველად შეადგინა და 1954 წელს გამოსცა სოხუმში მოღვაწე ქართველმა ლინგვისტმა **ბაგრატ ჭანაშიამ**. მეორედ დიდი აფხაზურ-ქართული ლექსიკონი შეადგინა აფხაზმა ენათმეცნიერმა **ვლადიმერ კასლანძიამ** XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, მაგ-

რამ შემდგომ აფხაზეთში მომხდარმა მოვლენებმა ხელი შეუშალა ამ მართლაც ფუნდამენტური წიგნის გამოქვეყნებას. მესამედ მცირე აფხა-ზურ-ქართული ლექსიკონი ჩვენ შევადგინეთ და გამოვეცით 2000 წელს, რომელიც გარკვეული ცვლილებებით შევიდა წინამდებარე კრებულში.

ნაშრომზე მუშაობისას ყოველნაირად ხელს გვიწყობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექცია, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ **გუჩა კვარაცხელიას** და ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, პროფესორ **ვაჟა შენგელიას**, აგრეთვე აფხაზური ენის უდიდეს მკვლევარს, აკადემიკოს **ქეთევან ლომთათიძეს**.

Автор ижнэтэ

Q-томкны ишыақэгылоу абри аусумта иагъоуп иагътыжьхоит ИУНЕСКО аегидала (аконтракт №4500005265). Уи нагзоуп Қыртдэылатэи Анаукақэа ракадемиа Арнолд Чиқобава ихъыз зху Абызшэадырратэ институт акавказтэ бызшэақэа акэшафы.

Аусумта актэи атом шыақэгылоуп қыртшэала иоу ағысуа бызшэа аграмматикатэ очерки ағысуа-қыртуатэ иааркыағыу ажэари рыла, аобатэи атом — ағысышэала иоу ақыртуа бызшэа аграмматикатэ очерки ақыртуа-ағысуатэ ажэари рыла. Аусумта рызкуп, ганкахь ала, ағысшэа ацара зтаху ақыртуа пыхьаоцэа, даға ганк ала, ақыртшэа ацара зтаху ағысуа пыхьаоцэа. Хгэы иаанагоит арт иреипышу ағыхьаоцэа имачны иыказам хэа. Ари аусумта урт зегы ацхыраара ду рнагоит.

Ари аусумта анаукатэ қазшы мацара амазам, уи апрактикатэ пақы (хықэқы) амоуп, абри акнытэ ағысшэеи ақыртшэеи аграмматикатэ очеркқэа рғы ишытыхзам аспециалтэ литературағы еимактэуп хэа ипыхьазоу азпаарақэа. Иара уи амрыз иахкьаны иуадаоу, испецификатэу азпаарақэа имариоу терминологиала хьахцэажэоит.

Аусумта иалоу пшы-хэдак рахьтэ хьа **рапхьаза иоуп**, хьызхэала, уажэраанза ихьамазамызт қыртшэала иоыз ағысуа бызшэа аграмматикатэ очерки, ақыртуа-ағысуатэ ажэари, ағысышэала иоыз ақыртуа бызшэа аграмматикатэ очерки. Ағысуа-қыртуатэ ажэарқэа ракэзар, рапхьазатэи ағысуа-қыртуатэ ажэар еиқэиршэаны 1954 шықэсазы итижыит Акэа инхоз ақыртуа лингвист **Баграт Цьанашьиа**. А-XX-тэи ашэышықэса а-80-тэи ашықэсқэа рынцэамтазы ағысуа-қыртуатэ ажэар ду еиқэиршэеит ағысуа лингвист **Владимир Касланзиа**, аха нас икалаз ахтысқэа "рыбзоурала" ари ифундаменттэу ашэжэы трымжыыит. Ахьатэи ағысуа-қыртуатэ иааркыағыу ажэар еиқэахаршэны итхажыит хара 2000 шықэсазы.

Ари аусумта афраан ацхыраара зегы рыла хартон Қыртдэылатэи Анаукақэа ракадемиа Арн. Чиқобава ихъыз зху Абызшэадырратэ ин-

институт адирекция, убри ақнытэ гэык-гьсык ала итабун хэа рахдхэоит
Аинститут адиректор, Қыртгэылатэи Анаукақэа ракадемия ачлен-
корреспондент, апрофессор **Гуча Кварацхелиа**, адиректор ихатды-
гьуафы, апрофессор **Важа Шенгелиа**, иара убас агьсуа бызшэа идуззоу
атцаафы, академик **Кетеван Ломтатизе**.

От автора

Настоящий двухтомник написан и опубликован под егидой ЮНЕСКО (контракт №4500005265). Работа выполнена в отделе кавказских языков Института языкознания им. Арн. Чикобава АН Грузии.

В первом томе работы входят грамматический очерк абхазского языка, написанный на грузинском языке и краткий абхазско-грузинский словарь, во втором же томе — грамматический очерк грузинского языка, написанный на абхазском языке и краткий грузинско-абхазский словарь. Работа предназначена, с одной стороны, для грузинских читателей, желающих изучить абхазский язык, а с другой стороны — для абхазских читателей, желающих изучить грузинский язык. Автор уверен, что таких читателей окажется не мало и работа окажет им большую услугу.

Предлежащая работа имеет как чисто научные, так и практические цели, поэтому в грамматических очерках абхазского и грузинского языков мы не затрагиваем те спорные вопросы, по которым в специальной литературе имеются разногласия. По тем же причинам мы постарались освещать сложные и специфические лингвистические вопросы с использованием простой терминологии.

Из четырех частей работы три выполнены **впервые**, а именно, до настоящего времени никем еще не написаны и не изданы грамматический очерк абхазского языка на грузинском языке, грамматический очерк грузинского языка на абхазском языке и грузинско-абхазский словарь. Что же касается абхазско-грузинского словаря, то такой словарь впервые был составлен и издан в 1954 году грузинским лингвистом, уроженцем Абхазии **Баграмом Джанашиа**. К концу 80-х годов XX века большой абхазско-грузинский словарь был составлен абхазским лингвистом **Владимиром Касландзиа**, однако последовавшие после события в Абхазии помешали изданию этой фундаментальной книги. Третий по счету краткий абхазско-грузинский словарь был составлен и

издан нами в 2000 году.

Во время работы над двухтомником нам всячески помогала дирекция Института языкознания им. Арн. Чикобава АН Грузии, за что выражаем сердечную благодарность директору Института, члену-корреспонденту АН Грузии, профессору **Г. Ш. Кварацхелиа**, заместителю директора, профессору **В. Г. Шенгелиа**, величайшему исследователю абхазского языка, академику **К. В. Ломтатидзе**.

Preface

This work consisting of two volumes is published according to UNESCO project (contract № 4500005265). The work has been done in the Department of Caucasian languages of Arn. Chikobava Institute of Linguistics at the Academy of Science of Republic of Georgia.

The first volume contains the grammar survey of the Abkhazian language in Georgian and brief Abkhazian-Georgian dictionary. The second volume consists of the grammar survey of the Georgian language in Abkhazian and brief Georgian-Abkhazian dictionary. The work is designed for the Georgian readers wishing to study Abkhazian and for the Abkhazians wishing to study Georgian. The author hopes that the number of such readers is large and the work will help them.

The work is not purely academic, it has practical aims as well. Thus, controversial questions concerning the survey of Georgian and Abkhazian grammar are avoided. The complicated and specific themes are explained in simple, comprehensive way.

The three of the four existing chapters of the work are elaborated for the first time. No survey has been made or published about Abkhazian grammar in Georgian or Georgian grammar in Abkhazian and there has been no Georgian-Abkhazian dictionary yet. As for Abkhazian-Georgian dictionary, it was first compiled and published in 1954 by **Bagrat Janashia**, Georgian linguist working in Sukhumi. The second person to compile the Abkhazian-Georgian dictionary was **Vladimir Kaslandzia**, Abkhazian linguist, although the publication of this fundamental work failed due to the tard political background of 1980-s. The third person to compile and publish the brief Abkhazian-Georgian dictionary in 2000 is the author of these lines.

The work process was assisted by Professor **Gucha Kvaratskhelia**, the director of Arn. Chikobava Institute of Linguistics and Professor **Vazha Shengelia**, the deputy of director. We'd like to thank sincerely the great specialist of the Abkhazian language academician **Ketevan Lomtadze**.

**აფხაზური ანბანი, მისი ქართული სამეცნიერო ტრანსკრიფცია
და ტრანსლიტერაცია**

**Афсуа нбани, уи ақыртуатә наукатә транскрипциен,
транслитерациен**

აფხაზური ანბანი	ქართული ტრანსკრიფცია	ქართული ტრანსლიტერაცია	აფხაზური ანბანი	ქართული ტრანსკრიფცია	ქართული ტრანსლიტერაცია
афсуа нбан	ақыртуатә транскрипция	ақыртуатә транслитерация	афсуа нбан	ақыртуатә транскрипция	ақыртуатә транслитерация
А а	ა	ა	Кә кә	კი	კჷლკვ
Б б	ბ	ბ	К, к,	ქ	ქ
В в	ვ	ვ	Кь, кь	ქ̣	ქაქი
Г г	გ	გ	Кә, кә	ქი	ქჷლქვ
Гь гь	გ̣	გაქგი	К к	ყ	ყ
Гә гә	გი	გჷლგვ	Кь, кь	ყ̣	ყაყი
ҥ ҥ	ღ	ღ	Кә, кә	ყი	ყჷლყვ
ҥь ҥь	ღ̣	ღაქლი	Л л	ლ	ლ
ҥә ҥә	ღი	ღჷლღვ	М м	მ	მ
Д д	დ	დ	Н н	ნ	ნ
Дә дә	დი	დჷლღვ	О о	ო	ო
Е е	ე	ე	П п	პ	პ
Ж ж	ჟ	მაგარი ჟ	Пь, пь	ფ	ფ
Жь жь	ჟ̣	რბილი ჟ	Р р	რ	რ
Жә жә	ჟი	ჟვ	С с	ს	ს
З з	ზ	ზ	Т т	ტ	ტ
Зз	ძ	ძ	Тә, тә	ტი	ტიჷლტივ
Зә зә	ძი	ძვ	Т, т	თ	თ
И и	ი	ი	Тә, тә	თი	თჷლთვ
К к	კ	კ	У у	ჷლუ	ჷლუ
Кь, кь	კ̣	კაქკი	Ф ф	ფ	ფ

X x	ხ	ხ	ჯ ჯ	ჭ	მაგარი ჭ
Xь xь	ხ̄	ხჲ ნი	Ш ш	შ	მაგარი შ
Xә xә	ხო	ხჲ ხვ	Шь шь	შ	რბილი შ
X, x,	ჰ	ჰ	Шә шә	ში	შვ
X,ә x,ә	ჰი	ჰჲ ჰვ	Ы ы	ღ	რუს.Ы,
Ц ц	ც	ც			ინგლის. ა,
Цә цә	ცი	ცვ			თურქ. 1
Ц ц	წ	წ	Q q	ჰ	ვე ღუ
Цә цә	წი	წვ	Ц ц	ჰ	მაგარი ჰ
Ч ч	ჩ	რბილი ჩ	Чь чь	ჭ	რბილი ჭ
Ч, ч,	ჭ	რბილი ჭ	ь	~	—
Ѹ Ѹ	ჩ	მაგარი ჩ	ә	ო	—

Ақыртүа нбани уи аҕсуатә транскрипциен

ქართული ანბანი და მისი აფხაზური ტრანსკრიფცია

აკყრტუა ნბან ქართული ანბანი	აҕсуатә транскрипция აფხაზური ტრანსკრი- ფცია	აკყრტუა ნბან ქართული ანბანი	აҕсуатә транскრი- პცია აფხაზური ტრანსკრიფცია
ა	А а	ს	С с
ბ	Б б	ტ	Т т
გ	Г г	უ	У у уы
დ	Д д	ფ	Ф ф
ე	Е е	ქ	К к
ვ	В в	ლ	Л л
ზ	З з	ყ	Қ қ
თ	Т т	შ	Ш шь
ი	И и иы	ჩ	Ч ч
კ	К к	ც	Ц ц
ლ	Л л	ძ	З з
მ	М м	წ	Ц ц
ნ	Н н	ჭ	Ч ч
ო	О о	ხ	Х х
პ	П п	ჯ	Ц ц
ჟ	Ж жь	ჰ	Х х
რ	Р р		

პირველი ნაწილი
აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა

АКТӘИ АХӘҢА
АҞСУА БЫЗШӘА АГРАММАТИКАТӘ ОЧЕРК

შესავალი

აფხაზური ენა (аԥсуа бызшәа, аԥсшәа) შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩრდილო-დასავლურ ანუ აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ჯგუფში აბაზურ, ყაბარდოულ, ადიღეურ და უბიხურ ენებთან ერთად. ამ ენათაგან აფხაზური ყველაზე ახლოს დგას აბაზურთან, რომელთანაც მას იმდენი და იმგვარი საერთო ნიშნები მოეპოვება, რომ წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით შესაძლებელია ამ ორი ერთეულის ერთ ენად მიჩნევა (ასევე ფაქტობრივად ერთი და იმავე ენის, ჩერქეზული ენის ვარიანტებია ყაბარდოული და ადიღეურიც).

აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე აფხაზები ამჟამად ორ დიდ კომპაქტურ ჯგუფად ცხოვრობენ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აფხაზთა მცირე ჯგუფი ცხოვრობს აგრეთვე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ქალაქ ბათუმსა და მის ახლომდებარე სოფლებში). აფხაზთა გაცილებით დიდი რაოდენობა ბინადრობს თურქეთში, მცირე ჯგუფი სახლობს სირიაშიც. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან მიგრირებული აფხაზები გაფანტულნი არიან რუსეთის ფედერაციასა და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, ხოლო თურქეთიდან მიგრირებულნი — დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში (ყველაზე მეტნი გერმანიაში ცხოვრობენ).

აფხაზურ ენას ორი ძირითადი დიალექტი აქვს: **აბჟუური** და **ბზიფური**. მათ შორის სხვაობას ძირითადად ფონემატური სტრუქტურა (ბზიფურ დიალექტში 9 ფონემით მეტია წარმოდგენილი, ვიდრე აბჟუურს მოეპოვება), ფონეტიკური პროცესები, მცირედი მორფოლოგიური თავისებურება და ლექსიკა ქმნის. დასახელებული ორი დიალექტის გარდა ცალკე გამოყოფენ ბათუმელ აფხაზთა მეტყველებასაც, რომელიც ნარევი ხასიათისაა. რაც შეეხება თურქეთსა და სირიაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებას, იგი ჯერჯერობით სამეცნიერო თვალსაზრისით სუსტადაა შესწავლილი და არ მოიპოვება ზუსტი ცნობები ამ მეტყვე-

ლების დიალექტური დაყოფის შესახებ.

აბჟუური დიალექტი, რომელიც გავრცელებულია ოჩამჩირის რაიონში, კილოკაური თვალსაზრისით ძირითადად ერთგვაროვანია, ბზიფურ დიალექტში კი, რომელიც გუდაუთის რაიონშია გავრცელებული, აკად. ქ. ლომთათიძის კლასიფიკაციით, სამი კილოკავი გამოიყოფა: **ოთჰარისა, ლიხნისა** და **ააცისა**. სხვაობას ამ კილოკავეებს შორის სხვაობას ქმნის ბზიფური დიალექტისათვის სპეციფიკურ სისინ-შიშინა თანხმოვანთა და ხახისმიერ სპირანტთა მეტ-ნაკლები დაცულობა. ამ თვალსაზრისით ყველაზე რთული ოთჰარის კილოკავია, რომელმაც ბოლო დრომდე შემოინახა ბზიფური დიალექტისათვის დამახასიათებელი ყველა, ცხრავე სპეციფიკური ფონემა, ყველაზე მარტივია ააცის კილოკავი, ხოლო ლიხნის კილოკავი გარდამავალია ოთჰარისა და ააცის კილოკავეებს შორის.

აფხაზური ენისათვის დამწერლობის შექმნის პირველი ცდა რუსი კავკასიოლოგის, გენერალ პ. უსლარის მიერ 1862 წელს შედგენილი ანბანი იყო. პირველი საანბანო წიგნი გამოიცა თბილისში 1865 წელს, რომელიც რუსული გრაფიკის საფუძველზე შეადგინა აფხაზური ანბანის შემქმნელმა კომისიამ გენერალ ი. ბართოლომეის ხელმძღვანელობით დ. ფურცელაძისა და ვ. ტრიროგოვის შემადგენლობით. შემდგომში აფხაზურმა ანბანმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი ანბანის რამდენიმე სახეობა იხმარებოდა 1926 წლამდე, 1926-1938 წლებში გამოიყენებოდა ჯერ აკად. ნ. მარის მიერ შედგენილი ე. წ. ანალიზური ანბანი ლათინური ანბანის საფუძველზე, ხოლო შემდეგ ნ. იაკოვლევის მიერ ლათინურ გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანი. 1938-1954 წლებში იხმარებოდა ქართულ გრაფიკაზე დამყარებული ანბანი, ხოლო 1954 წლიდან დღემდე მოქმედებს ისევ რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ანბანი.

აფხაზური სამწერლობო ენა თავიდან ფონეტიკურ-ფონოლოგიურად უფრო რთულ ბზიფურ დიალექტს ემყარებოდა, მაგრამ შემდგომში მოხდა უფრო მარტივ აბჟუურ დიალექტზე თანდათანობითი გადასვლა.

ორიგინალური აფხაზური ლიტერატურა სათავეს იღებს 1912 წლიდან, როცა თბილისში დაიბეჭდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას ნაწარმოებთა პირველი კრებული. მანამდე აფხაზურ ენაზე იბეჭდებოდა მხოლოდ თარგმნილი სასულიერო და სამეურნეო ხასიათის წიგნები.

ამჟამად აფხაზურ ენაზე არსებობს და ვითარდება ლიტერატურა, ქვეყნდება გამოკვლევები მეცნიერების თითქმის ყველა დარგში, მიმდინარეობს სწავლება სკოლასა და უნივერსიტეტში, არსებობს სახელმწიფო თეატრი, გამოდის ჟურნალ-გაზეთები, ეწყობა რადიო და ტელეგადაცემები და ა. შ. აფხაზურ ენაზე თარგმნილია მსოფლიო ლიტერატურის მრავალი კლასიკური ნაწარმოები. საკმაოდ სრულად არის თარგმნილი ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურაც „შუშანიკის წამებიდან“ დაწყებული, ვიდრე თანამედროვე ავტორებამდე. მაგალითად, აფხაზურ ენაზე არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ ორი სრული პოეტური, აგრეთვე მოკლე პროზაული თარგმანები...

აფხაზური ენის კვლევის მოკლე ისტორია

ცალკეული აფხაზური სიტყვები და ფრაზები სხვადასხვა დროს ჩაუწერიათ თურქ მოგზაურს ევლია ჩელების (XVII საუკუნე), ფრანგ ვაჭარსა და მოგზაურს ჟან გამბას (XIX საუკუნის I ნახევარი) და სხვებს, მაგრამ მათ ჩანაწერებს სიზუსტე აკლია, რადგან აფხაზური მასალის ჩასაწერად იყენებდნენ არაბულ და ლათინურ ანბანებს ყოველგვარი დამატებითი ნიშნების გარეშე, რაც არ იძლეოდა საშუალებას სრულად ასახულიყო აფხაზური ენის ფონემატური სიმდიდრე.

აფხაზური ენის პირველი მოკლე მეცნიერული აღწერა მოცემულია გერმანელი ენათმეცნიერის გეორგ როზენის ნაშრომში "Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische", რომელიც ბერლინში დაიბეჭდა 1846 წელს. გ. როზენს ამ ნაშრომში მრავალი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული, თუმც

აქა-იქ შეცდომებიც გაჰპარვია.

აფხაზური ენის პირველი სრული გრამატიკული აღწერა ეკუთვნის პეტრე უსლარს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის მრავალი იბერიულ-კავკასიური ენის შესწავლის საქმეში. პ. უსლარის მონოგრაფიას "Этнография Кавказа. Языкознание. I. Абхазский язык", რომელიც თბილისში გამოქვეყნდა ლითოგრაფიული წესით 1862 წელს, ხოლო ხელმეორედ დაიბეჭდა 1887 წელს, დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. ამ წიგნში ვრცლად არის აღწერილი აფხაზური ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემა, სახელისა და ზმნის მორფოლოგია, მოცემულია ცალკეულ სიტყვათა ეტიმოლოგია და ერთვის მოკლე ლექსიკონი. პირველად სწორედ პ. უსლარმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ აფხაზური ენა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს კავკასიის მრავალ ადგილობრივ ენასთან, მათ შორის ქართულთან. პ. უსლარმა ამ ენათა ნათესაობის დასაბუთებაც სცადა რამდენიმე საერთოკავკასიური ფუძის მაგალითზე.

აფხაზური ენის ქართულთან ნათესაობის პრობლემას ეძღვნება ცნობილი ქართველი პედაგოგისა და მეცნიერის პეტრე ჭარაიას გამოკვლევა "Об отношении абхазского языка к яфетическим" (პეტერბურგი, 1912 წ.), რომელშიც ბევრი საყურადღებო საკითხია დასმული და წარმატებით გადაჭრილი. ავტორს მრავალი საერთო ფუძე აქვს დაძებნილი, რომლებიც ნათელყოფენ, რომ აფხაზური და ქართული ენები ახლომონათესავე ენებია. საზოგადოდ, პ. ჭარაიას დიდი ღვაწლი მიუძღვის არამარტო აფხაზური ენის, არამედ აფხაზური ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეშიც. მან პირველმა გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ (1888 წ.) აფხაზური ანდაზები ქართული თარგმანითურთ, აქვეყნებდა წერილებს, რომლებშიც უშუალოდ დამკვირვებლის თვალით არის აღწერილი უძველესი აფხაზური ადათ-წესები და რწმენა-წარმოდგენები.

სწორედ პ. ჭარაიას ნაშრომმა აღუძრა ინტერესი აფხაზური ენისადმი აკად. ნიკო მარს, რომელმაც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ყველაზე მეტი ნაშრომი ამ ენის კვლევის საკითხებს უძღვნა (იხ. მისი

აფხაზური ენისა და ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომების კრებული "О языке и истории абхазов", М.-Л., 1938 წ.).

აფხაზური ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა ეკუთვნის ცნობილ გერმანელ კავკასილოგს ადოლფ ღირს. ეს მიმოხილვა შესულია კავკასიურ ენათა კვლევის საკითხებისადმი მიძღვნილ მის განმაზოგადებელ ნაშრომში "Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen" (ლაიფციგი, 1928 წ.).

აფხაზური ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავდა ანატოლი გენკო აბაზურ ენასთან მიმართებით.

ქართველ მკვლევართაგან პ. ჭარაიას შემდეგ წარმატებით იკვლევდა აფხაზური ენის საკითხებს ცნობილი ისტორიკოსი და ენათმეცნიერი, აკად. სიმონ ჯანაშია. მასვე აქვს ჩაწერილი მრავალი საყურადღებო ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ტექსტი (იხ. მისი „შრომები“, ტ. III, IV, V, VI).

შემდგომში აფხაზური ენის შესწავლის საქმე განაგრძო ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა, აკად. ქეთევან ლომთათიძემ, რომელიც 30-იანი წლებიდან მოკიდებული დღემდე ნაყოფიერად იკვლევს ამ ენის ურთულეს საკითხებს. არ არსებობს აფხაზური ენის არცერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, ქ. ლომთათიძეს რომ არ გამოეთქვას მის შესახებ საყურადღებო მოსაზრება. თუ დღეს აფხაზური ენა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ერთ-ერთ ყველაზე უკეთ შესწავლილ ენად ითვლება, ეს სწორედ ქ. ლომთათიძის მრავალრიცხოვანი ნაშრომების შედეგად არის.

უცხოელ მკვლევართაგან საგანგებო აღნიშვნის ღირსია ფრანგი კავკასიოლოგის ჟორჟ დიუმეზილის დიდი დამსახურება აფხაზური ენის კვლევის საქმეში. მისი წყალობით მეცნიერთათვის ხელმისაწვდომი გახდა თურქეთში მცხოვრებ აფხაზთაგან ჩაწერილი საყურადღებო ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ტექსტები.

აფხაზურ ენას დიდი წარმატებით იკვლევენ აფხაზი მეცნიერებიც. აფხაზური ენის კვლევა აფხაზეთში დიმიტრი გულიამ დაიწყო, რომელმაც რამდენიმე საყურადღებო ნაშრომიც შექმნა ამ დარგში. აფხაზ

მკვლევართა ნაშრომები ეხება აფხაზური ენის ფონეტიკა-ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს, ლექსიკას, ლექსიკოგრაფიას, დიალექტოლოგიასა და სხვა კარდინალურ საკითხებს. ისინი გამოსაცემად ამზადდებენ დარგობრივ, თარგმნით და განმარტებით ლექსიკონებს. დიდი ყურადღება ექცევა სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის საკითხებსაც. აფხაზური ენის კვლევის დარგში საყურადღებო ნაშრომების ავტორები არიან ცნობილი აფხაზი ენათმეცნიერები, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები ლილია ჭკადუა, შოთა არისტავა, კონსტანტინე შაყრილი, ხუხუტი ბლაჟება, ვალენტინა კონჯარია, სარია ამიჭბა, ვალენტინა ამიჭბა, რაისა გუბლია, თამარ შაყრილი, ელენე შაყრილი, ნელი არშბა, ვლადიმერ კასლანძია, ტარას ჰაღბადი, ოთარ ძიძარია, ანატოლი ხეცია, ემა კილბა, ლილი ჰაგბა, ბორის ჯონუა, ვიაჩესლავ ბგანბა... აფხაზური ენის დიალექტოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს იკვლევდა სოხუმში მოღვაწე ქართველი მეცნიერი და პოეტი მირიან ციკოლია (მირნელი).

გამოქვეყნებული ლექსიკონებიდან აღსანიშნავია ნ. მარის მოკლე „აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“, ბ. ჯანაშიას „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“, ავტორთა კოლექტივის „რუსულ-აფხაზური ლექსიკონი“, აგრეთვე დარგობრივი და ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

გამოცემულია აგრეთვე ორტომეული „აფხაზური ენის ლექსიკონი“ (I ტ. — 1986 წ., II ტ. — 1987 წ.), რომელიც ამ ენის პირველ განმარტებით ლექსიკონს წარმოადგენს.

აფხაზური ენის სისტემურ კვლევას ჩვენში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე მიექცა ყურადღება. ამ მიზნით აკად. ივ. ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა, მოეწვია აფხაზური ენის კურსის წასაკითხად პ. ჭარაია, მაგრამ ამ უკანასკნელს არ დასცალდა, გარდაიცვალა. 1922-1924 წლებში თბილისის უნივერსიტეტში ამ ენის კურსს კითხულობდა დ. გულია, შემდეგ კი 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე — აკად. ს. ჯანაშია, რომელსაც 1937 წლიდან შეენაცვლა აკად. ქ. ლომთათიძე. ქ. ლომთათიძემ აღზარდა აფხაზური ენის მრავალი

აფხაზი, ქართველი და უცხოელი სპეციალისტი. აფხაზური ენის პრაქტიკული კურსი ეკითხებოდით 80-იან წლებში აგრეთვე თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის დრამისა და კინოს მსახიობთა ფაკულტეტის აფხაზ სტუდენტებს. აფხაზურ ენას სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან მიმართებაში იკვლევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრასა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში.

უცხოეთში აფხაზურ ენას იკვლევდნენ და იკვლევენ გ. დეეტერსი, კ. ბოლდა, ვ. ალენი, ა. კუიპერსი, კ. პარი, გ. შარაშიძე, ჯ. ჰიუიტი, ა. სპრუიტი, ვ. ლუკასენი და სხვანი.

2000 წლიდან აფხაზური ენის კურსი იკითხება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, 2001 წლიდან კი — ამავე უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალშიც.

თავი I. ფონეტიკა და ფონოლოგია*

1. აფხაზური ენის ბგერითი შედგენილობა

აფხაზური ენა ძალზე მდიდარია ფონემებით ანუ სიტყვათგანმასხვაველებლი და ფორმათგანმასხვაველებლი დამოუკიდებელი ბგერებით. სალიტერატურო აფხაზურ ენას ამჟამად მოეპოვება 64 ფონემა, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე ქართულ სალიტერატურო ენაში გვაქვს. აფხაზური სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით ბზიფურ დიალექტში დამატებით გამოიყენება კიდევ 9 სპეციფიკური ფონემა, ხოლო აბჟუური დიალექტის მატარებელთა უფროსი თაობის მეტყველებაში შეინიშნებოდა კიდევ ერთი თავისებური — კბილბაგისმიერი მკვეთრი სპირანტი **ƒ** ფონემა. აფხაზური სალიტერატურო ენის ფონემათა აღსანიშნავად ამჟამად მოქმედ ანბანში რუსული ანბანიდან უცვლელად არის გამოყენებული 23 ასო-ნიშანი, რუსული ანბანისავე 8 ასო-ნიშანი გარკვეული ცვლილებით აღნიშნავს აფხაზურის რვა დამოუკიდებელ ფონემას, ხოლო ხუთი ასო-ნიშანი ნასესხებია სხვა ანბანებიდან, ან გამოგონილია. აფხაზურ ანბანში თითო გრაფემით აღინიშნება 49 ფონემა, ხოლო დანარჩენი ფონემების გადმოსაცემად გამოიყენება წყვილწყვილი ნიშანი, მათგან ფონემათა ლაბიალიზაციის (ბაგისმიერობის) აღმნიშვნელია საერთაშორისო ტრანსკრიფციიდან ნასესხები **ə** ნიშანი, ხოლო ფონემის პალატალიზების (სილბოს) აღმნიშვნელია რუსული სილბოს **ь** ნიშანი. რაც შეეხება **h** და **y** გრაფემებს, ისინი ხან სრული **o** და **u** ხმოვნების აღმნიშვნელია, ხან კი **a** და **u** ნახევარხმოვნებისა.

ხმოვანი ფონემები. აფხაზურ სალიტერატურო ენას ამჟამად ყველა ის ხუთი ხმოვანი მოეპოვება, რაც ქართულ სალიტერატურო ენასა აქვს. ესენია: **a, e, h, o, y**. დამატებით აფხაზურს აქვს **ы** ხმოვანი, ანუ ე. წ. ნეიტრალური ხმოვანი. ამ ექვსი ხმოვიდან ძირითადია **a** და **ы** ხმოვნები, დანარჩენები კი დიფთონგებს წარმოადგენენ და შედარებით ახალი წარმოშობისანი არიან. მაგალითად, **e** ხმოვანი ხშირად მი-

* ნაშრომის ქვემოთ წარმოდგენილი ნაწილის წერისას ძირითადად ვემყარებოდით აკად. ქ. ლომთათიძის გამოკვლევებს.

ღებულისა **ია** ან **აი** კომპლექსებისაგან: **ეყი** ← **იაყი** „გუშინ“, **დციტ** ← **დციანტ** „იგი (აღამ.) წავიდა“... **ი** ხმოვანი მიიღება **იყი** ან **იყი** კომპლექსებისაგან: **იციტ** ← **იყციტ** „ისინი წავიდნენ“, **დისკიტ** ← **დისკიანტ** „მე იგი (აღამ.) დავიჭირე“... **ო** ხმოვანი მიიღება **ოყი** ან **ოყი** კომპლექსებისაგან: **ოყა** ← **ოყოყა** ← **ოყოყა** „ამაღამ“, **დყბიანტ** ← **დყბიანტ** „იგი (აღამ.) კარგია“... ხმოვანი **უ** მიიღება **უყი** ან **უყი** კომპლექსებისაგან: **აყატუ** ← **აყატყუ** „პატივი, პატივისცემა; ავტორიტეტი“, **ყს** ← **ყყს** „ისე“...

აფხაზური **ა** ხმოვანი დაბალი აწეულობის ვიწრო ხმოვანია, იგი ქართულ **ა** ხმოვანთან შედარებით ნაკლებ ღიაა და უფრო წინაც წარმოითქმის. გვხვდება ყველა პოზიციაში — სიტყვის თავშიც, შუაშიცა და ბოლოშიც: **აი** „დედა“, **აბ** „მამა“..., **აბას** „ასე“, **აიანყი** „ხელი“..., **აგრა** „ნაკლი“, **აბარცა** „აივანი; წინკარი“... ასევე სიტყვის ყველა პოზიციაში გვხვდება ორი **ა** ხმოვანიც: **აიანგა** „ახლოს“, **აიანდა** „ღობე“, **აბააყა** „სველი“, **აბააგაყა** „ციხე-სიმაგრე“, **აყაყა** „ტყვილი“, **აყაყა** „ადამიანები; ხალხი“... დასახელებულ (და სხვა მრავალ) შემთხვევაში ორი **ა** ხმოვანი მიღებულია ამოსავალი **ჰა** მარცვლისაგან. ზოგჯერ ორი **ა** ნასესხებ სიტყვებშიც დასტურდება: **აბლაამ** „ბაღდადი“, **აიამყი** „მაიმუნი“, **აყაყა** „ყვავი“... ზოგ შემთხვევაში თეორიულად მოსალოდნელი სამი და ოთხი **ა** ხმოვნის ნაცვლად მუდამ ორი **ა** ხმოვანი დასტურდება: **აიანდა** ← ***ა-აიანდა** ← ***ა-ჰიანდა** „ღობე“, **აიანტ** ← ***დ-აი-აი-ანტ** ← ***დ-ჰა-ჰა-ანტ** „ჩვენ იგი (აღამ.) მოგყავს“...

ხმოვანი **ე** წინა წარმოების საშუალო აწეულობის ფონემია და გვხვდება სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში. იგი აფხაზური წარმოშობის სიტყვაფორმებში მეორეულია (იხ. ზემოთ), ხოლო ახლად ნასესხებ სიტყვებში ზოგჯერ უცვლელად არის შენარჩუნებული: **აყვეტ** „საბჭო“, **აყრე** „მისამართი“... შედარებით ადრე და ძველად ნასესხებ სიტყვებში სხვა ენათა **ე** ხმოვანი შეცვლილია **ა** ხმოვნით: **ყესი** → **აყას**, **ყელტი** → **აყალტი**... თუ **ე** ხმოვნის წინ გამსესხებელ ენაში **გ, ქ, კ, ლ, ხ, ყ** თანხმოვნები დგას, მაშინ აფხაზურში **ე** ხმოვნის პალატალიზაცია გადაეცე-

მა თანხმოვანს და ვიღებთ **ГЬ, ҚЬ, КЬ, ЂЬ, ХЬ, КЬ** თანხმოვნებს, რომელ-
თაც მოსდევს **а** ხმოვანი: სახე → **асахьа**, სარკე → **асаркьа**...

ხმოვანი **и** წინა წარმოების ზედა აწეულობის ფონემაა. მარტივი
სახით აფხაზურ ზებირ მეტყველებაში იგი თითქმის არ გვხვდება და
გამოთქმაში დიფთონგის სახე აქვს. ხმოვნის ბუნებას იგი დაგრძელების
შემთხვევაში იძენს: **ИСТИИТ** „გავყიდე“, **ДИИТ** „იგი (აღამ.) დაიბადა“. თუ
გამსესხებელ ენაში **о** ხმოვანი მოსდევს **г, ქ, კ, ღ, ხ, ყ** თანხმოვნებს,
აფხაზურში ხდება ამ თანხმოვანთა პალატალიზება და **ГЬ, ҚЬ, КЬ, ЂЬ,
ХЬ, КЬ** თანხმოვნების შემდეგ თავს იჩენს ნეიტრალური **ы** ხმოვანი: **ად-
გილი** → **адгылы** „ადგილი; მიწა“, **კიბე** → **акьында**... დანარჩენ თან-
ხმოვანთა მეზობლად **и** ხმოვანი აფხაზურში იცვლება **ы** ხმოვნით: **ბა-
ლიში** → **абалышь**, **ბრინჯი** → **абрынць**...

ხმოვანი **о** საშუალო აწეულობის უკანა წარმოების ფონემაა. იგი
შეიძლება შეგვხვდეს სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში: **оха** „ამალამ“,
дызныт „მე მას (აღამ.) ვხედავ“, **ицо** „ისინი მიდიან რა...“ ნასესხებ
სიტყვებში **о** ხმოვანი დაიშლება **ya(ჟა)** კომპლექსად და თუ მის წინ
დგას ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილების მქონე თანხმოვანი, **y(ჟ)** სეგ-
მენტი იქცევა წინა თანხმოვნის ლაბიალიზების მომენტად, **а** ხმოვანი
კი ხშირად შენარჩუნდება: მეგრ. დიალ. **ოხვამე** → აფხაზ. **ауахәама**
„ეკლესია“, რუს. **закон** → აფხაზ. **азакәан** „კანონი“... დამატებითი ლა-
ბიალიზაციისაკენ მიდრეკილების უქონელ თანხმოვანთა შემდეგ **о** ხმო-
ვანი, ჩვეულებრივ, **а** ხმოვნით იცვლება: **ფონი** → **аҧан**, **სოლი** →
асал... (ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო **სოლ** ფუძის
ცვლა აფხაზურში ***ашәал** (**ა-შაალ**) ფორმით, მაგრამს, ჩანს, ეს
სიტყვა ახალი ნასესხები უნდა იყოს, რაკი „ვერ მოასწრო“ სესხების კა-
ნონთა მიხედვით თანმიმდევრულად შეცვლა).

ხმოვანი **у** უკანა წარმოების ზედა აწეულობის ფონემაა. **и** ხმოვნის
მსგავსად, მარტივი სახით უფროსი თაობის მეტყველებაში ისიც იშვია-
თად დასტურდება, რაკი დიფთონგური ბუნება აქვს. ნასესხებ სიტყვათა
მახვილიანი **у** ხმოვანი აფხაზურში ზოგჯერ უცვლელი რჩება: მეგრ.
ულუ → აფხაზ: **ауҧә||ауыҧә** „ულელი“, **ურა** → **аура||ауыра**... ნასესხებ

სიტყვებშივე **უ** ხმოვანი იწვევს ლაბიალიზაციის მიდრეკილების მქონე თანხმოვანთა ლაბიალიზებას და თანხმოვნის შემდეგ **ყ** ხმოვნის გაჩენას: **ღუქანი** → **ადაყან** ← ***ადაყან**, მეგრ. **ზუნთხი** → აფხაზ. **ажәынтхь** „ზუნთხი“... სხვა თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში კი **უ** ხმოვანი იცვლება **ყ** ხმოვნით: **ხაჭაპური** → **ахаҭапыр**, რუს. **капуста** → **акапыста**...

ხმოვანი **ყ** უფრო ვიწრო ხმოვანია, ვიდრე **ა** ხმოვანი. იგი თითქმის არ გვხვდება სიტყვის თავში, მაგრამ ხშირია სიტყვის შუა და ბოლოციდურა პოზიციაში: **ахыза** „საბანი“, **ахапыц** „კბილი“, **азы** „წყალი“, **ахы** „თავი“... ხშირად **ყ** ხმოვანი **ა** ხმოვნისაგან არის მიღებული: შდრ. აბაზური **ҭа** — აფხაზ. **а-хы** „თავი“... ნეიტრალური ხმოვანი ვერ ძლებს **х(ჰ)** თანხმოვნის გვერდით და მას ენაცვლება **ა** ხმოვანი.

ნახევარხმოვნები. ნახევარხმოვანი **ი(ე)** შუაენისმიერი ფონემაა და დასტურდება ნებისმიერ პოზიციაში: **иара** (დარა) „ის, იგი“ (მამაკ. ან არაგონიერი საგანი), **аҭаиуан** (აჰაღუან) „პირუტყვი“, **абаззеи** (აბაძძე) „მამამძძე, მორდუ“.

ნახევარხმოვანი **უ(ჟ)** წვეილბაგისმიერი ბგერაა და ისიც ყველა პოზიციაში დასტურდება: **уара** (ურა) „შენ“ (მამაკ.), **уаҭәы** (უაწი) „ხვალ“, **даиуент** (დააღუენტ) „იგი (აღამ.) მოდის“, **иудыруоу?** (იტუდერუოუ?) „შენ (მამაკ.) რაღაც თუ იცი?“...

თანხმოვანი ფონემები. აფხაზურ სალიტერატურო ენაში სულ 56 თანხმოვანი ფონემაა, ე. ი. ზუსტად ორჯერ მეტი, ვიდრე ქართულ სალიტერატურო ენაშია. ისინი იყოფა ხშულებად, აფრიკატებად, სპირანტებად და სონორებად. ხ შ უ ლ ი თანხმოვნებია: **ბ, ბь, п; დ, ჭ, ტ; ძა, ჭა, თა; გ, კ, კ; გь, კь, кь; გა, ჭა, კა; კ, კь, კა.** ა ფ რ ი კ ა ტ ი თანხმოვნებია: **ჰ, ი, ი; ჰა, ია, ია; ძხ, ჯ, ჯ; ფ, ფ.** ს პ ი რ ა ნ ტ ი თანხმოვნებია: **ვ, ფ; ჰ, ს; ჯ, შ; ჯხ, შხ; ჯა, შა; ნ, ხ; ნხ, ხხ; ნა, ხა; ჯა; დ.** ს ო რ ი თანხმოვნებია: **მ, ნ, ლ, რ.** ხშული და აფრიკატი თანხმოვნები ქმნიან სამეულთა სისტემას, სპირანტები გვუფლებიან წვეილეულებად, ხოლო სონორები ცალეული ფონემებია. ხშულ, აფრიკატ და სპირანტ თანხმოვანთა შორის ქართული სადა თანხმოვნების იდენტურ ფონემებ-

თან ერთად გამოიყოფა სპეციფიკური ლაბიალიზებული, პალატალიზებული და ინტენსიური („მაგარი“) ფონემების რიგები.

აფხაზური ენის 28 სადა თანხმოვანი — **ბ, ჭ, პ; დ, ტ, ტ; გ, კ, კ; ჯ, ძ, ძ; ძხ, ჟ, ჟ; ვ, ფ; ზ, ს; ჯხ, ხხ; ხ, ხ; მ, ნ, ლ, რ** — თითქმის ისევე გამოითქმის, როგორც ქართული ენის შესაბამისი ფონემები, ოღონდ მეტნაკლებ სხვაობას ქმნიან **ჰ, ხ, ხ, ლ, რ** ფონემები, რომლებიც აფხაზურში ქართულთან შედარებით უფრო „ინტენსიურად“ გამოითქმის.

წყვილბაგისმიერი ხშულები აფხაზურ სამეულთა ერთი რიგით არის წარმოდგენილი: ესენია სადა წყვილბაგისმიერი **ბ, ჭ, პ** თანხმოვნები, რომლებიც წარმოთქმის მხრივ ზუსტად ემთხვევა ქართულის შესაბამის სამეულს. მათგან **ბ** მჟღერია, **ჭ** — ყრუ ფშვინვიერი, ხოლო **პ** — ყრუ მკვეთრი. ისინი გვხვდება სიტყვებში: **აბარა** „დანახვა, ხედვა“, **აбылра** „წვა“, **აьра** „აფრა“, **аьара** „ხტომა“, **апа** „წვრილი“, **ауара** „ნაბადი“...

ენაკბილისმიერი ხშულები თანხმოვანთა ორი სამეულის რიგით არის წარმოდგენილი: 1. **ს ა დ ა** ენაკბილისმიერი **დ, ტ, ტ** სამეული ისევე წარმოითქმის, როგორც ქართულის შესაბამისი თანხმოვნები. ეს ბგერები არის სიტყვებში: **ада** „ძარღვი“, **адыу** „დიდი“, **аџаца** „პატარძალი; რძალი“, **аџауад** „თავადი“, **аты** „ბუ“, **агыша** „ხრამი, უფსკრული“...; 2. **ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი** ენაკბილისმიერი **დჲ, ტჲ, ტჲ** სამეული რთული ბუნების ბგერებია. მათი გამოთქმა უახლოვდება **ღვ, თვ, ტვ** კომპლექსთა გამოთქმას. ეს ფონემები გვხვდება სიტყვებში: **ады** „მინდორი“, **ардэына** „შაში“, **аџа** „თივა“, „ცაცხვი“, **арыџа** „მარწუხი“, **атэы** „მონა; ყმა; საკუთრება“, **атэара** „დაჯდომა“... ამ ორი რიგის თანხმოვანთაგან მჟღერებია **დ, დჲ**, ყრუ ფშვინვიერები — **ტ, ტჲ**, ხოლო ყრუ მკვეთრები — **ტ, ტჲ**.

უკანაენისმიერ ხშულთა სამეულები სამ რიგს ქმნიან: 1. **ს ა დ ა** უკანაენისმიერი **გ, კ, კ** ფონემები ისევე გამოითქმის, როგორც შესაბამისი ქართული თანხმოვნები. ეს ფონემები არის სიტყვებში: **агара** „აკვანი“, **агра** „ნაკლი“, **ақыџа** „სოფელი“, **ахак** „ამაგი; მადლი“, **акакара** „კაკანი“, **акы** „ერთი რაღაც“...; 2. **ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი** უკანაენ-

ნისმიერი **გა, კა, კა** ფონემები, რომელთა წარმოსათქმელად უნდა გამოითქვას დაახლოებით **გვ, ქვ, კვ** კომპლექსები, ოღონდ ერთ ფონემად წარმოქმნილი. ეს ფონემები არის სიტყვებში: **აგაყ** „გული“, **აგაყრბარა** „სინარული“, **აკაა** „წვიმა“, **ამარკაა** „მაქო“, **აკაა** „უბე“, **აკაადყ** „უნაგირი“...; 3. პ ა ლ ა ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი უკანაენისმიერი **გა, კა, კა** სამეული, რომელიც დაახლოებით გამოითქმის როგორც **გა, ქა, კა**. ამ ფონემათა წარმოთქმა უფრო წინ ხდება, ვიდრე სადა უკანაენისმიერი **გ, კ, კ** სამეულისა. ისინი დასტურდება სიტყვებში: **აგანგაშ** „ცბიერი; ეშპაკი, ცელქი“, **ააგა** „ცული“, **აკაა** „კარავი“, **აკაა** „წმინდა, სუფთა“, **აკაა** „მაგარი, მტკიცე“, **აკაა** „ჭიხინი“... დასახელებული 9 ფონემიდან მჟღერებია **გ, გა, გა, ყრუ** ფშინვიერები — **კ, კა, კა**, ხოლო ყრუ მკვეთრები — **კ, კა, კა**.

ფარინგალურ ხშულთა სისტემა აფხაზურში ქართულის მსგავსად ნაკლოვანია. ამ სისტემაში ამჟამად შედის მხოლოდ სადა ფარინგალური მკვეთრი **კ**, რომელიც ქართულ **ყ** ბგერასთან შედარებით უფრო ინტენსიურად გამოითქმის, აგრეთვე ლაბიალიზებული მკვეთრი **კა** და პალატალიზებული მკვეთრი **კა**, რომელიც დაახლოებით გამოითქმის როგორც **ყა** კომპლექსი. ამ სამეულებს აკლია ფშინვიერი და მჟღერი სახეობები. დასახელებული ბგერები არის სიტყვებში: **აკაა** „წითელი“, **აკაა** „ძეგლი“, **აკაა** „სოხუმი“, **აკაა** „ლობიო“, **აკაა** „ქნევა“, **აკაა** „ბრტყელი“...

სისინა აფრიკატები აფხაზურ სალიტერატურო ენაში სამეულთა ორი რიგის სახით არის წარმოდგენილი: 1. ს ა ლ ა სისინა აფრიკატები **ჟ, ძ, ძ** ქართულის შესაბამისი **ძ, ც, წ** თანხმოვნების მსგავსად წარმოითქმის. ისინი არის სიტყვებში: **აჟა** „ნელი“, **აჟა** „წყალი“, **აძ** „ნისკარტი“, **ამა** „ცეცხლი“, **აძა** „ფსკერი“, **აძა** „სწავლა“...; 2. ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი სისინა აფრიკატები **ჟა, ძა, ძა** სპეციფიკური რთული ფონემებია. მათ წარმოსათქმელად ერთ ერთეულად უნდა წარმოითქვას **ძვ, ცვ, წვ** კომპლექსები ერთგვარი სტვენის მსგავსი ეფექტის თანხლებით. ეს ფონემები არის სიტყვებში: **აჟა** „ერთი ვილაც“, **აჟა** „რეცხვა“, **აძა** „ხარი“, **აძა** „ტყავი, კანი“, **აძა** „ვაშლი“,

ანიძეა „მწვანე; ლურჯი“... დასახელებული ექვსი ფონემიდან **3, ჰ** მჟღერია, **ც, ძ** — ყრუ ფშვინვიერი, **ჩ, ძ** — ყრუ მკვეთრი.

შიშინა აფრიკატებიც ორი სამეულის სახით არის წარმოდგენილი: 1. ს ა დ ა შიშინა აფრიკატები **ძხ, ჟ, ჳ** თითქმის ისე წარმოითქმის, როგორც შესაბამისი ქართული თანხმოვნები. ისინი არის სიტყვებში: **აძხ** „მუხა“, **აძხამ** „სპარსელი“, „ჯამი“, **აჩა** „ბური“, **აჩყარა** „სიცილი“, **აჟკაყინ** „ბიჭი“, **აჟაყყი** „პატარა; ბავშვი“...; 2. მ ა გ ა რ ი ანუ ი ნ ტ ე ნ ს ი უ რ ი შიშინა აფრიკატები **ჭ, ჟ, ჳ** სპეციფიკური ფონემებია. მათი წარმოთქმისათვის საჭიროა წინა ენა აიზნიქოს ზემოთ და ოდნავი დაყოვნების შემდეგ ღრმად მიეზინოს მაგარ სასას. ეს სამეული არის სიტყვებში: **აჟყრ** „ფოლადი“, **აჟყშ** „ნიორი“, **აჟყ** „ცხენი“, **აჟყა** „კერა“, **აჟყი** „პირი“, **აჟყა** „ახალი, ნორჩი, ახალგაზრდა“... დასახელებულ ორ სამეულში მჟღერებია **ძხ, ძ**, ყრუ ფშვინვიერები — **ჟ, ჳ**, ყრუ მკვეთრები — **ჟ, ჳ**.

კბილბაგისმიერი სპირანტებიდან აფხაზურს მოეპოვება მჟღერი **ვ** და **ფ** ფონემათაგან შემდგარი წყვილეული. **ვ** თანხმოვანი დაახლოებით ისევე გამოითქმის, როგორც ქართული **ვ** თანხმოვანი, ხოლო **ფ** ისეთივე ფონემაა, როგორც არის ევროპულ ენებში **f** ფონემა. ეს ფონემები არის სიტყვებში: **ავარა** „გვერდი“, **ავანყა** „ნაღველი“, **აჟყ** „ჭექა-ქუხილი“, **აჟყარა** „ჰამა“...

წინაენისმიერ სადა სისინა 3, ც სპირანტ ფონემათა წარმოთქმა ზუსტად ემთხვევა ქართულ შესაბამის თანხმოვანთა წარმოთქმას. ამ წყვილეულიდან **3** მჟღერია, **ც** — ყრუ. ეს ფონემები არის სიტყვებში: **ამა** „მთვარე; თვე“, **ამაყარა** „ქონება“, **ამამ** „სტუმარი“, **ამამ** „ბატკანი“...

წინაენისმიერი შიშინა სპირანტები აფხაზურში სამი წყვილეულის სახით არის წარმოდგენილი: 1. ს ა დ ა შიშინა **ჟხ, შყ** სპირანტები უფრო „რბილად“ გამოითქმის, ვიდრე შესაბამისი ქართული თანხმოვნები. ეს ფონემები დასტურდება სიტყვებში: **ამჟხ** „ყურძენი“, **ამჟყა** „კურდღელი“, **ამჟყა** „სისხლი“, **ამაჟყა** „ძმა“...; 2. ი ნ ტ ე ნ ს ი უ რ ი შიშინა **ჟ, შ** სპირანტები უფრო „მაგრად“ გამოითქმის, ვიდრე ქართულ

ლი უ, უ თანხმოვნები. მათი წარმოთქმისას წინა ენა ენერგიულად აიზნიქება მაგარი სასისაკენ და მცირე ხნით ყოვნდება ამ მდგომარეობაში. ინტენსიური **ж, ш** არის სიტყვებში: **ажра** „თხრილი“, **абжа** „ნახევარი“, **аша** „მწარე“, **аршра** „დუღება“...; 3. **ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი** შიშინა **жа, ша** სპირანტები გამოითქმის როგორც ფონემად შერწყმული და ოდნავი მინასტვენის მქონე **ფვ, შვ** კომპლექსები. ეს ფონემები დასტურდება სიტყვებში: **ажә** „ძროხა“; **ажәра** „სმა“, **ашә** „ყველი“, **шәара** „თქვენ“... დასახელებულ სამ წყვილულში მქედრებია **жь, ж, жә**, ხოლო ყრუები — **шь, ш, шә** ფონემები.

უკანანისმიერი სპირანტებიც სამი წყვილულით არის წარმოდგენილი: 1. **ს ა დ ა ნ, х** უფრო ღრმად გამოითქმის, ვიდრე ქართული **დ, ხ** თანხმოვნები. ისინი გვხვდება სიტყვებში: **ანა** „მტერი“, **ანна** „ზურგი“, **ахы** „თავი“, **ахара** „მოწვევა“...; 2. **ლაბიალიზებული ნა, хә** სპირანტები გამოითქმის როგორც ერთ ფონემად შერწყმული **ღვ, ხვ** კომპლექსები. ისინი დასტურდება სიტყვებში: **ანәы** „ფიცარი“, **ანәәә** „ძლიერი, ღონიერი“...; 3. **პ ა ლ ა ტ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ნь, хь** სპირანტები გამოითქმის როგორც ერთ ფონემად შერწყმული **ღა, ხა** კომპლექსები. ეს ფონემები არის სიტყვებში: **ანһьыц** „ფოთოლი; ფურცელი“, **арһья** „მარჯვენა“, **ахьы** „ოქრო“, **ахьяра** „წველა“... დასახელებული ექვსი ბგერიდან მქედრებია **ნ, ნә, нь, ხ, ხә, хь** ყრუ ფონემებია.

ლარინგალური სპირანტებიდან აფხაზურს სამი ფონემა მოეპოვება: ყრუები **х**, და **хә**, მქედრი **а**. **ს ა დ ა х**, სპირანტის წარმოთქმისას ფილტვებიდან მეტი ჰაერის ნაკადი მოედინება, ვიდრე ქართული **ჭ** თანხმოვნის გამოთქმისას მოდის. ეს ფონემა არის სიტყვებში: **ах**, „ბატონი; მთავარი (მაგ., აფხაზეთისა); მეფე“, **хара** „ჩვენ“... ნშირად სწორედ **х**, თანხმოვნით გადმოიცემა ქართული **ხ** ფონემა. მაგალითად: **ორხაო** → **ауархуау** „ხალიჩა“, მეგრ. დიალ. **კალმანა** → **акалмаха**... ამ ფონემას არ მოეპოვება თავისი რიგის მქედრი ლარინგალური შესატყვისი ფონემა. **ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი хә** ფონემა დაახლოებით გამოითქმის როგორც ქართული **ჭვ** და **ხვ** კომპლექსების შუალედური

ერთიანი ბგერა (შდრ. ქართ. **ხონობი** → **ахъыџа** „მტრედი“). ეს ფონემა დასტურდება სიტყვებში: **ахъара** „თქმა“, **ахъыс** „ხბო“... აფხაზური ენის ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ლარინგალური **а** ფონემა სპეციფიკურია, რომლის მსგავსი ქართულში არ დასტურდება. მისი გამოთქმა შუალედურია გერმანული **ö** და ფრანგული **u** ფონემათა წარმოთქმისა. იგი არის სიტყვებში: **ады** „ღვინო“, **ацады** „მოსწავლე“...

სონორი ბგერებიდან **м** ბაგისმიერ-ცხვირისმიერია, **н** — ცხვირისმიერი და წარმოთქმის მხრივ არ განსხვავდებიან ქართული **მ**, **ნ** თანხმოვნებისაგან. ისინი არის სიტყვებში: **амра** „მზე“, **амба** „ლელი“, **ан** „დედა“, **анцаа** „ღმერთი“... ნ ა რ ნ ა რ ა **л, р** თანხმოვნები უფრო ინტენსიურად გამოითქმის, ვიდრე შესაბამისი ქართული ფონემები. ისინი დასტურდება სიტყვებში: **ал** „მურყანი“, **ала** „ძალი“, **ар** „ჯარი“, **ара** „მე“... ოთხივე სონორი მჟღერი ბგერაა.

2. ძირთა სტრუქტურა, მარცვალი და მახვილი

აფხაზური სიტყვის ძირი ისტორიულად მარტივი იყო, რაც ხშირ შემთხვევაში ამჟამადაც არის შენარჩუნებული. კერძოდ, მრავალი საკუთრივ აფხაზური წარმოშობის სიტყვის ძირი შედგება ცალი თანხმონისაგან, რომელსაც ახლავს **а** ან **ы** ხმოვნები (CV მოდელი), ზოგჯერ კი ძირისეული თანხმოვანი უხმოვნოდაც არის წარმოდგენილი (C მოდელი). მაგალითად: **а-ца** „ფსკერი“, **а-га-ра** „წაღება, წაყვანა“... (CV მოდელი), **а-к-ра** „ჭერა“, **а-с-ра** „ცემა, დარტყმა“... (C მოდელი). ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად ყველა აფხაზური სიტყვა აგებული იყო ლიამარცვლოვანი ცალთანხმოვნიანი ძირებისაგან, რომლებიც ქმნიდნენ მოდელს თანხმოვანი + ხმოვანი (CV). ამჟამად ამ ტიპის ძირთა გვერდით დასტურდება დახურულმარცვლიანი ძირებიც CVC (თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი) მოდელისა. მაგალითად: **а-нъл-ра** „წვა“... აფხაზურ სიტყვათა ფუძეების დიდი ნაწილი მიღებულია ძირთა შეერთებით (კომპოზიციით) ან გარკვევებით და ამ დროს მახვილის ზემოქმედებით მიიღება თანხმოვანთა კომპლექსები. კომპლექსთა

წარმოქმნისას მნიშვნელობა აქვს მეზობლად მოხვედრილ ფონემათა რაგვარობას. აფხაზურისათვის შეუთავსებელი კომპლექსის დასაძლევად თანხმოვნებს შორის ხშირად გაჩნდება ბგერათვამყარი **ы** ხმოვანი (ჩვეულებრივ, ორი თანხმოვნის წინ ან შემდეგ). ამჟამად ენაში ყველაზე გავრცელებულია თანხმოვანთა ისეთი კომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტებია ბაგისმიერი **ბ, ჭ, მ** თანხმოვნები: **ბჰ, ბჟ, ბჟ, ბწ, ბძ, ბც, ბჩ, ბჭ, ბხ, ბყ, ბრ, ბრ, ბრ, მჰ, მჟ, მწ, მძ, მც, მჩ, მჭ, მხ, მყ...** რაც შეეხება **ტკ, ჟკ, ტკ** კომპლექსებს, ისინი დასტურდება ძირითადად ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში.

მახვილის ძლიერი ზემოქმედების შედეგად ფუძე შეიძლება ძალზე შეიცვალოს და მივიღოთ რამდენიმე თანხმოვნისანი კომპლექსიც (**აღჲტჳჳა** „ღრუბელი“, **აღჲშა** „გამოსავალი“, **აღჲრჳჳა** „ნამცხვრის ერთ-ერთი სახეობა“...), სადაც ხშირად არის სპირანტი ან სონორი თანხმოვანი.

მახვილი აფხაზურ ენაში ინტენსიური და მოძრავია, ე. ი. მახვილი შეიძლება მოუდიოდეს სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში მდგომ ხმოვანს: სიტყვის თავში — **აჳჳა** „სიტყვა“, **აჳშა** „მთა“..., სიტყვის შუაში — **აღჲრა** „ცოდნა“, **აღჲანტა** „კაჟი“... სიტყვის ბოლოს — **აჳჳ** „წყალი“, **აღჲა** „ჯოხი“... ზოგჯერ ერთსა და იმავე სიტყვაში მახვილი შეიძლება სხვადასხვა ადგილას იყოს: **აღჲრა||აღჲრა** „სწავლა“... მრავალი ომონიმური სიტყვა ერთმანეთისაგან სწორედ მახვილის ადგილის მიხედვით განირჩევა: **აღა** „თვალი“ — **აღა** „ძალი“, **აღა** „საბერველი“ — **აღა** „მტერი“, **აღა** „ხმალი“ — **აღა** „ღორი“... სიტყვათა ერთ ჯგუფში ზოგი აფიქსის დართვა იწვევს მახვილის გადანაცვლებას, მაგრამ იმავე აფიქსთა დართვა სხვა სიტყვათა ჯგუფში არ უცვლის მახვილს ადგილს. ასეთ შემთხვევებში რაიმე კანონზომიერების დადგენა ჭირს.

3. ფონეტიკური პროცესები

ფონეტიკურ პროცესთაგან აფხაზურში ყველაზე გავრცელებულია ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია და რედუქცია.

მათგან შედარებით უფრო სისტემური ხასიათისაა ასიმილაციის პროცესი. ასიმილაცია ყველაზე მეტად ხმოვნებისა და დიფთონგებისათვის არის დამახასიათებელი. არის როგორც პროგრესული, ისე რეგრესული ასიმილაციის შემთხვევები. პროცესი შეიძლება იყოს სრული ან არასრული, კონტაქტური ან დისტანციური.

პროგრესული კონტაქტური ასიმილაციის დროს წინამავალი ბგერის გავლენით იცვლება მომდევნო და მთლიანად (იშვიათად), ან ნაწილობრივ ემსგავსება მას. მაგალითად:

ია → იე → е: **иахъа** → **иехъа** → **ехъа** „დღეს“, **иасымша** → **несымша** → **есымша** „ყოველდღე“...

ya → yo → o: **yaцәы** → **yoцәы** → **oцәы** „ხვალ“, **ауафы** → **ауофы** → **аофы** „ადამიანი“...

шб → шъ : **уышбақоу?** → **уышъақоу?** „შენ (მამაკ.) როგორ ხარ?“ **дышбацеи?** → **дышъацеи?** „იგი (ადამ.) როგორ წავიდა?“...

рҭ → рд: **ацәартафәы** → **ацәардафәы** „სკამლოგინი“...

რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის დროს წინამავალი ბგერა მომდევნო ბგერის ზეგავლენით ემსგავსება მას. მაგალითად:

аи → еи: **сцаит** → **сцент** „წავედი“, **аизара** → **еизара** „კრება“...

сб → зб: **апҭҳәысба** → **апҭҳәызба** „ქალიშვილი“, **дызбоит** → **дызбоит** „მე მას (ადამ.) ვხედავ“...

კონტაქტური დისიმილაციის შედეგად კაუზატივის მაწარმოებელი **р-** თავსართის გავლენით ზმნის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი **р-** იცვლება **д-** ნიშნით (უკეთ, განემსგავსება კაუზატივის ნიშანს): **ирыркацеит** → **идыркацеит** „მათ მას (მამაკ.) რაღაც გააკეთებინეს“... დისტანციური დისიმილაციის შედეგად უარყოფით ბრძანებითში უარყოფის პრეფიქსი **м-** განიმსგავსებს უარყოფისავე **-м** სუფიქსს: **ныумгам!** → **ныумган!** „შენ (მამაკ.) ის არ წაიღო!“...

მეტათეზისის დროს ბგერები ადგილს უცვლიან ერთმანეთს. მაგალითად: **ақлапһад** → **ақалпһад** „წინდა“, **атҭҗамада** → **атҭаҭҗамада** „მოხუცი, ბერიკაცი“...

სუბსტიტუციის დროს ერთ ბგერას ჩაენაცვლება მეორე. მაგალი-

თად: **აშьамсиа** → **ачамсиа** „ქოლგა“, **აхьамтҭа** → **ахьантҭа** „მძიმე; ფეხმძიმე“...

რედუქცია აფხაზურში ძალზე გავრცელებული პროცესია. რედუქციის შედეგად მახვილის ზემოქმედების გამო უჩინარდებიან ხმოვნები. მაგალითად: ***амашьын** → **амшьын** „ზღვა“, **агәа́ра** → **агәа́р** „ლობე“, **а́калаҭ** → **а́клаҭ** „კალათი“...

თავი II. მორფოლოგია

მორფოლოგიის თვალსაზრისით აფხაზურ ენას ქართულთან შედარებით უფრო მარტივი სახელი და გაცილებით რთული ზმნა ახასიათებს. აფხაზური სახელის სიმარტივე, უპირველეს ყოვლისა, ბრუნების სისტემის უქონლობით გამოიხატება, რაც კომპენსირდება ზმნური წარმოების მეტისმეტი სირთულით. აფხაზური ზმნა თითქმის მთლიანად კისრულობს იმ ურთიერთობათა გადმოცემის ფუნქციას, რაც სახელთა ბრუნების მქონე ენებში ამ უკანასკნელით გამოიხატება.

აფხაზურში ქართულის მსგავსად გამოყოფენ მეტყველების ნაწილთა 10 ჯგუფს. ესენია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა (მასდარის, აბსოლუტივისა და მიმღობის ჩათვლით), ზმნისართი, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული.

არსებითი სახელი

აფხაზური ენის არსებითი სახელი განარჩევს გრამატიკული კლასის, რიცხვის, ზოგადობის, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის, კუთვნილების, გარდაქცევითობის, ინსტრუმენტალობისა და უქონლობის მორფოლოგიურ-სემანტიკურ კატეგორიებს.

1. გრამატიკული კლასის კატეგორია. გრამატიკული კლასის კატეგორია აფხაზური ენის უმნიშვნელოვანესი მორფოლოგიურ-სემანტიკური კატეგორიაა. აისახება არსებით სახელებში, რიცხვით სახე-

ლებში, ნაცვალსახელსა და ზმნაში (აბსოლუტივისა და მიმღეობის ჩათვლით). არსებითი სახელი განარჩევს გონიერთა (ანუ ადამიანისა) და არაგონიერთა (ანუ ნივთის) მორფოლოგიურ-სემასიოლოგიურ კლასებს.

გონიერთა ანუ ადამიანის სემასიოლოგიურ კლასში შედის:

1. ადამიანის აღმნიშვნელი საზოგადო არსებითი სახელები: аҭады „აღამიანი“, аҭаҭа „მამაკაცი; ქმარი“, аҭҭадыс „ქალი; ცოლი“, аҭадыҭы „ბავშვი“, асаҭи „ჩვილი“, аҭҭыс „ჭაბუკი“, аҭҭадысзҭа „ქალიშვილი“, аҭаҭамаҭа „ბერიკაცი“, аҭҭыс „მიცვლებული“, аҭ „ბატონი; მთავარი; მეფე“, ааҭысҭа „აზნაური“, аҭҭады „გლეხი“, аҭҭыла „მეზობელი“...; 2. ადამიანის საკუთარი სახელები და გვარსახელები: Мзауҭ, Арзакан, Саатҭеи, Асиҭа, Аҭра, Кәаҭа, Пата, Каҭаҭыҭ, Хьыҭа, Ҷыҭа..., Аҭრҭа, Воуба, Ҷәыҭыҭа, Даҭаҭ-иҭа, Барҭыҭ...; 3. ეთნონიმები: аҭҭысуа „აფხაზი“, аҭҭыҭуа „ქართველი“, аиадыҭ „ადილელი“, аҭараҭ „ყარაბაგელი“, аиаҭеи „ნოღაელი“, ашаамаҭахь|აერҭан „სომეხი“, аурыс „რუსი“, аҭҭыҭқәа „თურქი“, аҭҭаҭ „სპარსელი“...; 4. ნათესაობის ტერმინები: аҭ „დედა“, аҭ „მამა“, аҭҭа „ვაჟი, ძე“, аҭҭаҭ „ასული“, аиаშыа „ძმა“, аиаҭაშыа „და“, аҭду „ბებია“, аҭду „ბაბუა, ბაბა“, аҭҭеи „ძიძა“, аҭҭааҭады „ნათლია“...; 5. ხელობის სახელები: аҭҭы „მჭედელი“, аҭҭაҭ „მწყემსი“, аҭრҭаҭ „ყაჩაღი“, аҭҭыҭ „ქურდი“, аҭრҭაды „მასწავლებელი“...; 6. ანთროპომორფულ არსებათა და ღვთაებათა სახელები: аҭҭა „ღმერთი“, аҭҭაаиҭბარ „წინასწარმეტყველი, მოციქული“, адысҭაа „ემ-მაკი“, амаалық „ანგელოზი“, ҭызлан „ალი“... ყველა ამ სახელს დაერთვის კითხვა **დარბან?** „ვინ? რომელი?“

არაგონიერთა ანუ ნივთთა სემასიოლოგიურ კლასში შედის

დანარჩენი სახელები, მიუხედავად იმისა, სულოერს აღნიშნავენ ისინი თუ უსულოს. მაგალითად: аҭы „ცხენი“, аҭეаҭა „ვირი“, аҭრბაҭ „მამალი“, аҭრҭына „დედალი“, аҭҭыс „თევზი“, аҭაдыҭры „კოლი“, аმაҭ „გველი“, аҭრдына „შაშვი“, аიაშა „ტაბლა“, ады „სახლი“, აჯәаҭан „ცა“, аҭრა „მზე“, аმა „მთვარე“, „თვე“, аиаҭა „ვარსკვლავი“, аშыа „მთა“, аҭეиҭრა „სიკეთე“, аაҭგыра „სიავე“, аҭҭაҭадыра „ქელები“, адуҭеи „ქვეყნიერება“, аныშა „მიწა“, Аҭҭыс „აფხაზეთი“, Қарт „თბილისი“, аҭა

„ვაშლი“, ахшыд „გონება“, анасыб „ბედი“... არაგონიერთა კლასის სახელებს დაესმის კითხვა **нарбан?** „რა? რომელი?“

ქართულის მსგავსად და ინდოევროპულ ენათაგან განსხვავებით არც აფხაზურში გაირჩევა არსებით სახელთა გრამატიკული სქესი. აფხაზურს საამისო საგანგებო აფიქსები არ მოეპოვება. მდედრობითი და მამრობითი სქესის მქონე ცხოველ-ფრინველთა ერთი ჯგუფის სქესი აღინიშნება მხოლოდ ლექსიკურად, კომპოზიციის (ფუძეთა შეერთების) გზით. შდრ. ერთი მხრივ, акаты „ქათამი“ (ზოგადად) და, მეორე მხრივ, акатарцына „დედალი“ (ზედმიწევნით „ქათამ-დედალი“) — акатарнахь „მამალი“ (ზედმიწევნით „ქათამ-მამალი“), акамбашь „კამეჩი“ (ზოგადად) და ажэкамбашь „ფურკამეჩი“, ацэкамбашь „ხარკამეჩი“, аеы „ცხენი“ (ზოგადად) და аеан „ჭაკი“ (ზედმიწევნით „ცხენ-დედა“), аеаба „ულაყი“ (ზედმიწევნით „ცხენ-მამა“)...

არსებით სახელებში არც გრამატიკული კლასის კატეგორია აღინიშნება საგანგებო მორფოლოგიური ნიშნებით, ამიტომ ეს კატეგორია ამ შემთხვევაში მხოლოდ სემასიოლოგიურია, სამაგიეროდ არსებით სახელთა სემასიოლოგიური გრამატიკული კლასი განირჩევა სახელთა კუთვნილებითი ფორმისა და ზმნათა პირ-კლასის აღმნიშვნელი პრეფიქსებით (იხ. ქვემოთ).

2. რიცხვის კატეგორია. არსებით სახელებს აქვთ მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სახელთა რიცხვი მორფოლოგიურად გამოიხატება მხოლოდ მრავლობითში, ვინაიდან მხოლოდითი რიცხვის ფორმები რიცხვის მაწარმოებლებს არ დაირთავენ, მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად კი იხმარება რამდენიმე აფიქსი. მათგან ყველაზე გავრცელებულია გონიერთა კლასის არსებით სახელთა მრავლობითობის მაწარმოებელი **-цәа** სუფიქსი და არაგონიერთა კლასის არსებით სახელთა მრავლობითობის მაწარმოებელი **-қәа** სუფიქსი. მაგალითად: ацкәын-цәа „ბიჭები“, азнаб-цәа „გონებები“, адыз-цәа „ამხანაგები, მეგობრები“, агәыла-цәа „მეზობლები“, астудент-цәа „სტუდენტები“, ашахтиор-цәа „მეშახტეები“..., ацла-қәа „ხეები“, ае-қәа „ცხენები“, ажә-қәа „ძროხები“, амх-қәа „ყანები“,

აფსყ-**კჷა** „თევზები“, აშხა-**კჷა** „მთები“...

გონიერთა კლასში შემავალი ზოგი არსებითი სახელი დაირთავს მხოლოდ არაგონიერთა კლასის **-კჷა** სუფიქსს: ახ,აჰა-**კჷა** „ქალები“, ახაჰყ-**კჷა** „ბავშვები“... ზოგიერთი ეთნონიმი და სატომო სახელი კი ერთნაირად დაირთავს როგორც **-ძა**, ისე **-კჷა** სუფიქსებს: აყყრტ-**ძა**||აყყრტ-**კჷა** „ქართველები“, აყყრ-**ძა**||აყყრ-**კჷა** „მეგრელები“, აყყრც-**ძა**||აყყრც-**კჷა** „რუსები“... სახელთა მცირე ჯგუფი განუსაზღვრელ ფორმაში ერთდროულად დაირთავს ორსავე სუფიქსს: ხა-**ძა-კჷა-კ** „ვილაც კაცები“, ყჷყყყ-**ძა-კჷა-კ** „ვილაც ბიჭები“, ჯნა-**ძა-კჷა-კ** „ვილაც გოგონები“...

არსებით სახელთა **კრებითობა** გადმოიცემა **-აა** სუფიქსის მეშვეობით, რომელიც ძირითადად გამოიყენება გვარსახელის, ტომის წარმომადგენელთა ან წარმომავლობის სახელთა კრებითი ფორმის საწარმოებლად. მაგალითად: ანჷყყყ-**აა** „აბუყულები“, ნყყყ-**აა** „ბზიფელები“, ოჷამყყრ-**აა** „ოჩამყირლები“, აჷა-**აა** „სოხუმელები“, აჷყყ-**აა** „აფხაზნი“, ყჷოყ-**აა** „ქლოყულები“, ლყყნ-**აა** „ლიხნელები“, ყჷან-**აა** „ჭანები“, აყრ-**აა** „აგრბები“, კჷაჷ-**აა** „ქაცვები“... ამავე სუფიქსის მეშვეობით იწარმოება ა-ყა-ჷყ „ადამიანი“ სახელის კრებით-მრავლობითის ფორმა: ა-ყ-**აა** „ადამიანები, ხალხი“¹. კრებითობის მაწარმოებელია აგრეთვე რთული ***-რა-აა** → **-რაა** სუფიქსი: კაჷა-**რაა** „კაჷა და მისიანები“, ტორჷან-**რაა** „თორყანი და მისიანები“... მცენარეთა სახელებისა და ზოგი სხვა სიტყვის კრებითობას გამოხატავს აგრეთვე **-რა** სუფიქსი: აჷყ-**რა** „მუხნარი“, აჷმჷა-**რა** „ფიჭვნარი“, აჷყჷა-**რა** „სოჭნარი“, ***აჷა-რა** → **აჷა-რ** „ახალგაზრდობა“, აჷაჷა-**რ(ა)** „ხალხი, ერი“. ცხოველ-ფრინველთა ნაშვიერებისა ან მცირე ზომის საგანთა აღმნიშვნელ **-ც** სუფიქსიან სახელებს მრავლობითში **-ც** ჩამოსცილდება და მის ადგილას დაერთვის **-რ(ა)** სუფიქსი: არჷყ-**ც** „ჭაბუკი“ — არჷა-**რ(ა)** „ჭაბუკები“, აჷყ-**ც** „ბატკანი“ — აჷა-**რ(ა)** „ბატკები“, აჷაჷყ-**ც** „ხბო“ — აჷაჷა-**რ(ა)** „ხბორები“, აჷყ-**ც** „ჩიტ“ — აჷა-**რ(ა)** „ჩიტები“, ანაჷყყყ-**ც** „ნეკი“ — ანაჷყჷა-

¹ აქ ჩამოთვლილ მაგალითთა უმრავლესობაში მოსალოდნელი იყო სამი **ა** ხმოვნის თავმოყრა, მაგრამ მომხდარია სამი ერთგვარი ხმოვნის შერწყმა ორ ხმოვნად (იხ. ზემოთ).

p(a) „ნეკები“... ასევე იწარმოება **ашыы-шь** ← ***ашыы-с** „გოჭი“ და **акәчы-шь** ← ***акәытчы-с** „წიწილა“ სახელთა მრავლობითიც: **ашыа-р(a)** „გოჭები“, **акәча-р(a)** „წიწილები“. სახელებს, რომლებსაც მრავლობითში **-р(a)** სუფიქსი დაერთვის, დამატებით შეიძლება **-қәа** ან **-цәа** სუფიქსებიც დაერთოს: **арҭа-р-цәа** „ჭაბუკები“, **аса-ра-қәа** „ბატენები“, **ахәа-ра-қәа** „ხბორები“, **анацәкыа-ра-қәа** „ნეკები“...

3. სახელის ზოგადი, სალექსიკონო ფორმა. არსებით სახელს აქვს ზოგადი, სალექსიკონო ფორმა, რომელსაც **а-** პრეფიქსი აწარმოებს. არსებით სახელთა გარდა ზოგადი ფორმები აქვთ აგრეთვე ზედსართავ სახელებს, მასდარს, ერთი ტიპის მიმღეობებს, ზმნისართთა ნაწილს. ზოგადი ფორმის **а-** პრეფიქსი დაერთვის როგორც ძირეულ, ისე ნასესხებ სიტყვებს. თუ სიტყვის ფუძე იწყება **е, и, о, у** ხმოვნებით, **и** და **у** ნახევარხმოვნებითა და თანხმოვნებით, მაშინ **а-** პრეფიქსი მუდამ უცვლელად იქნება წარმოდგენილი: **а-еҭым||а-иаҭым** „ობოლი“, **а-ика** „ბიბილო“, **а-област** „ოლქი“, **а-у(ы)блаа** „უბიხი“, **а-уады** „ადამიანი“, **а-хаца** „კაცი; ქმარი“, **а-оны** „სახლი“... **а-нзия** „კარგი“, **а-каҭышь** „წითელი“, **а-лада** „ქვემოთ“, **а-аада** „ზემოთ“, **а-муча** „მუქთახორა“, **а-лала** „ირაო (საქონელი)“, **а-кацара** „კეთება“, **а-хәыщра** „ფიქრი“... თუ სიტყვა იწყება ფუძისეული **а** ხმოვნით, მაშინ ზოგად ფორმაში ხდება ფუძისეული ხმოვნისა და პრეფიქსის შერწყმა ერთ **а** ხმოვნად: ***а-иа-ნა** → ***а-ან** → **ან** „მამა“, ***а-იана** → ***а-ან** → **ან** „დედა“, ***а-ია-жәа** → ***а-ажәа** → **ажәа** „სიტყვა“, ***а-ანаз** → **аназ** „აბაზი, ოცკაპიკიანი მონეტა“, ***а-ანана** → **ანана** „აბანო“, ***а-автобус** → **автобус** „ავტობუსი“, ***а-август** → **август** „აგვისტო“... ორი **а** ხმოვნით დაწყებულ ფუძეებშიც ზოგადი ფორმის **а-** პრეფიქსი შეერწყმის ამ ორი ფუძისეული ხმოვნიდან წინ მდგომს და სამი **а** ხმოვნის ნაცვლად მაინც ორი **а** ხმოვანი რჩება: **аанда** „ლობე“, **аамҭа** „დრო“, **аамыҭа** „აზნაური“, **аапәа** „ტომარა“, **აашыа** „ზარმაცი“, **აашыышь** „მაჩვი“...

4. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია. ზოგადი ფორმის **а-** პრეფიქსიანი სახელები ითავსებენ **განსაზღვრულობის** გადმოცემის ფუნქციასაც. ამგვარი სახელები კონტექსტის მიხედვით აღ-

ნიშნავენ განსაზღვრულ, მოსაუბრისათვის ცნობილ საგანსა თუ მოვლენას: **არი a-ya** „ეს ადამიანი“, **უი a-цла** „ის ხე“, **a-стол икәу a-шәкәы** „მაგიდაზე მდებარე წიგნი“... იგივე **a-** პრეფიქსი გვხვდება გვარსახელებშიც და ამ დროს აღინიშნება დასახელებული გვარის ერთი კონკრეტული წარმომადგენელი: **A-маршыан** „მარშანიას გვარის (ეს) ადამიანი“, **A-бҗажәна** „ბლაჯებას გვარის (ეს) ადამიანი“, **Ацәыңьба** „წვიჯებას გვარის (ეს) ადამიანი“, **A-цыңьчал** „ჯინჯოლიას გვარის (ეს) ადამიანი“... ზოგი ქართველური წარმოშობის გვარში ეს **a-** პრეფიქსი ამ გვარის წარმომადგენელთა გააფხაზების აღსანიშნავად და თითქოსდა არაქართული წარმომავლობის ხაზგასასმელად შეერწყა ფუძეს და უპრეფიქსოდ თითქმის აღარ იხმარება: **Ацыңьчал** ← ჯინჯოლია, **Амҗар** ← მეფორია, **Амқәаб||Анкәаб** ← მიქვაბია, **Аблыскыяр** ← ბულისკერია...

სახელთა **განუსაზღვრელი** ფორმა იწარმოება **a-** პრეფიქსის ფუძისათვის ჩამოცილებით. მაგალითად:

განსაზღვრ.	განუსაზღვრ.
a-ya „ადამიანი“ (მოსაუბრისათვის ცნობილი)	ya „ვილაც ადამიანი“
a-напы „ხელი“ (მოსაუბრისათვის ცნობილი)	напы „რომელიღაც ხელი“
a-шәкәы „წიგნი, წერილი“ (მოსაუბრისათვის ცნობილი)	шәкәы „რღაც წიგნი, წერილი“ და ა.შ.

წმინდა ფუძით წარმოდგენილი განუსაზღვრელი სახელები ყველაზე ხშირად ანდაზებში დასტურდება. მაგალითად: **лаҗс ла иакуам** „ძუს ძალი არ ერჩისო“, **цыкеи гәырәеи инцәом** „მარილი და დარდი არ გამოილევაო“, **тәи млашыи еибადыраум** „მაძლარი და მშვიერი ერთმანეთს ვერ სცნობენო“...

გავრცელებულია განუსაზღვრელობის გამონათვის სხვა ხერხიც, როცა **a-** პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილ ფუძეს დაერთვის „ერთი“ რიცხვითი სახელის **акы** ფუძისაგან მომდინარე **-к** სუფიქსი. მაგალითად: **ya****к** „ვილაც, ერთი ადამიანი“, **напы-к** „რომელიღაც ხელი“, **шәкәы-к** „რომელიღაც წიგნი, წერილი“, **Маршыан-к** „ვილაც მარშანია“, **Бҗажәна-к** „ვილაც ბლაჯება“, **Цыңьчал-к** „ვილაც ჯინჯოლია“...

ზოგ სახელში თავკიდურა ფუძისეული **ა** ხმოვანი გადააზრიანების შედეგად ზოგადი ფორმის **ა-** პრეფიქსად გაიგება და განუსაზღვრელ ფორმაში ფუძეს ჩამოსცილდება. მაგალითად, აჯაა „სიტყვა“ სახელში თავკიდურა **ა** ხმოვანი ფუძის კუთვნილებაა (აჯაა ← *ააჯაა ← ა-იაჯაა), მაგრამ ამ სახელის განუსაზღვრელ ფორმაში შეიძლება დადასტურდეს როგორც აჯაა-კ, ისე ჯაა-კ „რომელიღაც სიტყვა“ ვარიანტები. ასეთივე ვითარებაა როგორც ძირეულ, ისე ნასესხებ სიტყვებში: აშაა „სიმღერა“, адгьыл ← ადგილი „მიწა; ადგილი“, адрес „მისამართი“, афишар „ოფიცერი“...

5. კუთვნილების კატეგორია. სახელის კუთვნილების კატეგორია აფხაზურში სახელის წმინდა ფუძეზე ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსთა დართვით იწარმოება. ამგვარად მიღებული ფორმა ასრულებს ქართული ენის ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციას, თუმცა ბრუნვა არ არის. კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელური პრეფიქსებია:

	მხ. რ.		მრ. რ.
I პირი	с(ы)-		х(а)-
II პირი	у(ы)- (მამაკ. კლასი) н(ы)- (ქალის კლასი)		шә(ы)-
III პირი	и(ы)- (მამაკ. კლასი) л(ы)- (ქალის კლასი) а- (არაგონ. კლასი)		р(ы)

ამ პრეფიქსთაგან მხოლოდითი რიცხვის მეორე და მესამე პირთა პრეფიქსები განარჩევენ მფლობელის გრამატიკულ კლასს. მეორე პირში ერთმანეთს უპირისპირდება მამაკაცისა და ქალის ქვეკლასები, ხოლო მესამე პირში — მამაკაცის, ქალისა და არაგონიერთა (არაპიროვნებათა) ქვეკლასები. მეორე პირში **у(ы)-** პრეფიქსი განზოგადებულია, იგი გამოიყენება მამაკაცთა და გაპიროვნებული საგნის აღსანიშნავად ქალის გარდა, ხოლო **н(ы)-** პრეფიქსი აღნიშნავს მხოლოდ მდებარეობითი სქესის ადამიანებს. კიდევ უფრო კონკრეტულია დანაწილება მესამე პირ-

ში: **ი(ყ)**- პრეფიქსით აღინიშნება მამაკაცი და მამრობითი სქესისად გაგებული ანთროპომორფული არსებანი (ღმერთი, ანგელოზი, წინასწარმეტყველი, ეშმაკი, ქაჯი, ტყის კაცი...), **ლ(ყ)**- პრეფიქსით აღინიშნება ქალი და მდედრობითი სქესისად მიჩნეული ანთროპომორფული არსებანი (ღვთისმშობელი, ალი, ტყის ქალი...), ხოლო **ა-** პრეფიქსი აღნიშნავს ყველა არაგონიერ არსებასა და მოვლენას, მიუხედავად იმისა, სულიერია მფლობელი, თუ უსულო. მაგალითად:

	მხ. რ.	მრ. რ.
I პირი	სყ-შაჰაყ „ჩემი წიგნი“	ჰა-შაჰაყ „ჩვენი წიგნი“
II პირი	ყყ-შაჰაყ „შენი(მამაკ.) წიგნი“	შაყ-შაჰაყ „თქვენი წიგნი“
III პირი	ბყ-შაჰაყ „შენი(ქ.) წიგნი“	
	იყ-შაჰაყ „მისი(მამაკ.) წიგნი“	
	ლყ-შაჰაყ „მისი(ქ.) წიგნი“	რყ- შაჰაყ „მათი წიგნი“
	ა- შაჰაყ „მისი(არაგონ.) წიგნი“	

6. გარდაქვეითობის ფორმები. არსებით სახელთა გარდაქვეითობის ფორმები დაახლოებით ასრულებს ქართული ენის ვითარებითი ბრუნვის ფუნქციას, თუმცა ბრუნვა არ არის. იგი იწარმოება ზოგადობის **ა-** პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილ წმინდა ფუძეზე **-ც** სუფიქსის დართვით. მაგალითად: **ა-хаца** „მამაკაცი; ქმარი“ — **хаца-ц** „მამაკაცად; ქმრად“, **ა-цас** „წესი“ — **цас-ц** „წესად“, **ა-дцар** „იარალი“ — **дцар-ц** „იარალად“, **ა-уал** „ვალი“ — **уал-ц** „ვალად“, **ა-хацара** „ვაჟაცობა“ — **хацара-ц** „ვაჟაცობად“...

7. ინსტრუმენტალისი. ინსტრუმენტალისის (იარაღობითის) საწარმოებლად სახელის ფუძეს ჩამოშორდება ზოგადობის **ა-** პრეფიქსი და დაერთვის „სუფიქსი“ **-ლა**. ამგვარი ფორმები დაახლოებით უდრის ქართული ენის მოქმედებით ბრუნვას. მაგალითად: **ა-напы** „ხელი“ — **напы-ლა** „ხელით“, **ა-шьапы** „ფეხი“ — **шьапы-ლა** „ფეხით; ქვეითად“, **ა-пънца** „ცხვირი“ — **пънца-ლა** „ცხვირით“, **ა-ყყ** „ცხენი“ — **ყყ-**

ლა „ცხენით“, а-უარдын „ურემი“ — уардын-ла „ურმით“... მრავლობით რიცხვში მდგარ სახელებთან -ла „დამოუკიდებელ ფუძედ“ იქცევა და დაირთავს მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით **ры-** პრეფიქსს, ხოლო არსებითი სახელი წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის ჩვეული ფორმით. მაგალითად: а-напқәа **ры-ла** „ხელებით“, а-шыапқәа **ры-ла** „ფეხებით“, а-һынцақәа **ры-ла** „ცხვირებით“, аеқәа **ры-ла** „ცხენებით“, ауардынқәа **ры-ла** „ურმებით“... ასევე ფორმდება **ла** ელემენტი ნაცვალსახელებთან და საკუთარ სახელებთან ერთად ხმარებისას: сара **сы-ла** „ჩემით, ჩემი მეშვეობით“, уара **уы-ла** „შენით, შენი მეშვეობით“, лара **лы-ла** „მისით, მისი მეშვეობით“, Алиас **иы-ла** „ალიასის მეშვეობით“, Камачыч **лы-ла** „კამაჩიჭის მეშვეობით“...

8. უქონლობის ფორმა. უქონლობას -да სუფიქსი გამოხატავს, რომელიც დაერთვის სახელის წმინდა ფუძეს. მაგალითად: а-хы „თავი“ — хы-да „უთავო“, а-мцәыжәәда „ფრთა“ — мцәыжәәда-да „უფრთო“, а-еы „ცხენი“ — еы-да „უცხენო“... ამგვარ ფორმებს აფხაზურში უფრო ხშირად ზმნისართული მნიშვნელობა აქვთ („უთავოდ“, „უფრთოდ“, „უცხენოდ“...).

9. არსებით სახელთა სიტყვათწარმოების ძირითადი ტიპები. აფხაზურში არსებითი სახელები იწარმოება კომპოზიციის (ფუძეთა შეერთების) ან აფიქსაციის გზით.

კომპოზიციის დროს ერთმანეთს ერწყმის ორი ან მეტი ფუძე და შედეგად მიიღება ახალი რთულფუძიანი სახელი. ამ დროს ზოგადად **а-** პრეფიქსი დაერთვის მხოლოდ ახალი რთული სიტყვის (კომპოზიტის) პირველ წევრ ფუძეს. მაგალითად: аихамәа „რკინიგზა“ (аиха „რკინა“ + а-мәа „გზა“), а-цәаматәа „კავი“ (а-цә „ხარი“ + а-матәа „საგანი; სამოსი“), а-злагара „წისქვილი“ (а-зы „წყალი“ + а-лагара „ფქვა“), а-уасахьча „მეცხვარე“ (а-уаса „ცხვარი“ + а-хьча „მწყემსი; დარაჯი“), а-жәцәимаа „ქალამანი“ (а-жә „ძროხა“ + а-цәა „ტყავი; კანი“ + аимаа „წულა“), а-бласаркья „სათვალე“ (а-бла „თვალი“ + а-саркья „სარკე; მინა“), а-һсадгьыл „სამშობლო“ (а-һсы „სული“, „მიცვალელებული“ + а-дгьыл „მიწა; ადგილი“)... ამ ტიპის წარმოებისას

ხშირად კომპოზიტის ერთი წევრი მსაზღვრელია, მეორე კი — საზღვრული.

ზოგ კომპოზიტში ფუძეები ერთმანეთს მაკავშირებელი **и** „და“ ელემენტით უერთდებიან: **аче-и-цъыка** „ბურმარილი“ (**ача** „ბური“ + **и** „და“ + **ацъыка** „მარილი“), **ацәе-и-жь** „სხეული“ (**ацәа** „ტყავი, კანი“ + **и** „და“ + **ажьы** „ხორცი“)...

რთული არსებითი სახელის (კომპოზიტის) წევრებად შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი (იშვიათად), რიცხვითი სახელი (იშვიათად), მასდარი ან ზმნის წმინდა ფუძე. ბოლო ხანს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ გამოიწვია კომპოზიტის გზით კალკირებულ ნეოლოგიზმთა წარმოქმნის გააქტიურება, რაც ყველაზე მკაფიოდ პრესის ენაში შეიგრძნობა.

აფხაზურში სიტყვათწარმოებით აფიქსთა ერთი ნაწილი დღესაც აქტიური და პროდუქტიულია, ნაწილს კი უკვე აღარ ძალუძს ახალ სიტყვათა წარმოება. არის ნახევარაფიქსებიც, ე. ი. ისეთი დამოუკიდებელი სიტყვები, რომლებიც ზოგჯერ აფიქსებადაც გამოიყენება, ზოგი აფიქსის წარმომავლობა კი ამჟამად სპეციალურ კვლევას მოითხოვს. აფხაზურში ყველაზე გავრცელებულია შემდეგი ძირითადი სიტყვათმწარმოებელი აფიქსები (მათ შორის ზოგი ნახევარაფიქსია):

ა) **განყენებულ, აბსტრაქტულ** ცნებათა მწარმოებელი **-ра** სუფიქსი: **ахаца-ра** „ვაჟკაცობა“, **ацъа-ра** „აფხაზობა“ (აფხაზი კაცისათვის დამახასიათებელ დადებით თვისებათა ერთობლიობა), **абена-ра** „სიმდიდრე“, **агызмал-ра** „ეშმაკობა“, **анасыпда-ра** „უიღბლობა“...

ბ) **პროფესიის, მოქმედის** აღმნიშვნელი **-ды** სუფიქსი, რომელიც აღდამიანის აღმნიშვნელ ძირს ემთხვევა: **арца-ды** „მასწავლებელი“, **аца-ды** „მოსწავლე“, **анха-ды** „გლეხი“, **ашәжәыд-ды** „მწერალი“, **азса-ды** „მოცურავე“, **аныкәа-ды** „მოგზაური“, **ацсах-ды** „მოღალატე“...

გ) **თვისების, ჩვევის, მანერის ან ხერხის** აღმნიშვნელი **-шьа** სუფიქსი: **ауады-шьа** „აღამიანობა“, **аказ-шьа** „თვისება, ხასიათი“, **аныкәа-шьа** „მგზავრობის, სიარულის მანერა“, **ацхьа-шьа** „კითხვის ჩვევა, მანერა“, **азса-шьа** „ცურვის ხერხი“, **ақәпәа-шьа** „ჭიდაობის მანერა, ილეთი“...

დ) **სამოქმედო საგნის ან დანიშნულების -თა** სუფიქსი, რომელიც ემთხვევა **а-тәы** „საკუთრება“ სიტყვის ძირს: **аусу-тә** „სამუშაო, გასაკეთებელი რამ“, **аҧа-тә** „საჭმელი“, **арыжә-тә** „სასმელი, დასალევი“, **аҧи-тә** „გასაყიდი“, **аиҧага-тә** „სათარგმნი“...

ე) **მოქმედების იარაღის** აღმნიშვნელი **-га** სუფიქსი: **ахыс-га** „სასროლი (იარაღი)“, **аҧаҧыныжә-га** „ჩიბუხი, ყალიონი“, ზედმიწ.: „თუთუნის დასალევი (მოსაწევი) იარაღი“, **ажы-га** „ბარი“ („სათხრელი იარაღი“), **арҧа-га** „სახელმძღვანელო (წიგნი)“,...

ვ) **კინობით-აღერსობითი** სახელების მაწარმოებელი **-жә** სუფიქსი, რომელიც უკავშირდება **ажә** „ძველი; ბებერი“ სიტყვის ფუძეს: **аҧакәә-жә** „დედაბერი“, **алыга-жә** „ბერიკაცი“, **агаза-жә** „ბრიყვი, სულელი“, **Манча-жә** „მანჩაია“...

ზ) **ფამილარული მიმართვის -хейт** სუფიქსი, რომელიც მხოლოდ ადამიანის საკუთარ სახელებს დაერთვის: **Манча-хейт** „ჩემო მანჩა, მანჩაჯან“, **Алиас-хейт** „ჩემო ალიას, ალიასჯან“...

თ) **ნაშიერთა ან მცირე ზომის საგანთა** მაწარმოებელი **-с** სუფიქსი: **асы-с** „ბატკანი“, **азы-с** „თიკანი“, **ах,әы-с** „ბზო“, **апы-с** „ჩიტა“, **арҧы-с** „ჭაბუკი“, **анацәкы-с** „ნეკი“...

ი) **ერთეულის, ცალის** აღმნიშვნელი **-к** სუფიქსი, რომელიც ხშირად განუსაზღვრელობასაც გამოხატავს (იხ. ზემოთ): **ыс-к** „ერთი ცხენი“, **шәкәы-к** „ერთი წიგნი“, **хах,ә-к** „ერთი ქვა“, **хаҧа-к** „ერთი კაცი“, **какан-к** „ერთი კაკალი“...

ერთეულის, ცალის აღმნიშვნელი **-ц** სუფიქსი: **ахаҧы-ц** „ცალი კბილი“, **аңы-ц** „ერთი ფოთოლი, ფურცელი“, **ашьы-ц** „ერთი ფუტკარი“, **ахәы-ц** „თმის ღერი“... ზოგჯერ **-ц** და **-к** სუფიქსები ერთადც გამოიყენება: **раса-ц-к** „ერთი ცალი თხილი“, **иҧа-ц-к** „ერთი ფთილა ღრუბელი“... **ц-** შეიძლება პრეფიქსადაც იყოს გამოყენებული ორიოდე ისეთ სახელში, რომლებიც ბუნებრივ წყვილს აღნიშნავენ: **и-ц-напы-к** „მისი (მამაკ.) ცალი ხელი“... მის ადგილას თავისუფლად იხმარება **з-** პრეფიქსიც: **и-з-напы-к** „მისი (მამაკ.) ცალი ხელი“...

კ) **სიმცირის** აღმნიშვნელი **-нә** სუფიქსი, რომელსაც წინ ჩვეულებ-

რივ სიმცირისავე აღმნიშვნელი **-c||→ 3** სუფიქსი უძღვის: **апа-с-на** „ლეკვი“, **арпы-з-на** „ჭაბუკი“, **апх,апы-з-на** „ქალიშვილი“, **ах,аы-з-на** „დანა“...

ლ) **ეთონიზმთა, ტომის სახელთა ან სადაურობის** მაწარმოებელი **-ya** სუფიქსი, რომელიც ემთხვევა ადამიანის აღმნიშვნელ **ya** ძირს: **апысы-ya** „აფხაზი“, **ашаы-ya** „აბაზა“, **ақырт-ya** „ქართველი“, **агры-ya** „მეგრელი“, **ашааны-ya** „სვანი“, **абзып-ya** „ბზიფელი“, **асаз-ya** „საძი, ჯიქი“...

მ) **გვარსახელთა** მაწარმოებლად თავდაპირველად **а-пѣа** „ვაჟი, ძე“ სიტყვის კუთვნილების პრეფიქსიანი **и-пѣа** „მისი (მამაკ.) ძე“ ფორმა დაერთვოდა ძირითად სახელს. ეს წარმოება რამდენიმე გვარსახელს ამჟამადაც შემორჩა: **Инал-ипѣа** „ინალის ძე“, **Запѣшь-ипѣа** „ძაფშის ძე“, **Дадал-ипѣа** „დადალის ძე“, **Патеипѣа** „პატეის ძე“... შემდგომში **ипѣа** ელემენტი შეერწყა წინამავალ საკუთარ სახელებს, დიკარგა კუთვნილების **и-** პრეფიქსი, ხოლო **пѣ-** თანხმოვანი გამჟღერდა. ამ გზით მივიღეთ **-ба** სუფიქსი, რომელიც აფხაზურ გვარსახელთა უმრავლესობას აწარმოებს: **Къец-ба**, **Цъыць-ба**, **Хынтә-ба**, **Шьынкә-ба**, **Чацә-ба**, **Хаг-ба**... წინადადებაში, თუ **-ба** სუფიქსიან გვარსახელს ამ გვარის წარმომადგენელი მამაკაცის სახელი, მაშინ **-ба** სუფიქსი უჩინარდება: **Цъыць Сиуарна**, **Чацә Чагә**, **Шьынкәыр Алхас**... ქალის აღნიშვნისას **-ба** სუფიქსის ნაცვლად **-пѣа** „ასული“ ფუძე ემატება გვარსახელის ძირითად ნაწილს: **Къец-пѣа**, **Цъыць-пѣа**, **Хынтә-пѣа**, **Шьынкәыр-пѣа**, **Чацә-пѣа**, **Хаг-пѣа**... აფხაზური წარმოშობის რამდენიმე გვარსახელს კრებილობის **-аа** სუფიქსიც: **Ашәхәац-аа**, **Бармышь-аа**, **Абһац-аа**, **Агәх-аа**, **Ашьхар-аа**, **Папц-аа**, **Ақырт-аа**... სხვა შემთხვევებში ორი **а** ხმოვნით გადმოიცემა ქართველური წარმოშობის გვარსახელები, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენაში **-ვა** დაბოლოებით გვხვდება: **Чытанаа** ← ჭითანავა, **Сычынаа** ← სიჭინავა...

ნ) **ადგილის** აღმნიშვნელი **-ѣа** სუფიქსი: **агә-ѣа** „შუა ადგილი, შუაგული“, **агәар-ѣа** „ქართა, საქონლისათვის შემოღობილი ადგილი“... ეს სუფიქსი ხშირად გვხვდება ტოპონიმებშიც: **Бзып-ѣа** „ბზიფის ხეობა“, **Мчышь-ѣа** „მჭიშთა“... ადგილის აღმნიშვნელია აგრევე რთული **-р-ѣа**, **-с-ѣа**, **ѣ-ра** სუფიქსები: **аусу-рѣа** „სამუშაო ადგილი, სამსახური“, **ацә-**

რტა „საწოლი“, **აფხა-რტა** „სამკითხველო“... **აშაახ-სტა** „ნაიარევი“, **ამდაჰა-სტა** „ბილიკი“, **ამხუ-სტა** „ყანა, საყანე“... **აჟა-ტრა** „ბოსელი, საძროხე“, **აჰა-ტრა** „სალორე“, **აე-ტრა** „თავლა“, **აუ-ტრა** „ბოსტანი“..

ო) **ტობონიმთა** მაწარმოებელი **-რყნშ** სუფიქსი, რომელშიც **რ** თანხმოვანი შესადლოა კუთვნილების პრეფიქსი იყოს, ხოლო **ნშ** ელემენტის რაობა ჯერჯერობით გარკვეული არ არის: **და-რყნშ** „დურითში“, **ჯაანდა-რყნშ** „ზვანდრითში“, **გაჟ-რყნშ** „გულრითში“, **ცანდ-რყნშ** „ცანდრითში“... ტობონიმებს აწარმოებს აგრეთვე რთული **-რ-ჰა** „მათი გორა, მათი ბორცვი“ ნახევარსუფიქსი: **ცყ-რჰა** „ჯირბა“, **ბლბ-რჰა** „ბლაბურბა“, **მგაჟ-რჰა** „მგუძირბა“, **ქალან-რჰა** „ყვლანურბა“... ორიოდ ტობონიმში დასტურდება აგრეთვე **-ყნ||-ნყ** სუფიქსი: **აჟ-ნყ** „აფხაზეთი“, **აგყ-ნყ** „სამეგრელო“, **ჯყ-ნყ** „ჯიქეთი“, **ბჟ-ნყ** „ბზიფის აფხაზეთი“...

ბ) **ნაშრომის, ნაკეთობის** აღმნიშვნელი **-მტა** სუფიქსი: **ად-მტა** „ნაწერი, თხზულება“, **აუს-მტა** „ნაშრომი“, **აკაჰა-მტა** „ნაკეთობა“, **არჟია-მტა** „ნაწარმოები“...

ჟ) **მამრობითი სქესის** ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი **-ნჟ** ნახევარსუფიქსი: **არბა-ნჟ** „მამალი“, **აჰა-ნჟ** „კურო“, **აჟ-ნჟ** „ყოჩი“, **აბა-ნჟ** „ვაცი“... იგივე ელემენტი არის სიტყვაში **აკაჰა-ნჟ** „კვერცი“.

რ) **სნეულების** აღმნიშვნელი **-ხჟ** ნახევარსუფიქსი, რომელიც **აჟა** „ტკივილი“ სიტყვის ძირს უკავშირდება: **აჟ-ხჟ** „თავის ტკივილი, შაკიკი“, **ამგაჟ-ხჟ** „მუცლის ტკივილი“, **აგაჟ-ხჟ** „გულის ტკივილი“...

ს) **ვაჟის** აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი **-ჟჟ**, რომელიც **აჟ** „ყურძენი“ სიტყვას უკავშირდება: **აჟ,აჟ,აჟ-ჟჟ** (ზედმიწ. „მტრედყურძენი“), **აჟა-ჟჟ** (ზედმიწ. „აფხაზური ყურძენი“), **აგაჟ-ჟჟ** (ზედმიწ. „მეგრული ყურძენი“), **აჟ-ჟჟ** (ზედმიწ. „ზამთრის ყურძენი“), **აჟ-ჟჟ** (ზედმიწ. „წყალყურძენი“)...

ზედსართავი სახელი

აფხაზურში ქართულის მსგავსად განირჩევა ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელები.

1. **ვითარებითი ზედსართავი** პირველადი ფუძეა და არ არის მიღებული სხვა მეტყველებების ნაწილისაგან. მას რაიმე საგანგებო აფიქსი არ დაერთვის. შესიტყვებაში ვითარებითი ზედსართავი მსაზღვრელია და მოსდევს არსებითი სახელით ან სხვა მეტყველებების ნაწილით გამობნ-ტულ საზღვრულს, რითაც ემსგავსება ძველი ქართულის ზედსართავებს. მაგალითად: ахахә ду „დიდი ქვა“, ашәкәы бзиа „კარგი წიგნი“, ацкы кәпшь „წითელი კაბა“, ашьха хәрак „მალალი მთა“, атыпхәа пьшза „ლამაზი ქალიშვილი“, Амшын Еикәа „შავი ზღვა“... ასეთ დროს ზედ-სართავ სახელს არ დაერთვის არც ზოგადობის პრეფიქსი.

მრავლობით რიცხვში ვითარებითი ზედსართავი სახელი დაირთავს მხოლოდ **-კәа** სუფიქსს, მიუხედავად იმისა, წინამავალი არსებითი სა-ხელი ადამიანის კლასისაა თუ არაგონიერთა კლასისა. ამასთანავე არა-გონიერთა კლასის არსებითი სახელით გადმოცემული საზღვრული არ დაირთავს მრავლობითი რიცხვის სუფიქსს, განსხვავებით ადამიანის კლასის სახელებისაგან, რომლებსაც დაერთვის მრავლობითი რიცხვის **-цәа** სუფიქსი. მაგალითად:

ахахә ду-**кәа** „დიდი ქვები“ (ზედმიწ.: „ქვა დიდები“), ашәкәы бзиа-**кәа** „კარგი წიგნები“ („წიგნი კარგები“), ацкы кәпшь-**кәа** „წი-თელი კაბები“ („კაბა წითლები“), ашьха хәрак-**кәа** „მალალი მთები“ („მთა მალლები“)...

შდრ.: атыпхәа-**цәа** пьшза-**кәа** „ლამაზი ქალიშვილები“ („ქალი-შვილები ლამაზები“), атахмад-**цәа** кәыш-**кәа** „ბრძენი ბერიკაცები“ („ბერიკაცები ბრძენები“), ацаә-**цәа** бзиа-**кәа** „კარგი მოსწავლეები“ („მოსწავლეები კარგები“)...

ვითარებით ზედსართავ სახელთა შედარებითი ხარისხის ფორმა იწარმოება აღწერით — аихәа „მეტად, უფრო“, ацкыс „უფრო, ვიდრე“ დამოუკიდებელ სიტყვათა კუთვნილებითი ფორმის დამატებით. ამ დროს ზედსართავი სახელი ფორმდება სტატეკური ზმნის სახით: уи еихәа идууп „იგი უფრო დიდი“, еихәа имариоуп „უფრო ილია“, Алхас сара сацкыс дкәышуп „ალხასი ჩემზე უფრო ჰკვიანია“, ацкыс иеибыу „უფრო კარგი, უმჯობესი, უკეთესი“.

ვითარებით ზედსართავთა აღმატებით ხარისხს აწარმოებს ინტენსივობის **-za** სუფიქსი ან მისი გაორმაგებული **-zza** (იშვიათად) ვარიანტი: аду „დიდი“ — ду-**zza** „უდიდესი, ძალზე დიდი“, алас „მსუბუქი“ — лас-**za** „ძალზე მსუბუქი“, ааажь „ყვითელი“ — аажь-**za** „ძალზე ყვითელი, უყვითლესი“... ამ რიგის ზედსართავთა დიდი ნაწილი კონტექსტის მიხედვით ზმნისართების როლსაც ასრულებს. აღმატებითი ხარისხი აღწერთაც, ლექსიკური საშუალებითაც გამოიხატება. საამისოდ გამოიყენება даара(za) „ძლიან“, кырза „ბევრად“ სიტყვები, რომლებიც დაერთვის სტატიკურ ზმნად ქცეულ ვითარებით ზედსართავ სახელს: даара и-уааады-уп „ძლიან ძნელია, უძნელესია“, кырза и-бзио-уп „ძალზე კარგია, გაცილებით უკეთესია“...

თვისების ინტენსიურობას, სიძლიერეს გამოხატავენ აგრეთვე ვითარებით ზედსართავ სახელებზე დართული გაორკეცებული ნმაბაძვითი სუფიქსები **-кәәкәара, -какара, -цәцәра, -җаҗара, -шьшьыра**, რომლებიც შეიძლება **-za** სუფიქსსაც დაირთავდნენ: ашьза-кәәкәара „ძლიან ლამაზი, კობტა“, икашьшь-какара-**za** „ძალზე წითელი, უწითლესი“, акәанда-шьшьыра „ძალზე თბილი“...

ვითარებით ზედსართავთა ოდნაობითი ხარისხი იწარმოება **цәы-**ბრეფიქსით: а-**цәы-капшь** „მოწითალო“, а-**цәы-хәа** „მონაცრისფრო, მორუხო“, а-**цәы-хәашь** „ოდნავ მღვრიე“, а-**цәы-аажь** „მოყვითალო“...

2. მიმართებითი ზედსართავი სახელები აფხაზურში ძირითადად იწარმოება მეტყველების სხვა ნაწილთა ფუძეებისაგან. ამ მიზნით გამოიყენება დანიშნულების, კუთვნილების აღმნიშვნელი **-тә(ы)||-тәи** სუფიქსი, რომელიც უკავშირდება а-**тәы** „საკუთრება“ სიტყვის ძირს. ასე მიღებული მიმართებითი ზედსართავები ვითარებით ზედსართავთაგან განსხვავებით წინ უძღვის საზღვრულს. მაგალითად: **цыпх-тәи** аеаара „მარშანდელი მოსავალი“, **иахьа-тәи** амш „დღევანდელი დღე“, **цака-тәи** ахапшь „ქვედა კბილი“, **ахаҗә-тә** гәара „ქვის ღობე, ყორე“, **асахьаркыра-тә** литература „მხატვრული ლიტერატურა“, **анаука-тә** усзуды „მეცნიერი თანამშრომელი“..

რიცხვითი სახელი

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელი. აფხაზურში რაოდენობითი რიცხვითი სახელი განარჩევს ორ გრამატიკულ კლასს — ადამიანისა და არაგონიერთა კლასებს. ადამიანის კლასს გამოხატავს ზოგადობის **ა**-პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილი რიცხვითი სახელის ფუძეზე დართული **-აყ** სუფიქსი, ხოლო არაგონიერთა კლასის აღმნიშვნელია ასევე ზოგადობის **ა**-პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილ ფუძეზე დართული **-ნა** სუფიქსი. გამონაკლისია „ერთის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი, რომელსაც კლასის ნიშნები კი არ დაერთვის, არამედ ადამიანის კლასში იყენებს **აჟაყ** „ერთი (ვინმე)“ ფუძეს, ხოლო არაგონიერთა კლასში **-აკყ** „ერთი (რამე)“ ფუძეს. „ორის“ აღმნიშვნელი **ა(ყ)** ძირი არაგონიერთა კლასში ფორმდება ამ კლასისათვის ნიშანდობლივი **-ნა** სუფიქსით, ხოლო ადამიანთა კლასის აღმნიშვნელად იყენებს თავისებურ **-ჟა** სუფიქსს, რომელიც არცერთ სხვა რიცხვით სახელს არ დაერთვის (**ა-ნა** „ორი რამ“, **აყ-ჟა** „ორი ვინმე“).

„სამი“ რიცხვითი სახელიდან მოკიდებული ადამიანის კლასის რაოდენობით რიცხვით სახელებს დამატებით ერთეულის აღმნიშვნელი **-კ** სუფიქსიც დაერთვის.

პირველი ათეულის რაოდენობითი რიცხვითი სახელებია:

არაგონიერთა კლასი	გონიერთა კლასი
1. აკყ	აჟაყ
2. ა-ნა	აყ-ჟა
3. ა-ნა ← *ა-ნა	აყ-აყ(-კ)
4. აჟაყ-ნა	აჟაყ-აყ(-კ)
5. აჟა-ნა	აჟაყ-აყ(-კ)
6. ა-ნა	ა-აყ(-კ)
7. აჟა-ნა	აჟაყ-აყ(-კ)
8. აა-ნა	აა-აყ(-კ)
9. აჟა-ნა	აჟა-აყ(-კ)
10. აჟა-ნა	აჟა-აყ(-კ)

მეორე ათეულის რაოდენობითი რიცხვითი სახელები ასე იწარმოება: „ათის“ აღმნიშვნელ **ჯაა** ძირს ემატება სხვა მარტივი სახელის ძირი, ამასთანავე არაგონიერთა კლასის **-ნა** სუფიქსი აღარ გამოიყენება, ხოლო ადამიანის კლასში **-ფი** სუფიქსის დართვა აუცილებელია. მეორე ათეულის რაოდენობითი რიცხვითი სახელებია:

არაგონიერთა კლასი	გონიერთა კლასი
11. ჯაე-ი-ზა	ჯაე-ი-ზა-ფი(-კ)
12. ჯაა-ფა	ჯაა-ფა-ფი(-კ)
13. ჯაა-ხა	ჯაა-ხა-ფი(-კ)
14. ჯა-ი-ჩაშ	ჯა-ი-ჩაშ-ფი(-კ)
15. ჯაო-ხა	ჯაო-ხა-ფი(-კ)
16. ჯაა-ფ	ჯაა-ფ-ფი(-კ)
17. ჯა-ი-ბაშ	ჯა-ი-ბაშ-ფი(-კ)
18. ჯა-აა	ჯა-აა-ფი(-კ)
19. ჯე-ი-ჯა	ჯე-ი-ჯა-ფი(-კ)

ამ ათეულის რიცხვით სახელთა წარმოებისას ხდება ზოგი ფონეტიკური ცვლილება. კერძოდ: 1. „თერთმეტის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელში გამოყენებულია „ერთის“ აღმნიშვნელი **ჯა** ძირი, რომელიც ამჟამად დამოუკიდებლად აღარ იხმარება; 2. „თორმეტისა“ და „ცამეტის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელებში გამოიყენება „ორისა“ და „სამის“ აღმნიშვნელი სრულხმოვნანი **ფა** და **ხა** ძირები, რომლებიც დამოუკიდებლად ხმარებისას კლასის სუფიქსთა ზეგავლენით იკვეცენ **ა** ხმოვანს (შდრ.: ჯაა-ფა „თორმეტი“ და *ფა-ნა → ფ-ნა „ორი“, *ფა-ჩა → ფ-ჩა „ორი“; ჯაა-ხა „ცამეტი“ და *ხა-ნა → ხ-ნა „სამი“, *ხა-ფა → ხ-ფი „სამი“); 3. „თერთმეტისა“ და „ცხრამეტის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები მატერიალურად ერთი და იმავე ელემენტებისაგან შედგებიან (ჯაე-ი-ზა ← ჯაა „ათი“, ი „და“, ჯა „ერთი“, ჯე-ი-ჯა ← ჯა „ერთი“, ი „და“, ჯაა „ათი“), ოღონდ წყობაა საპირისპირო; 4. „თერთმეტის“, „თოთხმეტის“, „ჩვიდმეტისა“ და „ცხრამეტის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები შეიცავს მაკავშირებელ **ი** „და“ ელემენტს, სხვა რიცხვითი სახელები კი მის გარეშე არიან წარმოდგენილი.

„ოცის“ აღმნიშვნელი **ააჯაა** ← და „ორი“ + ჯაა „„ათი“, ე. ი. აგებულია ათობითი თვლის სისტემის საფუძველზე.

„ოცის“ შემდგომ „ოცდაცხრამეტის“ ჩათვლით რიცხვითი სახელები იწარმოება შემდეგნაირად: აღებულია „ოცის“ აღმნიშვნელი **ააჯაა** ფუძე და ემატება რიცხვითი სახელები „ერთიდან“ „ცხრამეტამდე“. „ოცის“ აღმნიშვნელ ფუძესა და მასზე დართული რიცხვითი სახელის ფუძეს შორის ჩაირთვის კავშირის **ი** ელემენტი, რომლის გავლენითაც „ოცის“ აღმნიშვნელ ფუძეს **ა** ხმოვანი ეცვლება ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად **ე** ხმოვნით, ან სრული ასიმილაციით ერწყმის **ი** ელემენტს:

არაგონიერთა კლასი	გონიერთა კლასი
21. ააჯ(ე)ი აკყ	ააჯა(ე)ი აჯყ
22. ააჯა(ე)ი აბა	ააჯა(ე)ი აბყა
23. ააჯა(ე)ი აბა	ააჯა(ე)ი აბყ(-კ)
24. ააჯა(ე)ი აბყა	ააჯა(ე)ი აბყაყ(კ)
25. ააჯა(ე)ი აბა	ააჯა(ე)ი აბაყ(კ)
26. ააჯა(ე)ი აბა	ააჯა(ე)ი აბაყ(კ)
27. ააჯა(ე)ი აბყა	ააჯა(ე)ი აბყაყ(კ)
28. ააჯა(ე)ი ააბა	ააჯა(ე)ი ააბაყ(კ)
29. ააჯა(ე)ი ააბა	ააჯა(ე)ი ააბაყ(კ)
30. ააჯა(ე)ი ააბა	ააჯა(ე)ი ააბაყ(კ)
31. ააჯა(ე)ი ააეიზა	ააჯა(ე)ი ააეიზაყ(კ)
32. ააჯა(ე)ი აააა	ააჯა(ე)ი ააააყ(კ)
33. ააჯა(ე)ი აააა	ააჯა(ე)ი ააააყ(კ)
34. ააჯა(ე)ი ააიბყა	ააჯა(ე)ი ააიბყაყ(კ)
35. ააჯა(ე)ი ააოა	ააჯა(ე)ი ააოაყ(კ)
36. ააჯა(ე)ი აააფ	ააჯა(ე)ი აააფყ(კ)
37. ააჯა(ე)ი ააიბჯ	ააჯა(ე)ი ააიბჯყ(კ)
38. ააჯა(ე)ი აააა	ააჯა(ე)ი ააააყ(კ)
39. ააჯა(ე)ი ააეიჯ	ააჯა(ე)ი ააეიჯყ(კ)

ოცეულთა სახელების წარმოება ასეთია: „ორმოცს“ აღნიშნავს

ღყ-ნ-ღაჟჟა რიცხვითი სახელი (არაგონ. კლ.) ან **ღყ-ნ-ღაჟჟა-ღყ(კ)** (აღამ. კლ.), „სამოც“ აღნიშნავს **ხყ-ნ-ღაჟჟა** (არაგონ. კლ.) ან **ხყ-ნ-ღაჟჟა-ღყ(კ)** (აღამ. კლ.), ხოლო „ოთხმოც“ — **ქშყყ-ნ-ღაჟჟა** (არაგონ. კლ.) ან **ქშყყ-ნ-ღაჟჟა-ღყ(კ)**. აღნიშნულ სახელებში თავში მდგომი **ღყ** „ორის“ აღმნიშვნელია, **ხყ** „სამისა“, **ქშყყ** „ოთხისა“, ხოლო მათი მომდევნო **ნ** თანხმოვანი ჯერობის აღმნიშვნელია, ე. ი. „ორმოცი“ ითარგმნება როგორც „ორჯერ ოცი“, „სამოცი“ — „სამჯერ ოცი“, „ოთხმოცი“ — „ოთხჯერ ოცი“.

მესამე (40-დან 59-ის ჩათვლით), მეოთხე (60-დან 79-ის ჩათვლით) და მეხუთე (80-დან 99-ის ჩათვლით) ოცეულებში შემავალი რიცხვითი სახელები იწარმოება მეორე ოცეულის (20-დან 39-ის ჩათვლით) რიცხვით სახელთა მსგავსად, ე. ი შესაბამისი ოცეულის სახელს ემატება ერთეულის სახელი. მაგალითად: 49 — **ღყნღაჟჟ(ე)ი ჯჟნა**, 77 — **ხყნღაჟჟ(ე)ი ჯჟნბჟ**, 99 — **ქშყყნღაჟჟ(ე)ი ჯეიჟა** და ა. შ.

„ასის“ სახელია **შა-ყყ** (არაგონ. კლ.), **შა-ღყ(-კ)** (აღამ. კლ.), სადაც **-ყყ** განსაზღვრულობის სუფიქსია, ხოლო **-ღყ** აღამიანთა კლასის სუფიქსი. 100—დან 199-ის ჩათვლით წარმოება ამ ტიპისაა: აღებულია „ასის“ სახელი უკლასნიშნოდ და ემატება შესაბამისი რიცხვის ფუძე **ი** მაკავშირებელი ელემენტის მეშვეობით — **შა-ი აყყ** (არაგონ. კლ.), **შა-ი აჟჟყ** (აღამ. კლ.) „ას ერთი“, **შა-ი დნა** (არაგონ. კლ.), **შა-ი დყჟყ** (აღამ. კლ.) „ას ორი“ და ა. შ.

ასეულთა სახელები ქართულის შესაბამის რიცხვით სახელთა მსგავსად იწარმოება: **ღყ-შა** (არაგონ. კლ.), **ღყ-შა-ღყ(კ)** (აღამ. კლ.) „ორასი“, **ხყ-შა** (არაგონ. კლ.), **ხყ-შა-ღყ(კ)** (აღამ. კლ.) „სამასი“, **ქშყყ-შა** (არაგონ. კლ.), **ქშყყ-შა-ღყ(კ)** (აღამ. კლ.) „ოთხასი“, **ხჟყ-შა** (არაგონ. კლ.), **ხჟყ-შა-ღყ(კ)** (აღამ. კლ.) „ხუთასი“, **ფყ-შა** (არაგონ. კლ.), **ფყ-შა-ღყ(კ)** (აღამ. კლ.) „ექვსასი“, **ბჟყყ-შა** (არაგონ. კლ.), **ბჟყყ-შა-ღყ(კ)** (აღამ. კლ.) „შვიდასი“, **აა-შა** (არაგონ. კლ.), **აა-შა-ღყ(კ)** (აღამ. კლ.) „რვაასი“, **ჯჟყ-შა** (არაგონ. კლ.), **ჯჟყ-შა-ღყ(კ)** (აღამ. კლ.) „ცხრაასი“.

ათასს აღნიშნავს **ჰყყყ** (არაგონ. კლ.), **ჰყყყღყ(კ)** (აღამ. კლ.). დანარჩენ ათასეულთა სახელები ასე აიგება: 2000 — **ღყნჰყყ** (არაგონ.

კლ.), **ფხვჭყჲდჲ(კ)** (ადამ. კლ.), 3000 — **ხჩჲჭყჲ** (არაგონ. კლ.), **ხჩჲჭყჲდჲ(კ)** (ადამ. კლ.)... აქ **ჩ** თანხმოვანი ჯერობის აღმნიშვნელი ელემენტი. ათასეულებს შორის თვლა ზუსტად ისევე გრძელდება, როგორც ასეულებს შორის: **ჭყჲ აკჲ** (არაგონ. კლ.), **ჭყჲ აჯჲჲ** „ათას ერთი“ (ზედმიწ. „ათასი და ერთი“), **ფხვჭყჲ აკჲ** (არაგონ. კლ.), **ფხვჭყჲ აჯჲჲ** (ადამ. კლ.) „ორი ათას ერთი“ (ზედმიწ. „ორი ათასი და ერთი“)...

2. კრებითი რიცხვითი სახელები. კრებითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელზე **ა-** პრეფიქსის დართვით: **ა-ჩაჩა** „ხუთივე“, **ა-ჯააჩა** „ათივე“... მაგრამ უფრო გავრცელებულია რაოდენობით რიცხვით სახელზე **ა-** პრეფიქსისა და **-გჲჲ** „-ც“ ნაწილაკის ერთდროული დართვა: **ა-ჩაჩა-გჲჲ** „ხუთივე“, **ა-ჯააჩა-გჲჲ** „ათივე“, **ა-ჩააფჲჲ-გჲჲ** „ხუთივენი“, **ა-ჯაააფჲჲ-გჲჲ** „ათივენი“... ხშირად **ა-** პრეფიქსს ენაცვლება კუთვნილების ნაცვალსახელური პრეფიქსები: **ჩა-ჩააფჲჲ-გჲჲ** „ჩვენ ხუთივენი“, **შაჲჲ-ჩაჲჲაფჲჲ-გჲჲ** „თქვენ ხუთივენი“, **რჲჲ-ჩააფჲჲ-გჲჲ** „ისინი ხუთივენი“...

3. რიგობითი რიცხვითი სახელი. რიგობითი რიცხვითი სახელიც რაოდენობით რიცხვით სახელზე დაყრდნობით იწარმოება. ამისათვის ერთდროულად გამოიყენება **ა-** პრეფიქსი და დანიშნულების **-თჲჲ** სუფიქსი: **ა-აჩა-თჲჲ** „მეორე“, **ა-ჩაჩა-თჲჲ** „მესამე“, **ა-ჩაააჩა-თჲჲ** „მეოთხე“... რიგობითი რიცხვითი სახელის საწარმოებლად თითქმის მუდამ არაგონიერთა კლასის **-ნა** სუფიქსიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელი გამოიყენება.

აფხაზურში, ისევე როგორც ქართულში, „პირველი“-სათვის სხვა ფუძე გამოიყენება. საამისოდ აღებულია **აჩაჩა** „წინ, წინა“ ზმნისართი, რომელსაც დანიშნულების იგივე **-თჲჲ** სუფიქსი დაერთვის: **აჩაჩა-თჲჲ** „პირველი“. ამ რიცხვით სახელს ხშირად აქვს **რ-აჩაჩა-ჯა-თჲჲ** „მათგან უწინარესი, უპირველესი“ ფორმა.

4. მიახლოებითი რიცხვითი სახელი. მიახლოებითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელზე **აკარა** „ტოლი,

ოდენი“ სიტყვისაგან მომდინარე **-ka** სუფიქსის დართვით: **აბა-ka** „ორიოდე რამ“, **აყყა-ka** „ორიოდე ვინმე“... იგივე მნიშვნელობა გადმოიცემა რაოდენობით რიცხვით სახელთა ან მიახლოებით რიცხვით სახელთა ჩამოთვლითაც: **აბა-ჩიჩა** „ორი-სამი რამ“, **აყყა-ხაყყ** „ორი-სამი ვინმე“, **აბაკა-ჩიჩაკა** „ორიოდ-სამიოდ რამ“, **აყყაკა-ხაყყაკა** „ორიოდ-სამიოდ ვინმე“...

5. წილობითი რიცხვითი სახელი. თუ წილადის მრიცხველი „ერთი“, მაშინ მნიშვნელის როლში მყოფ რაოდენობით რიცხვით სახელს ერთვის სიტყვა **p-ak** „მათგან ერთი, ერთი მათგანი“: **ჩიჩა-p-ak** „ერთი მესამედი“, **ჩიჩა-p-ak** „ერთი მეოთხედი“, **აბა-p-ak** „ერთი მეხუთედი“...

წილობითი სახელი აფხაზურში აღწერილია გადმოიცემა: **აყყარა იშანი ხაჟაკ** „ერთი მეორედი“ (ზედმიწ.: „ორგან გაყოფილის ერთი ნაწილი“), **აყყარა იშაყი ხაჟაკ** „ერთი მესამედი“, **აყყარა იშანი აყყაჟაკ** „ორი მესამედი“ (ზედმიწ. „სამგან გაყოფილის ორი ნაწილი“)...

ნახევარს აღნიშნავს სიტყვა **აბჟა**: **აჟა აბჟა** „ვამლის ნახევარი, ნახევარი ვაში“, **კილოკი ბჟაკი** „კილონახევარი“, **აბა რაბჟა** „ცხრის ნახევარი“... ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება ფორმა **აბჟა-აჟაბჟა** „ნახევრის ნახევარი, მეოთხედი“ (ზედმიწ. „ნახევარი — ისევე ნახევარი“).

6. ჯერობითი რიცხვითი სახელი. ჯერობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელზე რთული **-h-ta** სუფიქსის დართვით, რომელშიც **-h** ჯერობითის სუფიქსია, **-ta** კი დანიშნულებისა, კუთვნილებისა: **აყ-h-ta** „ორჯერ“, **აყ-h-ta** „სამჯერ“, **აჟ-h-ta** „ასჯერ“... „ერთი“ რიცხვითი სახელისაგან ჯერობის საწარმოებლად აიღება **za** „ერთი“ რიცხვითი სახელის **z** ელემენტი და ერთვის **-h-y-k** სუფიქსები: **z-h-y-k** „ერთხელ“.

7. ჯუფთობის სახელები. ქართული „ორ-ორ“-ის ანალოგიურად იწარმოება ჯუფთობის რიცხვითი სახელები აფხაზურშიც: **აკ-აკა** „თითო-თითო“, **აბა-აბა** „ორ-ორი რამ“, **აყყა-აყყა** „ორ-ორი ვინმე“, **ჩიჩა-ჩიჩა** „სამ-სამი რამ“, **აყყ-აყყ** „სამ-სამი ვინმე“... „თითო-თითოდ,

სათითაოდ“ იქნება აკაკალა (არაგონ. კლ.), ავაავალა (აღამ. კლ.), „ორ-ორად, წყვილ-წყვილად“ — დნა-დნალა (არაგონ. კლ.), дыцца-дыццალა (აღამ. კლ.), „სამ-სამად“ — хпѣа-хпѣალა (არაგონ. კლ.), хды-хдыლა (აღამ. კლ.) და ა. შ.

ნაცვალსახელი

აფხაზური ენის სპეციფიკიდან გამომდინარე ამ ენაში ნაცვალსახელი განსაკუთრებული მნიშვნელობის მეტყველების ნაწილია. განსაკუთრებით ითქმის ეს კლასოვან-პიროვან და ჩვენებით ნაცვალსახელებზე, რომლებიც აფხაზურში დამოუკიდებელ სიტყვებად გვევლინებიან, მაშინ როდესაც კუთვნილებითი და კითხვითი ნაცვალსახელები ამ ენას საერთოდ არ მოეპოვება და მათ როლს სხვა წარმოებები ასრულებენ.

1. კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელი. აფხაზურ ენას ქართული და მრავალი სხვა ენისაგან განსხვავებით პირის ნაცვალსახელები არა აქვს. მის როლს ასრულებენ კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელები, რომლებიც ერთდროულად გამოხატავენ როგორც გრამატიკულ კლასს, ისე პირსაც. ისინი განარჩევენ სამ პირს, ორ რიცხვსა და სამ გრამატიკულ კლასს. სულ 9 კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელი გამოიყოფა, რომელთაგან მრავლობით რიცხვში გამოყენებული სამი ნაცვალსახელიდან არცერთი არ გამოხატავს გრამატიკულ კლასს, ისინი წმინდა პირის ნაცვალსახელებია, ასევე არ გამოიხატება გრამატიკული კლასი პირველი პირის მხოლოდობით რიცხვში გამოყენებულ ნაცვალსახელშიც. რაც შეეხება დანარჩენ 5 ნაცვალსახელს, ისინი კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელებია და განარჩევენ როგორც გრამატიკულ კლასს, ისე პირებსაც. მეორე პირის კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელები გამოხატავენ მხოლოდ მამაკაცისა და ქალის გრამატიკულ ქვეკლასებს, ხოლო მესამე პირის ნაცვალსახელები — მამაკაცის, ქალისა და არაგონიერთა ქვეკლასებს. კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელებია:

I პირი	сара „მე“	хара „ჩვენ“
II პირი	уара „შენ“ (მამაკ. კლ.)	шәара „თქვენ“
	нара „შენ“ (ქალის კლ.)	
III პირი	иара „ის“ (მამაკ. კლ.)	дара „ისინი“
	лара „ის“ (ქალის კლ.)	
	иара „ის“ (არაგონ. კლ.)	

როგორც ამ ცხრილიდანაც ჩანს, მხოლოდითი რიცხვის მეორე პირში არ გამოიხატება არაგონიერთა კლასი, რაც სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან II პირი თანამოსაუბრეს აღნიშნავს, თანამოსაუბრედ კი არაგონიერი არსება ან საგანი არ გამოდგება. ამ მიზეზის გამო ისეთ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია არაგონიერ არსებათა თუ საგანთა პერსონიფიციკრება (ზღაპრებში, ცხოველ-ფრინველთა დატუქსვა ან ქება, ემოციურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მიმართვა რაიმე საგნის ან მოვლენისადმი...), ხდება ერთ-ერთი ქვეკლასის, ამ შემთხვევაში მამაკაცის კლასის განზოგადება და გამოიყენება **уара** ნაცვალსახელი: **арахь уабацо уара, ацә?** „აქეთ საით მიხვალ, ხარო?“ და ა. შ. როგორც ჩანს, ამ გზით არის მიღებული აგრეთვე III პირის მამაკაცის კლასის ნაცვალსახელისაგან არაგონიერთა კლასის **иара „ის“** ნაცვალსახელიც.

ყველა კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელი შეიძლება გამოყენებული იყოს უფრო მარტივი ფორმითაც, როცა სიტყვას ჩამოეცლება **-ра** სუფიქსი: **са „მე“**, **уа „შენ“** (მამაკ.), **на „შენ“** (ქ.), **иа „ის“** (მამაკ. და არაგონ.), **ла „ის“** (ქ.), **ха „ჩვენ“**, **шәа „თქვენ“**, **да „ისინი“**. ამასთან **да** სახეობა ყველაზე იშვიათად იხმარება.

მრავლობითი რიცხვის **хара „ჩვენ“** და **шәара „თქვენ“** ნაცვალსახელების გვერდით შედარებით იშვიათად გამოიყენება აგრეთვე **-т** სუფიქსიანი **хар-т „ჩვენ“** და **шәар-т „თქვენ“** ფორმებიც, მაგრამ ამ ოთხი ნაცვალსახელის ხმარების კანონზომიერების დადგენა ამჟამად ჭირს.

2. ჩვენებითი ნაცვალსახელი. ჩვენებითი ნაცვალსახელები აღნიშნავენ მისათითებელი საგნის მოლაპარაკისაგან ახლოს ან შორს ყოფნას. ჩვენებითი ნაცვალსახელებიც შეიძლება შეგვხვდეს სრული ან მარტივი სახით:

მხ.რ.

მრ.რ.

მოლაპარაკესთან ახლოს მყოფი — აბრი||არი „ეს“ აბარტ||არტ „ესენი“
მოშორებით მყოფი და ხილული — აბნი||ანი „ეგ,ის“ აბანტ||ანტ „ეგენი,
ისინი“

შორს მყოფი და უკვე ხსენებული—უბრი||უი „ის,იგი“ უბარტ||ურტ „ისინი“

ჩვენებითი ნაცვალსახელები — უბრი||უი „ის,იგი“ უბარტ||ურტ „ისინი“
ხშირად ენაცვლებიან მესამე პირის კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელებს.
შესიტყვებაში ყველა ჩვენებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელია და წინ
უძღვის საზღვრულს. მაგალითად: აბრი||არი აფნი „ეს სახლი“, აბნი||ანი
აფნი „ეგ სახლი“, უბრი||უი აფნი „ის სახლი“, აბარტ||არტ აფნკჳა „ეს სახლე-
ბი“, აბანტ||ანტ აფნკჳა „ეგ სახლები“, უბარტ||ურტ აფნკჳა „ის სახლები“.

3. კუთვნილებითი ნაცვალსახელის შინაარსის გამოხატვა.

ქართული ენისაგან განსხვავებით, რომელშიც არის „ჩემი“, „შენი“, „მი-
სი“, „ჩვენი“, „თქვენი“, „მათი“, „თავისი“, „თავიანთი“ კუთვნილებითი
ნაცვალსახელები, აფხაზურში არ არის ამგვარი დამოუკიდებელი სი-
ტყეები და კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლს ასრულებენ ე. წ. ლ-
ს რიგის ნაცვალსახელური წარმოშობის კუთვნილებითი პრეფიქსები:
ც(ყ)-, ყ(ყ)-, ნ(ყ)-, ი(ყ)-, ლ(ყ)-, ა-, ჯ(ა)-||აჯ||ჯ-, შა(ყ)-, რ(ყ)-, რომლე-
ბიც დაერთვის საზღვრული სახელის ფუძეს. მაგალითად:

მხ.რ.

მრ.რ.

I პირი **ცყ-**აფნი „ჩემი სახლი“

ჯა-აფნი „ჩვენი სახლი“

ყ-აფნი „შენი (მამაკ.) სახლი“

} **შაყ-**აფნი „თქვენი სახლი“

II პირი **ნყ-**აფნი „შენი (ქ.) სახლი“

ი(ყ)-აფნი „მისი (მამაკ.) სახლი“

III პირი **ლყ-**აფნი „მისი (ქ.) სახლი“

} **რყ-**აფნი „მათი სახლი“

ა-აფნი „მისი (არაგონ.) სახლი“

ასეთ შემთხვევებში წინადადებაში დამატებით კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელიც ან მკუთვნილის აღმნიშვნელი სიტყვაც უნდა იყოს გამოყენებული: **ლა(რა)||აიჲჯ,აჲს ლყ-ჟყჲ კაჲწყუჲ** „მისი||ქალის კაბა წითელია“... ამ დროს ნაცვალსახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც სრული, ისე მარტივი სახითაც.

მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის კუთვნილებითი **ა-** პრეფიქსი მატერიალურად განსხვავდება არაგონიერთა კლასის მესამე პირის **იარა** „ის“ კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელის **ია-** ძირისაგან. პრეფიქსი **ა-** იკარგვის, თუ საზღვრული სიტყვის წინ უშუალოდ დგას ამ ნიშნით გადმოსაცემი მსაზღვრელი სიტყვა. მატერიალური სხვაობა გვაქვს აგრეთვე მრავლობითი რიცხვის მესამე პირში: **დარა** „ისინი“ ნაცვალსახელის ძირს არ ემთხვევა ამავე პირისა და რიცხვის **რ(ყ)-** კუთვნილებითი პრეფიქსი. დანარჩენი ნაცვალსახელური კუთვნილებითი პრეფიქსები ზუსტად ემთხვევიან შესაბამის კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთა თავკიდურა ელემენტებს.

აფხაზურში კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლში ხშირად გვევლინებიან კუთვნილებითი ნაცვალსახელური პრეფიქსებით გაფორმებული **ა-ტყჲ** „კუთვნილება, საკუთრება“ ან **ა-ხატყჲ** „თავისა, პირადი“ ფუძეები, რომელთაც ეჩრდილებათ ამოსავალი მნიშვნელობა:

მხ.რ.

მრ.რ.

I პ. **სა(რა) ს-ტყჲ** „ჩემი კუთვნილი“

ჯა(რა) ჯ-ტყჲ „ჩვენი კუთვნილი“

II პ. **ყა(რა) ყ-ტყჲ** „შენი (მამაკ.) კუთვნილი“

ბა(რა) ბ-ტყჲ „შენი (ქ.) კუთვნილი“

შაა(რა) შა-ტყჲ „თქვენი კუთვნილი“

ია(რა) ი -ტაყ „მისი (მამაკ.) კუთვნილი“	}	და(რა) რ -ტაყ „მათი კუთვნი- ლი“
III ბ. ლა(რა) ლ -ტაყ „მისი (ქ.) კუთვ- ნილი“		
ია(რა) (ა)-ტაყ „მისი (არაგონ.) კუთვნილი“		

I ბ. სა(რა) **ს**-ხატაყ „ჩემი პირადი“ ჯა(რა)**ჯ**-ხატაყ „ჩვენი პირადი“

II ბ. უა(რა) უ -ხატაყ „შენი (მამაკ.) პირადი“	}	შაა(რა) შა -ხატაყ „თქვენ პირადი“
ბა(რა) ბ -ხატაყ „შენი (ქ.) პირადი“		

ია(რა) ი -ხატაყ „მისი (მამაკ.) პირადი“	}	და(რა) რ -ხატაყ „მათი პირადი“
III ბ. ლა(რა) ლ -ხატაყ „მისი (ქ.) პირადი“		
ია(რა) (ა)-ხატაყ „მისი (არაგონ.) პირადი“		

4. კითხვითი ნაცვალსახელის შინაარსის გამოხატვა. აფხა-
ზურს დამოუკიდებელი სიტყვის სახით არც კითხვითი ნაცვალსახელი
მოეპოვება. მის როლს ასრულებს **ნა** ძირი, რომელიც ფორმდება **დ**-ს
რიგის პიროვან-კლასოვანი ნაცვალსახელური პრეფიქსებით:

სარბან სარა?	„მე რომელი, ვინ (ვარ)?“
უარბან უარა?	„შენ (მამაკ.) რომელი, ვინ (ხარ)?“
ბარბან ბარა?	„შენ (ქ.) რომელი, ვინ (ხარ)?“
დარბან { იარა?	„ის (ადამ.) რომელი, ვინ (არის)?“
{ ლარა?	
იარბან იარა?	„ის (არაგონ.) რომელი, რა (არის)?“

ხარბან ხარა? „ჩვენ რომელი, ვინ (ვართ)?“
 შაარბან შაარა? „თქვენ რომელი, ვინ (ხართ)?“
 იარბან დარა? „ისინი რომელი, ვინ (არიან)?“

იგივე **ბა** ძირი არის კითხვით სიტყვაში **იზბან?** „რატომ? რის-
 თვის?“ **ბა** ძირი გაუფორმებელი სახით დასტურდება აგრეთვე ნაწილა-
 კად ჩაკითხვის დროს:

— Адгәыр ажәинраалақәа иауазаап!

— Ажәинраалақәа **ბა**?

„— აღგური თურმე ლექსებს წერს!

— ლექსებსო?!“

„ვინ“ ნაცვალსახელის მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოიყენება
 ადამიანის კლასის კითხვითი -და ← დარბან? „იგი (აღამ.) რომელი, ვინ
 (არის)?“ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები:

სარა сызус(ტა) და?	„მე ვინ ვარ?“
უარა узус(ტა) და?	„შენ (მამაკ.) ვინ ხარ?“
ბარა бзус(ტა) და?	„შენ (ქ.) ვინ ხარ?“
იარა дызус(ტა) და?	„ის (მამაკ.) ვინ არის?“
ლარა дызус(ტა) და?	„ის (ქ.) ვინ არის?“
იარა (ი)зус(ტა) და?	„ის (არაგონ.) რომელია?“
ხარა хазустцәада? хазустқәада?	„ჩვენ ვინა ვართ?“
შაარა шәзустцәада шәзустқәада?	„თქვენ ვინა ხართ?“
დარა (ი)зустцәада? (ი)зустқәада?	„ისინი ვინ არიან?“,

კითხვით-კუთვნილებითი „ვისი?“ ნაცვალსახელის მნიშვნელობა
 აფხაზურში გადმოიცემა საკუთრების აღმნიშვნელ **ტაყი** ძირზე ადამიანის
 კლასის კითხვითი -და სუფიქსის დართვით:

сызтәыда?	„მე ვისი ვარ?“
узтәыда?	„შენ (მამაკ.) ვისი ხარ?“
бызтәыда?	„შენ (ქ.) ვისი ხარ?“,
дызтәыда?	„ის (აღამ.) ვისია?“
(ი)зтәыда?	„ის (არაგონ.) ვისია?“

x,azтәыда?	„ჩვენ ვისი ვართ?“
шәызтәыда?	„თქვენ ვისი ხართ?“
(и)зтәыда?	„ისინი ვისი არიან?“

„ვინ?“ და „რა?“ ნაცვალსახელთა მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ღამხმარე **აკәзаара** „ყოფნა“ ზმნის კითხვითი კილოს ფორმები:

сара сзакәы(зе)и?	„მე ვინ, რა ვარ?“
уара узакәы(зе)и?	„შენ (მამაკ.) ვინ, რა ხარ?“
бара бзакәы(зе)и?	„შენ (ქ.) ვინ, რა ხარ?“
иара дзакәы(зе)и?	„ის (მამაკ.) ვინ, რა არის?“
лара дзакәы(зе)и?	„ის (ქ.) ვინ, რა არის?“
иара (и)закәы(зе)и?	„ის (არაგონ.) ვინ, რა არის?“
x,ара x,закәы(зе)и?	„ჩვენ ვინ, რანი ვართ?“
шәара шәзакәы(зе)и?	„თქვენ ვინ, რანი ხართ?“
дара (и)закәы(зе)и?	„ისინი ვინ, რანი არიან?“

5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი. განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია: a-хата „თვით, თვითონ“, რომელიც იცვლება კლასებისა და ბირის მიხედვით (с-хата „მე თვითონ“, у-хата „შენ (მამაკ) თვითონ“, н-хата „შენ (ქ.) თვითონ“, и-хата „ის (მამაკ.) თვითონ“, л-хата „ის (ქ.) თვითონ“, (а-)хата „ის (არაგონ.) თვითონ“, x, -хата „ჩვენ თვითონ“, шә-хата „თქვენ თვითონ“, р-хата „ისინი თვითონ“), дасу||доусы „ყოველი“, зегъы „ყველა“, иззегъы „ყველა“, аеа||даеа „სხვა“, егъы „სხვა, მეორე“...

6. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: акы „რადაც, რამე“ (რიცხვითი სახელისაგან), азъы „ვილაც, ვინმე“ (რიცხვითი სახელისაგან), акыр „რამე; რამდენიმე“, азъыр „ვინმე, ვილაც“, пытк „რამდენიმე“ (არაგონ.), пытдык „რამდენიმე“ (აღამ.), цъоукы||шьоукы „ზოგი ვინმე“...

ზმნა

აფხაზური ენის ზმნა ურთულესი მეტყველების ნაწილია. იგი ქართული ზმნის მსგავსად წინადადების ღერძია და შეუძლია აწარმოოს მრავალი ისეთი სპეციფიკური ფორმა, რომელთა შინაარსის გადმოსაცემად სხვა ენები მეტყველების სულ სხვა ნაწილებს იყენებენ. ხშირად აფხაზური ზმნის ერთადერთი ფორმა სხვა ენათა მთელ წინადადებასაც კი უდრის.

1. მასდარი. მასდარი ზმნის უპირკლასო და დრო-კილოთა კატეგორიების არმქონე ფორმაა. იგი ზოგი ნიშნით ახლოს დგას სახელებთანაც, განსაკუთრებით სახელთა აბსტრაქტულობის ფორმებთან, რომლებთანაც საერთო აქვს ზოგადობის **a**- პრეფიქსი და აბსტრაქტულობის მაწარმოებელი **-pa** სუფიქსი.

დინამიკური ზმნის მასდარის წარმოებისას ზმნის წმინდა ფუძეს დაერთვის **a**- პრეფიქსი და **-pa** სუფიქსი: **a-каца-ра** „კეთება“, **a-на-ра** „ხედვა, ნახვა“, **a-на-ра** „ხტომა“, **a-ца-ра** „წასვლა“, **a-нц-ра** „კვდომა“, **a-гәыргъа-ра** „გახარება“... თუ მასდარი სტატიკური ზმნისაგან იწარმოება, მაშინ გარდა დასახელებული აფიქსებისა ზმნის ფუძე დაირთავს მდგომარეობის ხანგრძლივობის აღმნიშვნელ **-заа** სუფიქსსაც: **a-ма-заа-ра** „ქონა, ყოლა“, **a-ка-заа-ра** „ყოფნა, არსებობა“, **a-кә-заа-ра** „ყოფნა“... მასდარს შეიძლება დაერთოს აგრეთვე როგორც სახელური, ისე ზმნური სიტყვათწარმოებითი აფიქსები, თანდებულები, ზმნისწინები და სხვ.

ზოგჯერ მასდარი წარმოდგენილია ზოგადობის **a**- პრეფიქსის გარეშე და ასრულებს მიზნის გარემოების როლს. ასეთ შემთხვევაში მას შეესატყვისება ძველი ქართულისა და ქართული ენის მთის დიალექტებისათვის დამახასიათებელი **-ად** სუფიქსიანი მასდარის (საწყისის) ფორმები. მაგალითად: **хьызрацара дцеит** „სახელის მოსახვეჭად (მოხვეჭად) წავიდა“, **шаарыцара сыжан** „სანადიროდ (ნადირობად) ვიყავი“. **саң мѣаагара сигеит** „მამაჩემმა შეშის მოსატანად (მოტანად) წამიყვანა“...

2. სტატიკური და დინამიკური ზმნები. სტატიკურობა-დინამიკურობას აფხაზური ზმნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვი-

ნაიდან ამაზეა დამოკიდებული მისი უღვლილებაც. აფხაზურში ზმნათა ერთი ნაწილი სტატიკურია, მეორე კი — დინამიკური. მდგომარეობის, ქონების აღმნიშვნელი ზმნები სტატიკურია, მოქმედებისა და მოძრაობის აღმნიშვნელი — დინამიკური. დინამიკურ ზმნას მეტი შესაძლებლობა აქვს დრო-კილოთა, სხვა გრამატიკულ და სიტყვათწარმოებით კატეგორიათა საწარმოებლად, ვიდრე სტატიკურ ზმნას.

სტატიკური ზმნა აგებულებით უფრო მარტივია. სტატიკური ზმნის ფუძედ ყველაზე ხშირად გამოიყენება არსებითი ან ზედსართავი სახელის ფუძე, რომელსაც ჩამოსცილდება ზოგადობის **а**- პრეფიქსი და დაერთვის დრო-კილოთა, პირ-კლასისა და სხვა კატეგორიათა ნიშნები. მაგალითად:

- | | | |
|--------------------------|---|--|
| а-хаца „მამაკაცი“ | — | д-хацо-уп „იგი (აღამ.) მამაკაცია“ |
| а-еы „ცხენი“ | — | (и)е-уп „იგი (არაგონ.) ცხენია“ |
| а-пъшза „ლამაზი“ | — | ды-пъшзо-уп „იგი (აღამ.) ლამაზია“ |
| | | (и)пъшзо-уп „იგი (არაგონ.) ლამაზია“ |
| а-къыш „ჭკვიანი, ბრძენი“ | — | д-къыш-уп „იგი (აღამ.) ბრძენია, ჭკვიანია“... |

სტატიკური ზმნის ფუძედ გამოიყენება აგრეთვე დამოუკიდებელ სახელთა ფუძეებისაგან მომდინარე ფუძე-წინდებულები:

- она** (შდრ. **а-оны** „სახლი“) — **ды-оно-уп** „იგი (აღამ.) სახლშია, შინაა“;
- шыа** (შდრ. **а-шыа-пы** „ფეხი“) — **ис-шьо-уп** „იგი მე ფეხთ მაცვია“;
- ха** (შდრ. **а-хы** „თავი“) — **ис-хо-уп** „იგი მე თავზე მახურავს“ და სხვ.

-заа სუფიქსიანი მასდარისაგან სტატიკური ზმნის წარმოებისას ეს სუფიქსი ძირს ჩამოსცილდება. მაგალითად:

- а-ка-заа-ра** „ყოფნა, არსებობა“ — **сы-ко-уп** „მე ვარ“
- а-ма-заа-ра** „ქონა, ყოლა“ — **исы-мо-уп** „ის მე მაქვს, მყავს“...

ზოგი სტატიკური ზმნა დინამიკური ზმნის ფუძისაგანაც იწარმოება. ამგვარ სტატიკურ ზმნას შედეგობითი შინაარსი აქვს:

დინამიკ.

სტატიკ.

и-ка-с-по-ит „მე რაღაცას
ვაკეთებ“

и-ка-по-уп „იგი გაკეთებულია“

ис-к-у-ит „მე რაღაცას ვიჭერ“ ис-к-уп „მე რაღაც მიჭირავს“...

ამგვარი წარმოების დროს დინამიკური გარდამავალი ზმნა სტატიკური და გარდაუვალი ხდება, ვინაიდან სტატიკური ზმნები მუდამ გარდაუვალია.

ზმნათა ერთი ჯგუფის ფუძეები ერთნაირად გამოიყენება როგორც დინამიკური, ისე სტატიკური ზმნების საწარმოებლად. ასეთებია: а-таа-ра „ჯღომა; დაჯღომა“, а-гыла-ра „დგომა; დადგომა, ადგომა“, а-цаа-ра „ძილი; დაძინება, ჩაძინება“ და სხვანი.

დინამიკური ზმნა საკუთრივ დინამიკურ ზმნათა მაწარმოებელი ფუძეების გარდა (а-на-ра „ხედვა, ნახვა“, а-ца-ра „წასვლა“, а-па-ра „სწავლა“, а-был-ра „წვა“...) იყენებს ნასახელარ სტატიკურ ზმნათა ფუძეებსაც. საამისოდ რამდენიმე საშუალება არსებობს:

ა) ნასახელარ სტატიკურ ზმნას ერთვის გარდაქცევითობის მადინამიკურებელი -ха სუფიქსი:

а-хапа „მამაკაცი“ — სტატიკ. д-хапо-уп „იგი მამაკაცია“ — დინამიკ. д-хапа-хе-ит „იგი დავაჟკაცდა, დაკაცდა“;

а-кэыш „ბრძენი, ჭკვიანი“ — სტატიკ. д-кэыш-уп „იგი ბრძენია, ჭკვიანია“, დინამიკ. д-кэыш-хе-ит „იგი დაბრძენდა, დაჭკვიანდა“...

ამ გზით მიიღება ერთპირიანი დინამიკური ზმნები, რომლებიც ქართულის დონიანი ვნებითის შესატყვისია და ასეც უნდა ითარგმნოს, თუმც მათ შორის სხვაობაც დიდია.

ბოლო დროს პრესისა და რადიო-ტელევიზიის ენაში შეინიშნება -ха სუფიქსიანი ფორმებით სხვა ენათა ვნებითი გვარის ფორმების გადმოცემის გახშირება (თვით აფხაზურს გვარის კატეგორია საერთოდ არა აქვს). მაგალითად: икаца-хо-ит „კეთდება“, инагза-хо-ит „სრულდება“ და ა. შ. -ха სუფიქსიანი დინამიკური ნასახელარი ზმნები აფხაზურში გარდაუვალია.

ბ) გარდამავალი ნასახელარი დინამიკური ზმნის მისაღებად გამოი-

ყენება დანიშნულების, საკუთრების აღმნიშვნელი **ა-тәы** სიტყვისაგან მომდინარე **-тә** აფიქსიდი, რომლის წინ ზმნის ფუძეში ჩნდება სუბიექტის კლასოვან-პიროვანი პრეაფიქსები. მაგალითად:

ა-нзиа „კარგი, კეთილი“ — სტატიკ. **ი-нзиоу-уп** „იგი (არაგონ.) კარგია“ — დინამიკ. **ი-нзиа-с-тә-ит** „მე იგი (არაგონ.) კარგ რამედ ვაქციე, გავაკარგე“;

ა-нза „ცოცხალი“ — სტატიკ. **ი-нзо-уп** „იგი (არაგონ.) ცოცხალია“ — დინამიკ. **ი-нза-с-тә-ит** „მე იგი (არაგონ.) გავაცოცხლე“...

გ) გარდამავალი ნასახელარი დინამიკური ზმნის საწარმოებლად გამოიყენება აგრეთვე მადინამიკურებელი **р-** პრეფიქსი, რომელიც იგივე კაუზატივის პრეფიქსია. მაგალითად:

ა-иаша „სწორი; მართალი“ — სტატიკ. **ი-иашо-уп** „იგი (არაგონ.) მართალია, სწორია“ — დინამიკ. **исы-р-иаше-ит** „მე იგი (არაგონ.) გავასწორე; გავამართლე“;

а-кьаф „მოკლე“ — სტატიკ. **и-кьаф-уп** „იგი (არაგონ.) მოკლეა“ — დინამიკ. **исы-р-кьаф-ит** „მე იგი (არაგონ.) დავამოკლე“...

დ) როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი დინამიკური ზმნების ერთი ჯგუფის მისაღებად გამოიყენება დამოუკიდებელ სახელთა ფუძეებისაგან მომდინარე ფუძე-წინდებულებზე დართული ძირ-სუფიქსები **-ца, -х, -ла, -ц** (უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ.) მაგალითად:

а-қә-ца-ра „რამეზე დადება“: **ашәкәы астал и-қәы-с-це-ит** „წიგნი მაგიდაზე დავდე“ (გარდამავალი);

а-қәы-х-ра „რისამე ზედაპირიდან აღება“: **атәца астал и-қәы-с-х-ит** „ჭიქა მაგიდიდან ავიღე“ (გარდამავალი);

а-қә-ла-ра „რამეზე ასვლა“: **атла сы-қә-ле-ит** „ზეზე ავედი“ (გარდაუვალი);

а-қә-ц-ра „რამიდან გადმოსვლა“: **аурдын са-қә-ц-ит** „ურმიდან გადმოვედი“ (გარდაუვალი)...

3. პირის, კლასისა და რიცხვის გამოხატვა ზმნაში. პირი, კლასი და რიცხვი ზმნაში საერთო, ერთი და იმავე წარმოშობის ნაკვალსახელური პრეფიქსებით გამოიხატება.

აფხაზური ზმნა განარჩევს ორ რიცხვს — მხოლობითსა და მრავ-

ლობითს. ზმნაში გამოიხატება აგრეთვე გრამატიკული კლასი და პირი. პირი სამია — პირველი, მეორე და მესამე. კლასი მხოლობითი რიცხვის მეორე პირში ორია — მამაკაცისა და ქალისა, მხოლობითი რიცხვის მესამე პირში კი შეიძლება იყოს ორი კომბინაცია: ადამიანისა და არაგონიერისა, ერთი მხრივ, და მამაკაცის, ქალისა და არაგონიერი-სა, მეორე მხრივ.

გარდამავალ ზმნებში გამოყენებული კლასოვან-პიროვანი პრეფიქსები მთლიანად არ ემთხვევა გარდაუვალ ზმნებში გამოყენებულ კლასოვან-პიროვან პრეფიქსებს, რის საფუძველზეც გამოიყოფა კლასოვან-პიროვან პრეფიქსთა ორი რიგი — **დ**-ს რიგისა და **ლ**-ს რიგისა (ამ დაცოდის საფუძველია მხ. რ. III პირის ვითარება).

გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის უახლოესი, პირდაპირი ობიექტი აღინიშნება **დ**-ს რიგის კლასოვან-პიროვანი პრეფიქსებით, რომლებიც მხ. რ. III პირში განარჩევენ მხოლოდ დაპირისპირებას ადამიანისა და არაგონიერის კლასების მიხედვით, მაგრამ არ აღინიშნება ქალისა და მამაკაცის ქვეკლასები. ეს პრეფიქსებია:

	მხ. რ.		მრ. რ.
I პ.	ც-		x,(a)-
II პ.	y- (მამაკ. კლ.)	}	შა-
	ნ- (ქალის კლ.)		
III პ.	ღ- (ადამ. კლ.)	}	ი-
	ი- (არაგონ. კლ.)		

გარდამავალი ზმნის სუბიექტისა და როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნის ირიბი ობიექტის აღსანიშნავად გამოიყენება **ლ**-ს რიგის კლასოვან-პიროვანი პრეფიქსები, რომლებიც მხ. რ. III პირში

განარჩევენ მამაკაცის, ქალისა და არაგონიერის კლასებს. ამ რიგის პრეფიქსებია:

	მხ. რ.		მრ. რ.
I პ.	ც- → ვ-		ხ,(ა)- → აა-
	ყ- (მამაკ. კლ.)	}	შა- → ჯა-
II პ.	ნ- (ქალის კლ.)		
	ი- (მამაკ. კლ.)	}	რ- → დ-
III პ.	ლ- (ქალის კლ.)		
	ი- ა- ნა- (არაგონ. კლ.)		

აფხაზური ზმნის ფორმა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი და იშვიათად ოთხპირიანიც. ამის მიხედვით ზმნაში შეიძლება იყოს ერთი, ორი, სამი და იშვიათად ოთხი პირ-კლასის ნიშანი.

ზმნის ფორმაში კლასოვან-პიროვან პრეფიქსთა ადგილმდებარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაც გამოწვეულია ამ ენის სპეციფიკით (კერძოდ კი სახელთა ბრუნვის კატეგორიის უქონლობით. აფიქსთა განაწილება ზმნურ ფორმაში ასრულებს სხვა ენათა ბრუნვების ფუნქციასაც). კლასოვან-პიროვან აფიქსთა განაწილება ზმნაში ასეთია:

1) ერთპირიან ზმნაში გამოიყენება მხოლოდ **ღ**-ს რიგის პრეფიქსები (გარდა **ა-კა-აა-რა** „ყოფნა“ ზმნისა, რომელიც ერთპირიანი, მაგრამ მაინც **ლ**-ს რიგის აფიქსებით ფორმდება) და ეს ნიშნები მუდამ სიტყვის აბსოლუტურ თავში დგანან: **ც-цеит** „წავედი“, **ც-ან-ца** „როცა წავედი“, **ყ-хьыцуейт** „შენ (მამაკ.) ფიქრობ“, **ყ-шьа-хьыцуей?** „შენ (მამაკ.) როგორ ფიქრობ?“...

2) ორპირიან გარდაუვალ ზმნაში **ღ**-ს რიგის სუბიექტის ნიშანი დგას სიტყვის აბსოლუტურ თავში, ხოლო ძირის წინ ადგილს ირიბი ობიექტის **ლ**-ს რიგის ნიშნები იკავებენ: **დ-лы-цуп** „იგი (აღამ.) მას (ქ.) ახლავს, მიჰყვება“, **დ-ан-лы-цыз** „როცა იგი (აღამ.) მას (ქ.) ახლდა, მიჰყვებოდა“, **д-а-шьацуп** „იგი (აღამ.) რაღაცას კვალში უდგას, მისდევს,

ექებს“, **д-ан-лы-шьтаз** „როცა იგი (აღამ.) მას (ქ.) კვალში ედგა, მი-სდევდა, ეძებდა...“ და სხვ.

3) ორპირიან გარდამავალ ზმნაში სიტყვის აბსოლუტურ თავში, პირველ ადგილზე დგას უახლოესი, პირდაპირი ობიექტის **დ**-ს რიგის ნიშანი, ძირის წინ კი სუბიექტის **ლ**-ს რიგის ნიშანი: **ды-л-боит** „იგი (ქ.) მას (აღამ.) ხედავს“, **д-аны-л-ба** „როცა მან (ქ.) ის (აღამ.) დაინახა...“, **ды-л-к-ит** „მან (ქ.) იგი (აღამ.) დაიჭირა, შეიპყრო“, **д-аны-л-кы** „როცა მან (ქ.) იგი (აღამ.) დაიჭირა, შეიპყრო...“ და ა. შ.

თუ ორპირიანი გარდამავალი ზმნა ზმნისწინიანია, მაშინ უახლოესი, პირდაპირი ობიექტის ნიშანი დგას სიტყვის თავში, ზმნისწინის წინ, ხოლო სუბიექტის ნიშანი ჩართულია ზმნისწინსა და ზმნის ძირს შორის: **д-аа-л-ге-ит** „მან (ქ.) იგი (აღამ.) მოიყვანა“, **и-ка-л-це-ит** „მან (ქ.) რაღაც გააკეთა“...

4) სამპირიან გარდამავალ ზმნაში უახლოესი, პირდაპირი ობიექტის **დ**-ს რიგის ნიშანი სიტყვის აბსოლუტურ თავში, პირველ ადგილზე დგას, მეორე ადგილი უჭირავს ირიბი ობიექტის **ლ**-ს რიგის ნიშანს, ხოლო სუბიექტის **ლ**-ს რიგის ნიშანი ზმნის ძირის წინ დადგება: **и-с-а-л-х,ае-ит** „მან (ქ.) მე რაღაც მითხრა“, **и-шъа-с-а-л-х,ае-и?** „მან (ქ.) მე რაღაც როგორ მითხრა?“, **и-у-с-тє-ит** „მე შენ (მამაკ.) რაღაც მოგვცი“, **ды-с-з-аа-и-т-и-ит** „მან (მამაკ.) მე იგი (აღამ.) გამომიგზავნა“ და ა. შ.

5) გარდამავალი ზმნის სუბიექტის ნიშნად მხ. რ. III პირის არაგონიერთა კლასში ჩვეულებრივ გამოიყენება **на**- პრეფიქსი, რომელიც ზმნის ძირის წინ იჭერს ადგილს: **и-ка-на-по-ит** „იგი (არაგონ.) რაღაცას აკეთებს“, **и-у-на-тє-ит** „მან (არაგონ.) შენ (მამაკ.) რაღაც მოგცა“...

ცხრილი №1

ერთპირიანი გარდამავალი ზმნა

а-ка-заа-ра „ყოფნა, არსებობა“

პირი	მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I პ.	сара сы-ко-уп „მე ვარ“	хара х,а-ко-уп „ჩვენ ვართ“
II პ.	уара уы-ко-уп „შენ (მ.) ხარ“ бара бы-ко-уп „შენ (ქ.) ხარ,,	шэара шэы-ко-уп „თქვენ ხართ“
III პ.	иара } ды-ко-уп „იგი (აღ.) არის“ лара } иара (и)ы-ко-уп „იგი (არაგონ.) არის“	дара (и)ы-ко-уп „ისინი არიან“

ორპირიანი გარდაუვალი ზენა

a-ma-3aa-pa „ქონა, ყოლა“

		სუბიექტი						
		მხოლოდითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი			
ობიექტი	მხოლოდითი რიცხვი	ბირი, კლასი	იბ. сара „შე“	შბ. yapa „შენ (მ.)“ „ბარა“ „შენ(ქ.)“	შპ. иара „ის (მ.)“ „ლარა“ „ის(ქ.)“ იარა „ის (არაგონ.)“	იბ. xapa „ჩვენ“	შბ. шәара „თქვენ“	შპ. дара „ისინი“
		ი ბ. сара „შე“	X	с-у-мо-уп с-ны-мо-уп „გყავარ“	с-и-мо-уп с-лы-мо-уп с-а-мо-уп „ვეყავარ“	X	с-шәы-мо-уп „გყავართ“	с-ры-мо-уп „ვეყავართ“
		შბ. yapa „ლარა“ „ის (ქ.)“ „ბარა“ „შენ(ქ.)“	у-сы-мо-уп б-сы-мо-уп „მყავებარ“	X	у-иы-мо-уп у-лы-мо-уп у-а-мо-уп б-иы-мо-уп б-лы-мо-уп б-а-мо-уп „მყავებარ“	у-x-a-мо-уп б-x-a-мо-уп „მყავებარ“	X	у-ры-мо-уп б-ры-мо-уп „მყავებარ“
	შპ. иара „ის(მ.)“ „ლარა“ „ის (ქ.)“ „იარა“ „ის (არაგონ.)“	д-сы-мо-уп „მყავეს“ и-сы-мо-уп „მაქვს“	д-уы-мо-уп д-бы-мо-уп „მყავეს“ и-у-мо-уп и-бы-мо-уп „მაქვს“	д-иы-мо-уп д-лы-мо-уп д-а-мо-уп „მყავეს“ (и-)иы-мо-уп и-лы-мо-уп и-а-мо-уп „მაქვს“	д-x-a-мо-уп „მყავეს“ и-x-a-мо-уп „მაქვს“	д-шәы-мо-уп „მყავთ“ и-шәы-мо-уп „მაქვთ“	д-ры-мо-уп „მყავთ“ и-ры-мо-уп „მაქვთ“	
	მრავლობითი რიცხვი	ი ბ. xapa „ჩვენ“	X	x-уы-мо-уп x-бы-мо-уп „გყავართ“	x-иы-мо-уп x-лы-мо-уп x-a-мо-уп „გყავართ“	X	x-шәы-мо-уп „გყავართ“	x-ры-мо-уп „გყავართ“
		შ ბ. шәара „თქვენ“	шә-сы-мо-уп „მყავებართ“	X	шә-иы-мо-уп шә-лы-мо-уп шә-а-мо-уп „მყავებართ“	шә-x-a-мо-уп „მყავებართ“	X	шә-ры-мо-уп „მყავებართ“
		შპ. дара „ისინი“	и-сы-мо-уп „მყავებან, მაქვს ისინი“	и-у-мо-уп и-бы-мо-уп „მყავებან, გავს ისინი“	(и-)иы-мо-уп и-лы-мо-уп и-а-мо-уп „მყავს, აქვს ისინი“	и-x-a-мо-уп „მყავებან, გვაქვს ისინი“	и-шәы-мо-уп „მყავებან, გავს ისინი“	и-ры-мо-уп „მყავთ, აქვთ ისინი“


ორბირიანი გარდამავალი ზმნა

a-k-pa „დატერა, დაკავება; შეპყრობა“



		ბირდაბირი, უახლოესი ობიექტი						
		მხოლოდბირი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი			
ბირი, კლასი, რიცხვი	იბ. сара „მე“	შბ. уара „შენ (მ.)“ „ბარა „შენ(ქ.)“	შპბ. иара „ის (მ.)“ „ლარა „ის(ქ.)“ иара „ის (არაგონ.)“	იბ. хара „ჩვენ“	შბ. шаара „თქვენ“	შპბ. дара „ისინი“		
სუბიექტი	მხოლოდბირი რიცხვი	I ბ. сара „მე“	X	у-с-к-уеит ბы-с-к-уеит „გიტერ“	X	шәы-с-к-уеит „მე გიტერთ“	и-с-к-уеит „გიტერთ მათ“	
		შბ. уара „შენ(მ.)“ „ბარა, შენ(ქ.)“	с-у-к-уеит сы-б-к-уеит „მიტერ“	X	д-у-к-уеит и-у-к-уеит ды-б-к-уеит и-б-к-уеит „იტერ მას“	X	х,у-к-к-еит х,а-б-к-уеит „გვიტერ“	и-у-к-уеит и-б-к-уеит „იტერ მათ“
		შპბ. иара „ის(მ.)“ „ლარა „ის(ქ.)“ иара „ის(არაგონ.)“	с-и-к-уеит сы-л-к-уеит с-а-к-уеит „მიტერს“	у-и-к-уеит у-л-к-уеит у-а-к-уеит б-и-к-уеит бы-л-к-уеит б-а-к-уеит „გიტერს“	д-и-к-уеит ды-л-к-уеит д-а-к-уеит (и-)и-к-уеит и-л-к-уеит и-а-к-уеит „იტერს მას“	х,и-к-уеит уеит х,а-л-к-уеит уеит х,а-на-к-уеит „გვიტერს“	шәы-и-к-уеит шәы-л-к-уеит уеит шә-а-к-уеит „ის გიტერთ“	и-(и)-к-уеит уеит и-л-к-уеит уеит и-а-к-уეит „იტერს მათ“
	მრავლობითი რიცხვი	იბ. хара „ჩვენ“	X	у-ах,к-уеит и-ах,к-уеит „გიტერთ შენ“	д-ах,к-уеит и-ах,к-уеит „გიტერთ მას“	X	шә-ах,к-уеит „ჩვენ გიტერთ თქვენ“	и-ах,к-уеит „გიტერთ მათ“
		შბ. шаара „თქვენ“	сы-шә-к-уеит „მიტერთ“	X	ды-шә-к-уеит и-шә-к-уеит „იტერთ მას“	х,а-шә-к-уеит „გვიტერთ“	X	и-шә-к-уеит „იტერთ მათ“
		შპბ. дара „ისინი“	сы-р-к-уеит „მიტერენ“	у-р-к-уеит бы-р-к-уеит „გიტერენ შენ“	ды-р-к-уеит и-р-к-уеит „იტერენ მას“	а-р-к-уеит „გვიტერენ“	шәы-р-к-уеит „ისინი გიტერენ თქვენ“	и-р-к-уеит „იტერენ მათ“

იმის გამო, რომ აფხაზურში არ არის სახელთა ბრუნება, ზმნაში კლასოვან-პიროვან აფიქსთა განლაგებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს წინადადების მთავარ წევრთა — ქვემდებარისა (სუბიექტისა) და დამატებათა (ობიექტთა) განლაგებასაც, ე. ი. სიტყვათა რიგს. ქვემდებარესა (სუბიექტსა) და დამატებებს (ობიექტებს) წინადადებაში თავი-


ანთი სავალდებულო ადგილი აქვთ. თუ წინადადებაში არის გარდაუვალი ზმნა, მაშინ ქვემდებარისა და დამატების განლაგება ემთხვევა ზმნაში სათანადო აფიქსთა განაწილებას, ე. ი. ჯერ დგას სუბიექტი (შემასმენელი), შემდეგ კი ირიბი ობიექტი (ირიბი დამატება). მაგალითად:



გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში პირველ ადგილას სუბიექტის (ქვემდებარის) აღმნიშვნელი სახელი დგას, ხოლო შემდეგ ობიექტებისა (სამპირიან ზმნასთან ჯერ პირდაპირი ობიექტის სახელი დგას, შემდეგ ირიბი ობიექტისა, ხოლო ზმნის წინ — სუბიექტისა), ე. ი. სახელთა განლაგება საპირისპიროა ზმნურ ფორმათა სათანადო აფიქსების განაწილებისა. მაგალითად:



თუ ზმნაში პირველ ადგილას დგას მხოლოდითი რიცხვის III პირის **დ**-ს რიგის არაგონიერთა კლასის **ი(ყ)**- პრეფიქსი ან მრავლობითი რიცხვის III პირის **ი(ყ)**- პრეფიქსი და შესაბამისი სახელიც უშუალოდ წინ უძღვის ზმნას, მაშინ ზმნურ ფორმაში **ი(ყ)**- ნიშანი ჩამოსცილდება. მაგალითად:



4. ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობა. აფხაზურში ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობა მორფონოლოგიური საშუალებებით არის გამოხატული. გარდამავალ ზმნას გარდაუვალისაგან ზმნურ ფორმაში კლასოვან-პიროვან აფიქსთა განლაგება განარჩევს (იხ. ზემოთ), მაგრამ გარდამავლობა-გარდაუვალობის გასარჩევად გამოიყენება აგრეთვე სუბიექტის კლასოვან-პიროვან აფიქსთა გამჟღერებაც მჟღერი თანხმონით ან სონორით დაწყებული ზმნის ძირის წინ. თუ გარდამავალი ზმნის ძირი იწყება **ნ, გ, გა, გь, დ, და, ჰ, ჰა, დ, უ** (უ) მჟღერი ბგერებით, მაშინ სუბიექტის ნიშნები **ე-** (მხ.რ. I პ.), **აჰ-||ჰ(ა)-** (მრ.რ. I პ.) და **შა-** (მრ.რ. II პ) იცვლება შესაბამისად **ჰ-, აა-, ჯა-** ვარიანტებით. მაგალითად: ***დყ-ე-გოიტ** → **დყ-ჰ-გოიტ** „მე იგი (აღამ.) მიყავს“, ***დ-აჰ-გოიტ** → **დ-აა-გოიტ** „ჩვენ იგი (აღამ.) მიგყავს“, ***დყ-შა-გოიტ** → **დყ-ჯა-გოიტ** „თქვენ იგი (აღამ.) მიგყავთ“...

ზოგი (ძირითადად რთულფუძიანი) გარდამავალი ზმნისთვის დამახასიათებელია არაგონიერთა კლასის სუბიექტის ნიშნად **ნა-** პრეფიქსის გამოყენება. ასეთი ზმნებია: **ი-კა-ნა-ცოიტ** „იგი (არაგონ.) რაღაცას აკეთებს“, **ი-აა-ნა-გოიტ** „მას (არაგონ.) რაღაც მოაქვს, მოჰყავს“, **ი-ს-ნა-რ-უიტ** „მან (არაგონ.) მე რაღაც გამაყეთებინა, ჩამადენინა“ და ა. შ.

გარდამავალ ზმნათათვის ნიშანდობლივია დადებითი ბრძანებითის ფორმაში სუბიექტის მხ. რ.-ის მეორე პირის კლასოვან-პიროვან პრეფიქსთა უქონლობაც. მაგალითად:

გარდამ. **დ-ყ-ნო-იტ** „შენ (მამაკ.) მას (აღამ.) ხედავ“, მაგრამ **დ-ნა!** „დაინახე, ნახე იგი (აღამ.)!“

შდრ. გარდაუვ. **ყ-ცო-იტ** „შენ (მამაკ.) მიდიხარ“, მაგრამ **ყ-ცა!** „წადი!“

სუბიექტის ნიშანი შენარჩუნებულია იმავე გარდამავალ ზმნათა დადებითი ბრძანებითის მრავლობით რიცხვსა და უარყოფით ბრძანებითში. მაგალითად:

გარდამ. **დ-ნა!** „ნახე, დაინახე იგი (აღამ.)!“ მაგრამ **დყ-ჯა-ნა!** „თქვენ იგი (აღამ.) დაინახეთ!“ **დ-ყ-მ-ნა-ნ!** „შენ (მამაკ.) იგი (აღამ.) არ დაინახო!“

გარდამავალ ზმნათა დამახასიათებელი თვისებაა აგრეთვე უახლოესი, პირდაპირი ობიექტის აუცილებელი ქონა, ვინაიდან ზმნა მხოლოდ მაშინ არის გარდამავალი, თუ მას პირდაპირი ობიექტი შეეწყობა. ეს ყველაზე უკეთ ჩანს ე. წ. ლაბილურ ზმნათა მაგალითზე. ზოგი აფხაზური ზმნა სხვადასხვა კონტექსტში ხან გარდამავალია, ხან კი — გარდაუვალი. ასე, მაგალითად, ზმნა *a-zax-pa* „კერვა“ ერთ შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს ზოგადად „კერვას“ და გარდაუვალი იყოს, ხოლო სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება ნიშნავდეს „რისამე კერვას“, მოეპოვებოდეს პირდაპირი ობიექტი და სრულყოფილი გარდამავალი ზმნა იყოს. შდრ., ერთი მხრივ, გარდაუვალზმნიანი წინადადება — *аҭаца ибзианы д-зах-уеит* „პატარძალი კარგად კერავს“ (ე. ი. კერვა კარგად ეხერხება) და, მეორე მხრივ, გარდამავალზმნიანი წინადადება — *аҭаца ацкы (и)-л-зах-уеит* „პატარძალი კაბას კერავს“...

გარდამავალი ზმნის ერთ-ერთი გამოსაცნობი ნიშანი ისიც არის, რომ მისგან ნაწარმოებ აბსოლუტივის ფორმაში სუბიექტის კლასოვანპიროვანი ნიშნები არ არის წარმოდგენილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აბსოლუტივი ემყარება ამა თუ იმ დროის ფორმას (იგულისხმება *-уан*|| → *-он*, *-хьан* სუფიქსიანი ფორმები):

аҭы к-ны иаазгеит „ცხენი დავიჭირე და („დაჭერით“) მოვიყვანე“;

азна ка-тҭа-ны азна узышьтыхуам „სავსეს თუ დაღვრი („დაღვრით“), სავსეს ველარ აიღებ“...

5. ინვერსიული ზმნები. აფხაზურ ზმნებში კლასოვან-პიროვანი პრეფიქსები შეიძლება პირდაპირი წყობითაც იყოს განლაგებული და შებრუნებული წყობითაც. პირდაპირი წყობის დროს გრამატიკული სუბიექტის კლასოვან-პიროვანი პრეფიქსებით რეალური სუბიექტი აღინიშნება, გრამატიკულ ობიექტთა ნიშნებით კი — რეალური ობიექტები. შებრუნებული ანუ ინვერსიული წყობის დროს გრამატიკული სუბიექტის ნიშნებით აღინიშნება რეალური ობიექტი, გრამატიკული ირიბი ობიექტის ნიშნებით კი — რეალური სუბიექტი.

პირდაპირი წყობის მქონე ზმნები შეიძლება იყოს გარდაუვალიცა და გარდამავალიც, ინვერსიული წყობა კი მხოლოდ გარდაუვალ ზმნას

აქვს. მაგალითად, პირდაპირი წყობის მქონე გარდაუვალ ზმნაში **д-сы-цхраа-уеит** „იგი (ადამ.) მე მეხმარება, მშველის“ გრამატიკული სუბიექტის **д-** ნიშნით გადმოიცემა რეალური სუბიექტი, ე. ი. ის, ვინც სინამდვილეში მოქმედებს, ვინც მეხმარება, ხოლო გრამატიკული ობიექტის **с-** ნიშანი გადმოსცემს რეალურ ირიბ ობიექტს, ე. ი. იმას, ვისთვისაც არის გამიზნული დახმარება. ასევე, გარდამავალ ზმნაში **и-ка-с-це-ит** „მე რაღაც ვავაკეთე“ გრამატიკული სუბიექტის **с-** ნიშანი რეალურ სუბიექტს, ანუ იმას აღნიშნავს, ვინც სინამდვილეში იმოქმედა, ვაკეთა რაღაც, ხოლო გრამატიკული პირდაპირი ობიექტის **и-** ნიშნით გამოხატულია რეალური პირდაპირი ობიექტი, ე. ი. ის, რასაც უშუალოდ შეეხო სუბიექტის მოქმედება. მაგრამ ზმნა **и-с-гѣа-пѣхоит** „მე იგი (არაგონ.) მომწონს“ (ზედმიწ. „იგი გულს მითბობს“) შებრუნებული, ინვერსიული წყობის მქონე ზმნაა, ვინაიდან გრამატიკული ირიბი ობიექტის **с-** ნიშნით გადმოიცემა რეალური სუბიექტი, ე. ი. ის, ვისაც მოსწონს, ხოლო გრამატიკული სუბიექტის **и-** ნიშანი გამოხატავს რეალურ ობიექტს, ე. ი. იმას, რაც მომწონს.

ინვერსიულია ძირითადად გრძნობა-აღქმის, კუთვნილებისა და მსგავსი შინაარსის ზმნები. ინვერსიულ ზმნებში კლასოვან-პიროვან პრეფიქსთა განლაგება ზოგჯერ ფორმალურად ემთხვევა გარდამავალ ზმნათა კლასოვან-პიროვან პრეფიქსთა განლაგებას, მაგრამ ეს მოჩვენებითია, რაც თუნდაც იმით გამოიხატება, რომ სათანადო პირობების არსებობის მიუხედავად ინვერსიულ ზმნებში არ ხდება სუბიექტის ნიშანთა გამჟღერება (მაგალითად, **и-с-гѣа-пѣхо-ит** „მე იგი (არაგონ.) მომწონს“, შდრ. **ды-з-но-ит** „მე მას (ადამ.) ვხედავ“...).

ზოგიერთ ზმნურ კატეგორიაში პირდაპირი წყობის მქონე გარდამავალი ზმნაც შეიძლება გადაიქცეს ინვერსიულად. პოტენციალისის (შესაძლებლობის), უნებურობისა და ზოგ სხვა კატეგორიაში ყველა გარდამავალი ზმნა გარდაუვალი და ინვერსიული ხდება, რაც აისახება კლასოვან-პიროვან პრეფიქსთა რიგის შეცვლით. მაგალითად: გარდამ. **и-ка-с-цо-ит** „მე რაღაცას ვაკეთებ“, მაგრამ შდრ. ინვერს. პოტენც. **и-с-зы-ка-цо-м** „მე რაღაცას ვერ ვაკეთებ“, გარდამ. **и-у-с-џо-ит** „მე შენ (მამაკ.)

რალაცას გაძლევ“, მაგრამ შდრ. ინვერს. პოტენც. **И-СЫ-З-У-ТО-М** „მე შენ (მამაკ.) რალაცას ვერ გაძლევ, ვერ მოგცემ“...

6. ზმნის ფინიტური და ინფინიტური წარმოება. აფხაზურ ენას არ მოეპოვება იმ ტიპის რთული ქვეწყობილი და რთული თანწყობილი წინადადება, რაც გავრცელებულია სხვა ენებში და მათ შორის ქართულშიც. ამიტომ სხვა ენათა რთული წინადადების შინაარსის გადმოცემას აფხაზურში ზმნის ფინიტური (სრული) და ინფინიტური (უსრული) წარმოებები კისრულობენ. იმისათვის, რომ წინადადებას დასრულებული სახე ჰქონდეს, აფხაზურში აუცილებელია წინადადებაში ერთი ფინიტური წარმოების ზმნა მაინც იყოს (გამონაკლისია კითხვითი წინადადება). ფინიტური წარმოების ზმნა მთელი წინადადების ბირთვია და ჩვეულებრივ შეესაბამება სხვა ენათა რთული წინადადების შემადგენელი მთავარი წინადადების შემასმენელს, ინფინიტური წარმოების ზმნა კი შეესატყვისება სხვა ენათა დამოკიდებული წინადადების შემასმენელსაც, აგრეთვე გამოხატავს მაკავშირებელ და საგარემოებო სიტყვათა შინაარსსაც სპეციალური აფიქსური ელემენტების მეშვეობით. მაგალითად:

Нарт, Сасыкжәа идыццәа **д-аны-р-ңыртц** (ინფინიტ.) **иҭны д-аа-ит** (ფინიტ.) “ნართი სასრიყვა თავის მეგობრებს როცა **დაშორდა**, შინ **მოვიდა**“ (შდრ. **д-аны-р-ңыртц** „როცა იგი დაშორდა“, **д-аа-ит** „იგი მოვიდა“);

аҭ асаламшәкәы **и-џ-ны** (ინფინიტური აბსოლუტივი) **изҭан и-л-и-џе-ит** (ფინიტ.) “მამამ მოკითხვის წერილი **დაწერა** და თავის ასულს **მისცა**“ (**и-џ-ны** „დაწერა, რა, წერით, написав“, **и-л-и-џе-ит** „მან მას ის მისცა“);

с-ахь-не-и-уа (ინფინიტ.) **и-у-а-с-хәо-м** (ფინიტ.) “არ **გეტყვო**, სად **მივდივარ**“ (**с-ахь-не-и-уа** „მე სადაც მივდივარ“, **и-у-а-с-хәо-м** „მე შენ (მ.) მას არ გეტყვი“). და ა. შ.

ზმნის ფინიტურობა (დასრულებულობა) საგანგებო აფიქსებით გამოიხატება, რომელთაგან ზოგს ოდენ ფინიტობის აღამნიშვნის ფუნქცია აქვს, ზოგი კი ერთდროულად გამოხატავს როგორც ფინიტობას,

ისე მიმართებას დროსთან.

ოდენ ფინიტობის მაწარმოებელი **-ИТ||**→**-Т** სუფიქსი, ხოლო ფინიტობასთან ერთად დროსაც აღნიშნავენ **-Н** და **-П** სუფიქსები.

სუფიქსი **-ИТ||** → **-Т** გამოიყენება დინამიკური ზმნის თხრობითი კილოს შემდეგ ნაკვთებში: აწმყოში (**с-цо-ИТ** „მივიღვარ“, **и-ка-с-цо-ИТ** „გაკეთებ“...), ნამყო სრულში ანუ აორისტში (**с-це-ИТ** „წავედი“, **и-ка-с-це-ИТ** „გავაკეთე“...), ნამყო უკვეობითში (**с-ца-хье-ИТ** „უკვე წავედი“, **и-ка-с-ца-хье-ИТ** „უკვე გავაკეთე“...), მეორე მყოფადში (**с-ца-ш-Т** „წავალ“, **и-ка-с-ца-ш-Т** „გავაკეთებ“...). იგივე სუფიქსი დასტურდება აგრეთვე კონიუნქტივის ანუ დაშვებითი კილოს ფორმებში (**д-цаа-ИТ** „დაე წავიდე“, **и-ка-и-цаа-ИТ** „დაე გააკეთოს“...).

სუფიქსი **-П** გამოიყენება სტატიკურ ზმნათა თხრობითი კილოს აწმყოს ნაკვთში (**сы-ко-у-П** „ვარ“, **у-гыло-у-П** „დგახარ“...). იგივე **-П** გამოიყენება აგრეთვე დინამიკური და სტატიკური ზმნების პირველი თურმეობითის ფორმებშიც (**д-ца-заа-П** „თურმე წასულა“, **и-ка-и-ца-заа-П** „თურმე გაუკეთებია“...), **сы-ка-заа-П** „ვეოფილვარ“, **у-гыла-заа-П** „თურმე მდგარხარ“...). ფინიტობის **-П** სუფიქსი დროის გაგებას ითავსებს დინამიკურ ზმნათა თხრობითი კილოს პირველი მყოფადის ფორმებში (**с-ца-П** „წავალ“, **и-ка-с-ца-П** „გავაკეთებ“).

სუფიქსი **-Н** გამოიყენება შემდეგ ნაკვთთა ფორმებში: სტატიკურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელში (**сы-ка-Н** „ვიყავი“, **у-гыла-Н** „იდექი“...), დინამიკურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელში (**с-ца-Н** „წავედი და...“, **и-ка-с-ца-Н** „გავაკეთე და...“), დინამიკურ ზმნათა ნამყო წინარე წარსულში (**с-ца-хья-Н** „უკვე წასული ვიყავი“, **и-ка-с-ца-хья-Н** „უკვე გაკეთებული მქონდა“...), დინამიკურ და სტატიკურ ზმნათა მეორე თურმეობითში (**с-ца-заа-ры-Н** „წავიდლოდი“, **и-ка-с-ца-заа-ры-Н** „გავაკეთებდი“...), დინამიკურ ზმნათა პირველ კავშირებითში (**с-ца-ры-Н** „წავიდლოდი“, **и-ка-с-ца-ры-Н** „გავაკეთებდი“...), მეორე კავშირებითში (**с-ца-ша-Н** „წავიდლოდი“, **и-ка-с-ца-ша-Н** „გავაკეთებდი“...).

რაც შეეხება ინფინიტურ წარმოებას, მას ინფინიტობის საგანგებო აფიქსები არა აქვს, სამაგიეროდ დაირთავს სხვადასხვაგვარ საგარემოებო

და ნაცვალსახელურ-სამიმართებო ელემენტებს (მათ შესახებ იხ. ქვემოთ).

7. მიმართების პრეფიქსიანი ინფინიტური წარმოება. როგორც აღინიშნა, აფხაზურ ენას არ მოეპოვება მიმართებითი ნაცვალსახელები („ვინც“, „რაც“, „რომელიც“, „როგორიც“...). „ვინც“, და „რაც“ ნაცვალსახელთა ფუნქციას ასრულებენ ინფინიტური წარმოების ზმნურ ფორმაში გამოყენებული **И(Ы)-** და **З-** სამიმართებო პრეფიქსები. ზმნის ამსუფიქსებიანი ფორმები ნაწილობრივ შეესაბამება ქართული ენის სასუბიექტო („მკეთებელი“, „წამსვლელი“...) და საობიექტო („საკეთებელი“, „წასასვლელი“) მიმღებებს, ოღონდ აფხაზურ ფორმებში დროის გაგება უფრო მკვეთრადაა გამოხატული.

სამიმართებო **И(Ы)-** და **З-** პრეფიქსები ზმნის ფორმაში ენაცვლებიან. სუბიექტისა და ობიექტის აღმნიშვნელ კლასოვან-პიროვან პრეფიქსებს. ეს პრეფიქსები არ განარჩევენ არც პირს, არც გრამატიკულ კლასს და არც რიცხვს, სამაგიეროდ ამპრეფიქსებიანი ფორმები იწარმოებენ უკლებლივ ყველა ნაკვეთის (მწკრივის) ფორმებს, რაც ამა თუ იმ ზმნას შეუძლია აწარმოოს საზოგადოდ.

სამიმართებო **И(Ы)-** პრეფიქსი ყოველთვის ენაცვლება **დ-**ს რიგის კლასოვან-პიროვან პრეფიქსებს. იგი მუდამ პირველ ადგილას დგას ზმნური ფორმის დასაწყისშივე და გამოხატავს ერთპირიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტს, ორპირიანი გარდაუვალი ზმნის ირიბ ობიექტს და გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს.

ერთპირიანი გარდაუვალი სტატიკური ზმნა

ფინიტ. წარმ.
მხ.რ.

ინფინიტ. წარმ.

I პ. сара **сы-коуп** „მე ვარ“

II პ. $\left\{ \begin{array}{l} \text{уара } \mathbf{уы-коуп} \text{ „შენ (მამაკ.) ხარ“} \\ \text{бара } \mathbf{бы-коуп} \text{ „შენ (ქ.) ხარ“} \end{array} \right.$

III პ. $\left\{ \begin{array}{l} \text{иара } \mathbf{ды-коуп} \text{ „იგი (ადამ.) არის“} \\ \text{лара } \\ \text{иара } \mathbf{(и)ы-коуп} \text{ „იგი (არაგონ.) არის“} \end{array} \right.$

(И)Ы-коу „ვინც არის, რაც არის, მყოფი“

მრ. რ.

- I ბ. ჯარა **ჯა**-ყოუპ „ჩვენ ვართ“
- II ბ. შჳარა **შჳყ**-ყოუპ „თქვენ ხართ“
- III ბ. დარა (**ი**)ყ-ყოუპ „ისინი არიან“

ერთპირიანი გარდაუვალი დინამიკური ზმნა

მხ. რ.

- I ბ. სარა **ც**-ყოიტ „მე მივდივარ“
- II ბ. {
 - ყარა **ყ**-ყოიტ „შენ (მამაკ.) მიხვალ“
 - ბარა **ბ**-ყოიტ „შენ (ქ.) მიხვალ“
- III ბ. {
 - {
 - იარა } დ-ყოიტ „ის (ადამ.) მიდის“
 - ლარა }
 - იარა (**ი**-)ყოიტ „ის (არაგონ.) მიდის“

ი-ცო „ვინც მიდის, რაც მიდის, მიმავალი, წამსვლელი“

მრ.რ.

- I ბ. ჯარა **ჯ**-ყოიტ „ჩვენ მივდივართ“
- II ბ. შჳარა **შჳჳ**-ყოიტ „თქვენ მიდიხართ“
- III ბ. დარა (**ი**-)ყოიტ „ისინი მიდიან“

ორპირიანი გარდაუვალი სტატიკური ზმნა

მხ. რ.

- | | |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> I ბ. სარა დ-სყ-მოუპ აფყზა „მე მყავს მეგობარი“ II ბ. ყარა დ-ყ-მოუპ აფყზა „შენ(მამაკ.) გყავს მეგობარი“ | <ul style="list-style-type: none"> სარა ი-სყ-მოუ აფყზა „მეგობარი, რომელიც მე მყავს“ ყარა ი-ყ-მოუ აფყზა „მეგობარი, რომელიც შენ (მამაკ.) გყავს“ |
| <ul style="list-style-type: none"> ბარა დ-ბყ-მოუპ აფყზა „შენ(ქ.) გყავს მეგობარი“ | <ul style="list-style-type: none"> ბარა ი-ბყ-მოუ აფყზა „მეგობარი, რომელიც შენ (ქ.) გყავს“ |

III ბ.	იარა დ-იყ-მოუყ აფყზა „მას(მამაკ.) ჰყავს მეგობარი“	იარა (ი-)იყ-მოუ აფყზა „მეგობარი, რომელიც მას (მამაკ.) ჰყავს“
	ლარა დ-ლყ-მოუყ აფყზა „მას(ქ.) ჰყავს მეგობარი“	ლარა ი-ლყ-მოუ აფყზა „მეგობარი, რომელიც მას (ქ.) ჰყავს“
	[იარა დ-ა-მოუყ აფყზა] „მას(არაგონ.) ჰყავს მეგობარი“	[იარა ი-ა-მოუ აფყზა] „მეგობარი, რომელიც მას (არაგონ.) ჰყავს“

მრ. რ.

I ბ.	ჰარა დ-ჰ,ა-მოუყ აფყზა „ჩვენ გყყავს მეგობარი“	ჰარა ი-ჰ,ა-მოუ აფყზა „მეგობარი, რომელიც ჩვენ გყყავს“
II ბ.	შაარა დ-შაყ-მოუყ აფყზა „თქვენ გყავთ მეგობარი“	შაარა ი-შაყ-მოუ აფყზა „მეგობარი, რომელიც თქვენ გყავთ“
III ბ.	დარა დ-რყ-მოუყ აფყზა „მათ ჰყავთ მეგობარი“	დარა ი-რყ-მოუ აფყზა „მეგობარი, რომელიც მათ ჰყავთ“

ორპირიანი გარდამავალი ღინამიკური ზმნა

მხ. რ.

I ბ.	სარა დყ-ზ-ბოიტ აჰაყყყ ნყშზა „მე ვხედავ ლამაზ ბავშვს“	სარა ი-ზ-ბო აჰაყყყ დყნყშზოუყ „ბავშვი, რომელსაც მე ვხედავ, ლამაზია“
II ბ.	ყარა დ-ყ-ბოიტ აჰაყყყ ნყშზა „შენ(მამაკ.) ხედავ ლამაზ ბავშვს“	ყარა ი-ყ-ბო აჰაყყყ დყნყშზოუყ „ბავშვი, რომელსაც შენ (მამაკ.) ხედავ, ლამაზია“
	ბარა დყ-ბ-ბოიტ აჰაყყყ ნყშზა	ბარა ი-ბ-ბო აჰაყყყ დყნყშზოუყ

- „შენ(ქ.) ხედავ ლამაზ ბავშვს“ „ბავშვი, რომელსაც შენ (ქ.) ხედავ, ლამაზია“
- III ბ. იარა **д-и-ბოит** ახაყყყ ნყშყა იარა **и-и-ბო** ახაყყყ დყნყშყოუპ
 „ის(მამაყ.) ხედავს ლამაზ ბავშვს“ „ბავშვი, რომელსაც ის(მამაყ.) ხედავს, ლამაზია“
 ლარა **ды-л-ბოит** ახაყყყ ნყშყა ლარა **и-л-ბო** ახაყყყ დყნყშყოუპ
 „ის(ქ.) ხედავს ლამაზ ბავშვს“ „ბავშვი, რომელსაც ის (ქ.) ხედავს, ლამაზია“
 იარა **д-а-ბოит** ახაყყყ ნყშყა იარა **и-а-ბო** ახაყყყ დყნყშყოუპ
 „იგი(არაგონ.) ხედავს ლამაზ ბავშვს“ „ბავშვი, რომელსაც ის(არაგონ.) ხედავს, ლამაზია“

მრ. რ.

- I ბ. ჯარა **д-аа-ბოит** ახაყყყ ნყშყა ჯარა **и-аа-ბო** ახაყყყ დყნყშყოუპ
 „ჩვენ ვხედავთ ლამაზ ბავშვს“ „ბავშვი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, ლამაზია“
- II ბ. შაარა **ды-жә-ბოит** ახაყყყ ნყშყა შაარა **и-жә-ბო** ახაყყყ დყნყშყოუპ
 „თქვენ ხედავთ ლამაზ ბავშვს“ „ბავშვი, რომელსაც თქვენ ხედავთ, ლამაზია“
- III ბ. დარა **ды-р-ბოит** ახაყყყ ნყშყა დარა **и-р-ბო** ახაყყყ დყნყშყოუპ
 „ისინი ხედავენ ლამაზ ბავშვს“ „ბავშვი, რომელსაც ისინი ხედავენ, ლამაზია“

ბრინციბულად ორბირიან გარდამავალ ზმნათა მსგავსი ვითარებაა სამბირიან გარდამავალ ზმნებშიც. მაგალითად: **и-у-а-с-х,ааз** (и-)умахаит „შენ (მამაყ.) არ გაიგონე ის, რაც მე ვითხარი“...

სამიმართებო 3- პრეფიქსი გამოიყენება მხოლოდ ორბირიან და სამბირიან ზმნებში, მაგრამ არ იხმარება ერთბირიანებში, ვინაიდან იგი მულდამ ენაცვლება **ლ-**ს რიგის კლასოვან-პიროვან პრეფიქსებს, ეს უკანასკნელები კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ გამოიყენება ერთბირი-

ან ზმნებში. სამიმართებო **3-** პრეფიქსი ენაცვლება ორპირიანი გარდაუვალი ზმნისა და ყველა გარდამავალი ზმნის სუბიექტის, აგრეთვე გარდამავალ ზმნათა ირიბი ობიექტის ნიშნებს. მაგალითად:

ორპირიანი გარდამავალი ზმნა

ფინიტ. წარმ.	ინფინიტ. წარმ.
იარა სარა ი-3-ბოიტ	სარა სყ-3-ნო
„მე ვხედავ მას (არაგონ.)“	„ვინც, რაც მე მხედავს, ჩემი ღამნახავი“
იარა უარა ი-უ-ბოიტ	უარა უ-3-ნო
„შენ(მამაკ.) ხედავ მას(არაგონ.)“	„ვინც, რაც შენ(მამაკ.) გხედავს, შენი ღამნახავი“
იარა ბარა ი-ბ-ბოიტ	ბარა ბყ-3-ნო
„შენ(ქ.) ხედავ მას(არაგონ.)“	„ვინც, რაც შენ(ქ.) გხედავს, შენი ღამნახავი“
იარა იარა (ი-)ი-ბოიტ	იარა დყ-3-ნო
„იგი(მამაკ.) ხედავს მას(არაგონ.)“	„ვინც, რაც მას(ადამ.) ხედავს, მისი ღამნახავი“
იარა ლარა ი-ლ-ბოიტ	ლარა დყ-3-ნო
„იგი(ქ.) ხედავს მას(არაგონ.)“	„ვინც, რაც მას(ადამ) ხედავს, მისი ღამნახავი“
იარა იარა ი-ა-ბოიტ	იარა (ი-)ვ-ნო
„იგი(არაგონ.) ხედავს მას(არაგონ.)“	„ვინც, რაც მას(არაგონ.) ხედავს, მისი ღამნახავი“
იარა ჯარა ი-აა-ბოიტ	ჯარა ჯა-3-ნო
„ჩვენ ვხედავთ მას(არაგონ.)“	„ვინც, რაც ჩვენ გვხედავს, ჩვენი ღამნახავი“
იარა შაარა ი-ჯა-ბოიტ	შაარა შაყ-3-ნო
„თქვენ ხედავთ მას(არაგონ.)“	„ვინც, რაც თქვენ გხედავს, თქვენი ღამნახავი“
იარა დარა ი-რ-ბოიტ	დარა (ი-)ვ-ნო
„ისინი ხედავენ მას(არაგონ.)“	„ვინც, რაც მათ ხედავს, მათი ღამნახავი“

ორპირიანი გარდაუვალი ზმნა

იარა სარა ი-**სы**-მოუპ

„მე იგი(არაგონ.) მაქვს, მყავს“

სარა сы-**з**-მოუ

„ვისაც, რასაც მე ვყავარ“

იარა უარა ი-**у**-მოუპ

„შენ(მამაკ.) ის(არაგონ.) გაქვს, გყავს“

უარა у-**з**-მოუ

„ვისაც, რასაც შენ(მამაკ.) ჰყავხარ“

იარა ბარა ი-**бы**-მოუპ

„შენ(ქ.) ის(არაგონ.) გაქვს, გყავს“

ბარა бы-**з**-მოუ

„ვისაც, რასაც შენ(ქ.) ჰყავხარ“

იარა იარა (ი-)**ны**-მოუპ

„მას(მამაკ.) ის(არაგონ.) აქვს, ჰყავს“

იარა ды-**з**-მოუ

„ვისაც, რასაც ის(აღამ.) ჰყავს“

იარა ლარა ი-**лы**-მოუპ

„მას(ქ.) ის(არაგონ.) აქვს, ჰყავს“

ლარა ды-**з**-მოუ

„ვისაც, რასაც ის(აღამ.) ჰყავს“

იარა იარა (ი-)**а**-მოუპ

„მას(არაგონ.) ის(არაგონ.) აქვს, ჰყავს“

იარა (ი-)**з**-მოუ

„ვისაც, რასაც ის(არაგონ.) აქვს, ჰყავს“

იარა ჯარა ი-**жа**-მოუპ

„ჩვენ ის(არაგონ.) გვაქვს, გვყავს“

ჯარა жа-**з**-მოუ

„ვისაც, რასაც ჩვენ ვყავართ“

იარა შაარა ი-**шәы**-მოუპ

„თქვენ ის(არაგონ.) გაქვთ, გყავთ“

შაარა шәы-**з**-მოუ

„ვისაც, რასაც თქვენ ჰყავხართ“

იარა დარა ი-**ры**-მოუპ

„მათ ის(არაგონ.) აქვთ, ჰყავთ“

დარა (ი-)**з**-მოუ

„ვისაც, რასაც ისინი აქვთ, ჰყავთ“

შდრ. აგრეთვე სამპირიანი გარდამავალი ზმნის ფორმები: ერთი მხრივ, **и-ры-з-то** „ვინც, რაც მათ რაღაცას აძლევს“... და, მეორე მხრივ, **и-зы-р-то** „ვისაც, რასაც ისინი მას(არაგონ.) აძლევენ“...

იგივე სამიმართებო **з**- პრეფიქსი სახელთა კუთვნილებით-სამიმართებო ფორმებშიც გამოიყენება და ენაცვლება კუთვნილების **ლ**-ს რიგის პრეფიქსებს. მაგალითად:

сара с-ыџны „ჩემი სახლი“	} 3-ыџны „ვისი, რისი სახლი(ც)“
уара у-џны „შენ(მამაკ.) სახლი“	
ბара б-ыџны „შენი(ქ.) სახლი“	
иара и-џны „მისი(მამაკ.) სახლი“	
лара л-ыџны „მისი(ქ.) სახლი“	
иара а-џны „მისი(არაგონ.) სახლი“	
хара х,а-џны „ჩვენი სახლი“	
шџара шџ-ыџны „თქვენი სახლი“	
дара р-ыџны „მათი სახლი“	

ამ ტიპის 3- პრეფიქსიან სახელთა კუთვნილების ფორმებთან აუცილებელია ჯერ ინფინიტური წარმოების, შემდეგ კი ფინიტური წარმოების ზმნათა ერთდროული ხმარება. მაგალითად: **зы-џны** (и-)**зы-3-дыргылаз** (ინფინიტ.) ахаџа дааит (ფინიტ.) „მოვიდა კაცი, ვისაც სახლი აუშენეს“...

8. საგარემოებო ელემენტიანი ინფინიტური წარმოება.

აფხაზურ ენას არ მოეპოვება სხვა ენათათვის დამახასიათებელი მაქვემდებარებელი კავშირები, რის გამოც მათ ფუნქციას ზმნის ინფინიტურ ფორმაში ჩართული ადგილის **ахь-**, დროის **ан-**, ვითარების **ш-** და მიზეზის **3-** საგარემოებო პრეფიქსული ელემენტები ასრულებენ. ეს საგარემოებო ელემენტები გამოიყენება უკლებლივ ყველა ნაკვეთის ფორმაში.

ადგილის საგარემოებო **ахь-** ელემენტი ასრულებს ქართული ენის „სად“, „სადაც“ კავშირთა როლს და ჩაერთვის ზმნაში პირველ ადგილას მდგარი კლასოვან-პიროვანი პრეფიქსების შემდეგ. მაგალითად: **с-ахь-џо** „სადაც მივდივარ“, **д-ахьы-3-наз** „სადაც მე იგი (ადამ.) დავინახე“... ამავ ელემენტიან ზმნას ხშირად მიზეზის გარემოების მნიშვნელობაც შეეძინება. ასეთ შემთხვევაში ინფინიტურ ზმნას მოსდევს ხოლმე ნაწილაკები **азы** „თვის, გამო“, **акнытџ** „გამო, -გან“. მაგალითად: **Адгџыр д-ахь-студентхаз азы даара сгџырџьџейт** „ძალიან გამეხარდა, ადგური რომ სტუდენტი გახდა“...

დროის საგარემოებო **ан-** ელემენტი ასევე პირველ ადგილას მდგარი კლასოვან-პიროვანი პრეფიქსების შემდეგ ჩაერთვის. მაგალითად:

с-аны-л-на „როცა მან (ქ.) მე დამინახა“, **с-ан-ца** „როცა წავედი“...

იმავე ადგილს იჭერს ვითარების საგარემოებო **ш-** ელემენტიც: **д-шы-з-ნаз** „როგორც ის (ადამ.) დავინახე“, **сы-ш-цо** „როგორც მივდივარ“...

იგივე მდგომარეობაა მიზეზის საგარემოებო **з-** ელემენტის გამოყენების დროსაც: **сы-з-цо** „რისთვისაც, რატომაც, რის გამოც მივდივარ“, **д-зы-з-наз** „რისთვისაც, რატომაც ის (ადამ.) ვნახე“...

სივრცით და დროულ მიმართებებს გადმოსცემენ აგრეთვე რთული აგებულების **ахьы-н-тә** „საიდანაც“ (**с-ахьынтә-ааз** „საიდანაც მოვედი“...), **ахьы-нза-** „სადამდეც“ (**с-ахьынза-неиз** „სადამდეც მივედი“...), **-аанза** „სანამ, -მდე“ (**с-ааи-аанза** „სანამ მოვიდოდი, ჩემს მოსვლამდე“...), **-ижьтєи** „მას აქეთ, რაც“ (**с-аа-ижьтєи** „მას აქეთ, რაც მოვედი“...), **-нацы** „ვიდრე“ (**с-гылю-нацы** „ვიდრე ვდგავარ“...). ამ ელემენტებთან ფუნქციურად ახლოს დგას ელემენტი **-цыпъхъаза** „იმდენჯერ, რამდენჯერაც“ (**и-с-хәә-цыпъхъаза** „რამდენჯერაც ვიტყვი, ყოველ თქმაზე“...).

9. დრო-კილოთა სისტემა. აფხაზურ ზმნას, ისევე როგორც ქართულს, სამი დრო აქვს: ახლანდელი, წარსული და მომავალი. თითოეულ დროს რამდენიმე ნაკვეთელი შეესაბამება. ამ თვალსაზრისით, ე. ი. ნაკვეთელთა რაოდენობის მიხედვით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება სტატიკური და დინამიკური ზმნები. დინამიკური ზმნა სტატიკურთან შედარებით უფრო მდიდარია ნაკვეთელებით. ყველა ნაკვეთის ფორმაში განირჩევა ფინიტური და ინფინიტური სახეობები.

10. სტატიკური ზმნის ნაკვეთა წარმოება. სტატიკურ ზმნას ძირითადად ორი ნაკვეთის ფორმა ეწარმოება — აწმყოსა და ნამყო განუსაზღვრელისა.

აწმყოს ფინიტურ ფორმას აწარმოებს რთული **-у-п** სუფიქსი, რომელშიც **-у** დროის მაწარმოებელია, **-п** კი ფინიტობისა. მაგალითად: **сы-ко-у-п** „ვარ“, **ишзио-у-п** „კარგია“, **и-хаа-у-п** „ტკბილია“, **ды-пъшзо-у-п** „იგი (ადამ.) ლამაზია“... აწმყოს ინფინიტურ ფორმას ოდენ **-у** სუფიქსი აწარმოებს. მაგალითად: **сахьыко-у** „სადაც ვარ“, **ишнзио-у** „ის რომ

კარგია“, **ихаа-у** „რაც ტკბილია“, **ианыпъшзо-у** „როცა ლამაზია“...

სტატეკური ზმნის აწმყოს წარმოებისას ფუძის ბოლოკიდური **а** ხმოვანი მეზობელი **-у(ү)** ნახევარხმოვნის ზეგავლენით **о** ხმოვანად იქცევა: **сыко-у-п** „ვარ“, **ибзио-у-п** „კარგია“... მაგრამ თუ ფუძე ორი **а** ხმოვნით ან **ха** მარცვლით ბოლოვდება, მაშინ ბოლო **а** ხმოვანი უცვლელი რჩება: **ихаа-у-п** „ტკბილია“, **ихаа-у** „რაც ტკბილია“, **иеих,а-у-п** „იგი (არაგონ.) მეტია“, **иеих,а-у** „რაც მეტია“...

ნამყო განუსაზღვრელის ფინიტურ ფორმას **-н** სუფიქსი აწარმოებს, რომელიც ერთდროულად დროსაც აღნიშნავს და ფინიტობასაც. მისი დართვისას ფუძეს არავითარი ცვლილება არ მოსდის. მაგალითად: **сыка-н** „ვიყავი“, **ибзиа-н** „კარგი იყო“, **дбеиа-н** „მდიდარი იყო“... ინფინიტურ ფორმაში **-н** სუფიქსის ადგილას **-з** სუფიქსი ჩნდება და არც ამ დროს ხდება რაიმე ფონეტიკური ცვლილება. მაგალითად: **сахыка-з** „სადაც ვიყავი“, **ишбзиа-з** „კარგი რომ იყო“, **дышбеиа-з** „მდიდარი რომ იყო“...

სტატეკურ ზმნას შეიძლება დაერთოს დიურატიულობის ანუ განგრძობითობის **-заа** სუფიქსი, რაც ქმნის შესაძლებლობას დინამიკურ ზმნათა მსგავსად ზოგი სხვა ნაკვეთის წარმოებისა. მაგალითად:

აწმყო: **ыка-заа-уеит** „იგი არის, მყოფობს“

ნამყო უსრ.: **ыка-заа-уан** „იგი იყო, მყოფობდა“

მყოფ. I: **ыка-заа-п** „იგი იქნება, იმყოფებს“

მყოფ. II: **ыка-заа-шт** „იგი იქნება, იმყოფებს“

11. დინამიკური ზმნის ნაკვეთა წარმოება. დინამიკურ ზმნას შეუძლია აწარმოოს შემდეგი ნაკვეთები: აწმყო, მყოფადი I, მყოფადი II, ნამყო უსრული, ნამყო განუსაზღვრელი, ნამყო სრული ანუ აორისტი, ნამყო უკვეობითი და ნამყო წინარე წარსული.

აწმყო. დინამიკური ზმნის აწმყოს ფინიტურ ფორმას აწარმოებს რთული **-уа-ит** → **-уе-ит** სუფიქსი, სადაც **-уа** დროის მაწარმოებელია, **-ит** კი ფინიტობისა. თუ ზმნის ფუძე **а** ხმოვნით ბოლოვდება, მაშინ **-уеит** სუფიქსი წინა ხმოვანთან შერწყმით იძლევა **-оит** სახეობას. მაგალითად: **с-ца-уа-ит** → **с-ца-уеит** → **с-цоит** „მივდივარ“, **из-на-уа-ит** →

из-ба-**уе-ит** → из-**бонт** „ვხედავ“... თუ ფუძე ბოლოვდება ნებისმიერი თანმოვნით, **и, у** (ა, უ) ნახევარმოვნებით, **аа** ხმოვნებით ან **ха** მარცვლით, მაშინ **-уеит** სუფიქსი ცვლილებას არ განიცდის. მაგალითად: и-тысх-**уеит** „მე მას (არაგონ.) ვხატავ“, с-неи-**уеит** „მივდივარ, მივალ“, и-у-**уеит** „ყმუის“, еилыскаа-**уеит** „მესმის, ვიგებ“, сбаха-**уеит** „ვბარავ“... აწმყოს ინფინიტურ ფორმაში ზმნის ფუძეს ოდენ დროის აღმნიშვნელი **-уа** სუფიქსი დაერთვის, რომელიც ერწყმის ფუძისეულ **а** ხმოვანს და იძლევა **о** ხმოვანს (**а-уа** → **о**). მაგალითად: сахь-ца-**уа** → сахь-цо „სადაც მივდივარ“, из-ба-**уа** → из-бо „რასაც ვხედავ“... სხვა შემთხვევებში **-уа** უცვლელი რჩება: итысх-**уа** „რასაც ვხატავ“, сахьнеи-**уа** „სადაც მივდივარ“, и-у-**уа** „რაც ყმუის“, и-еилы-с-каа-**уа** „რაც მესმის, რასაც ვიგებ“, дан-баха-**уа** „როცა ბარავ“...

ხშირად ქართულის მსგავსად აწმყოს ფორმას მყოფადის შინაარსიც აქვს. მაგალითად: уацэы Акэа сцоит „ხვალ სოხუმში მივდივარ, წავალ“...

მყოფადი I. მყოფადი I გამოხატავს იმ მოქმედებას, რაც მომავალში უეჭველად უნდა მოხდეს. მყოფადი I-ის ფინიტური ფორმა იწარმოება ზმნის ფუძეზე **-п** სუფიქსის დართვით. ამ დროს ფონეტიკური ცვლილებები არ ხდება. მაგალითად: с-ца-**п** „წავალ“, дыз-ба-**п** „მას (აღამ.) ვნახავ“, и-ты-с-хы-**п** „დავხატავ“, еилы-с-каа-**п** „გავიგებ“... ინფინიტურ ფორმაში **-п** სუფიქსს ენაცვლება **-ра** ან **-лак||-лакь||-лаг** სუფიქსები: санца-**ра||санца-лак||санца-лакь||санца-лаг** „როცა წავალ“...

მყოფადი II. ამ ნაკვეთს მომავლის უფრო განუსაზღვრელი შინაარსი აქვს. მყოფადი II-ის ფინიტურ ფორმას რთული **-ш-т** ← **-ша-ит** სუფიქსი აწარმოებს, რომელშიც **-ша** → **-ш** მომავალი დროის აღმნიშვნელია, ხოლო **-ит** → **-т** ფინიტობას გამოხატავს. ამ რთული სუფიქსის დართვისას ფონეტიკური ცვლილებები არ ხდება. მაგალითად: сца-**шт** „წავალ“, еилыскаа-**шт** „გავიგებ“... მყოფადი II-ის ინფინიტური ფორმა მიიღება ოდენ მომავალი დროის აღმნიშვნელი **-ша** სუფიქსის დართვით ზმნის ფუძეზე. ფონეტიკური მოვლენები არც ამ დროს ხდება. მაგალითად: санца-**ша** „როცა უნდა წავიდე“, иеилыскаа-**ша** „რაც უნდა გავიგო“...

ნამყო უსრული. ნამყო უსრულის ფინიტური ფორმა ემყარება

აწმყოს ნაკვთის **-ya** სუფიქსიან ინფინიტურ ფუძეს, რომელსაც დამატებით დაერთვის დროისა და ფინიტობის ერთდროულად გამომხატველი **-н** სუფიქსი (შდრ. იგივე **-н** სუფიქსი, რომელიც გამოიყენება სტატიკურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელის ფინიტური ფორმის საწარმოებლად). შედეგად ვიღებთ **-ya-н** სუფიქსს, რომელიც ფუძისეულ **-а** ხმოვანთან შერწყმის შედეგად იძლევა **он** დაბოლოებას: **с-ца-ya-н** → **сцон** „მივდიოდი“, **дыз-на-ya-н** → **дызбон** „მას (აღამ.) ვხედავდი“... თანხმოვნებით, **н, у** ნახევარხმოვნებით, **аа** და **ха** მარცვლებით დამთავრებულ ფუძეებში უცვლელად არის შენარჩუნებული **-ya-н** დაბოლოება: **итысх-ya-н** „ვხატავდი“, **сней-ya-н** „მივდიოდი“, **еилыскаа-ya-н** „მესმოდა, ვიგებდი“, **сбах,а-ya-н** „ვბარავდი“... ინფინიტური წარმოებისას **-ya** სუფიქსს **-н** სუფიქსის ნაცვლად ინფინიტურობის **-з** სუფიქსი ერთვის. ფონეტიკური პროცესების მხრივ კი ვითარება ინფინიტურ ფორმათა მსგავსია: **сахьца-ya-з** → **сахьцоз** „სადაც მივდიოდი“, **данызба-ya-з** → **данызбоз** „როცა მას (აღამ.) ვხედავდი“..., **итысх-ya-з** „რასაც, ვისაც ვხატავდი“, **сахьней-ya-з** „სადაც მივდიოდი“, **еилыскаа-ya-з** „რასაც ვიგებდი, რაც მესმოდა“, **санбах,а-ya-з** „როცა ვბარავდი“...

ნამყო განუსაზღვრელი. ნამყო განუსაზღვრელის ფინიტური ფორმა იწარმოება ზმნის ფუძეზე დროისა და ფინიტობის ერთდროულად გამომხატველი **-н** სუფიქსის დართვით. ამ დროს ფონეტიკური ცვლილებები არ ხდება, გარდა იმისა, რომ თანხმოვნებს შორის **ы** ხმოვანი გაჩნდება. მაგალითად: **сца-н** „წავედი და...“, **дызба-н** „იგი (აღამ.) დავინახე (და)...“, **итысхы-н** „დავხატე (და)...“, **сней-н** „მივედი (და)...“, **еилыскаа-н** „გავიგე (და)...“, **сбах,а-н** „დავბარე (და)...“ ინფინიტურ ფორმაში **-н** სუფიქსს ინფინიტურობის **-з** სუფიქსი ენაცვლება: **санца-з** „როცა წავედი“, **данызба-з** „როცა იგი (აღამ.) დავინახე“, **итысхы-з** „რაც, ვინც დავხატე“, **сахьней-з** „სადაც მივედი“, **еилыскаа-з** „რაც გავიგე“, **санбах,а-з** „როცა დავბარე“...

ნამყო სრული ანუ აორისტი. აორისტის წარმოება მარტივია. ინფინიტური ფორმის საწარმოებლად ზმნის ფუძეს დაერთვის მხოლოდ ინფინიტობის მაწარმოებელი **-ит** სუფიქსი, რომელიც ზოგ თანხმოვანზე

(**л, р, с...**) დასრულებულ ფუძეებთან მარტო **-т** თანხმოვნის სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი: **издыр-т** „გავიგე, ვისწავლე“, **схал-т** „მალა ავედი“... ცალი **а** ხმოვნით დამთავრებულ ფუძეებში **-ит** სუფიქსის **и**-ს გავლენით **а** ხმოვანი იცვლება **е** ხმოვნით: **сца-ит** → **сце-ит** „წავედი“, **дызба-ит** → **дызбе-ит** „იგი (აღამ.) ვნახე“... თანხმოვნებით, **у(щ)** ფონემით, **аа, ха** მარცვლებით დამთავრებულ ფუძეებში ფონეტიკური ცვლილებები არ ხდება. მაგალითად: **итысх-ит** „დავხატე“, **изу-ит** „გავაკეთე, ვქენი“, **иеилыскаа-ит** „გავიგე“, **сбах,а-ит** „დავბარე“... **и(д)** ფონემით დამთავრებულ ფუძეებში ერთი **и** იკარგება (არა ყოველთვის): **снеи-ит** → **снеит** „მივედი“, **сааи-ит** → **сааит** „მოვედი“... აორისტის ინფინიტური ფორმა აღარ დაირთავს არც დროისა და ინფინიტურობის სუფიქსებს, რის გამოც არც ფონეტიკური ცვლილებები ხდება. მაგალითად: **санца** „როცა წავედი“, **данызба** „როცა იგი (აღამ.) ვნახე“, **итысх(ы)** „რაც დავხატე“, **сахънеи** „სადაც მივედი“, **иеилыскаа** „რაც გავიგე“, **санбах,а** „როცა დავბარე“...

ზოგჯერ ქართულის მსგავსად აორისტის ფორმას აწმყო-მყოფადის მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად: **сцеит шыта аоныка** „წავედი (=წავალ) აწი შინ“...

ნამყო უკვეობითი. ამ ნაკვთის ფინიტური ფორმის საწარმოებლად გამოიყენება რთული **-хъа-ит** → **-хъе-ит** სუფიქსი, რომელშიც **-хъа** სუფიქსი უკვეობითობის აღმნიშვნელია, **-ит** კი — ფინიტობისა. მაგალითად: **сца-хъеит** „უკვე წავედი“, **дызба-хъеит** „უკვე ვნახე“, **итысх-хъеит** „უკვე დავხატე“, **снеи-хъеит** „უკვე მივედი“, **иеилыскаа-хъеит** „უკვე გავიგე“... ნამყო უკვეობითის ინფინიტურ ფორმაში გამოიყენება ორი სუფიქსი. უფრო გავრცელებულია რთული **-хъа-у** → **-хъо-у**, სადაც **-хъа** უკვეობითობას აღნიშნავს, ხოლო **-у** იგივეა, რაც დასტურდება სტატიკურ ზმნათა აწმყოში. ნამყო უკვეობითის ინფინიტურ ფორმას შედარებით იშვიათად აწარმოებს ოდენ **-ц** სუფიქსიც, რომელიც უკვეობითობის აღმნიშვნელია. მაგალითად: **икасцахъоу||икасца-ц** „რაც უკვე გამიკეთებია“, **изба-хъоу||изба-ц** „რაც, ვინც უკვე მინახავს“, **итысх-хъоу||итысхы-ц** „რაც, ვინც უკვე დამიხატავს“... ძალზე გავრცელებულ

ლია ამგვარი გამოთქმები: **икаспац каспоит** „იმასვე ვაკეთებ, რაც მიკეთებია“, **изутац ит!** „შენ (მამაკ.) ვისთვისაც მიგიცია, (კვლავ) მიეცი!“ (ეს ფრაზა მონადირეთა გავრცელებული თხოვნის ფორმულა იყო ნადირობის ღვთაება აჟევიფშასას სახელზე)...

ნამყო წინარე წარსული. ამ ნაკვთის ფინიტური ფორმის საწარმოებლად გამოიყენება ფუძეს დართული რთული **-хья-н** სუფიქსი, რომელშიც **-хья** უკვეობითობას აღნიშნავს, ხოლო **-н** ნამყო დროისა და ფინიტობის ერთდროულად გამომხატველია. მაგალითად: **сца-хьян** „უკვე წასული ვიყავი“, **дызна-хьян** „უკვე მენახა, ნანახი მყავდა“, **итысх-хьян** „უკვე დახატული მყავდა“, **сней-хьян** „უკვე მისული ვიყავი“, **иеилыскаа-хьян** „უკვე გაგებული მქონდა“... ამავე ნაკვთის ინფინიტურ ფორმაში ორი რთული სუფიქსი გამოიყენება: **-хья-з** და **-цы-з.** **-хья** და **-ц** უკვეობითობას აღნიშნავენ, ხოლო **-з** ნამყო დროის აღმნიშვნელია. დასახელებული ორი რთული სუფიქსიდან **-цы-з** უმეტესწილად ზმნის უარყოფით ფორმებში დასტურდება. მაგალითად: **санца-хьяз** „როცა უკვე წასული ვიყავი“, **изна-хьяз** „რაც, ვინც უკვე ნანახი მქონდა, მყავდა“, **итысх-хьяз** „რაც, ვინც დახატული მქონდა, მყავდა“, **санней-хьяз** „როცა უკვე მისული ვიყავი“, **иеилыскаа-хьяз** „რაც უკვე გაგებული მქონდა“... შდრ. უარყოფითი ფორმები: **санымца-цыз** „როცა ჭერ კიდევ არ ვიყავი წასული“. **исымна-цыз** „ვინც, რაც ჭერ კიდევ არ მენახა“, **итсымх-цыз** „ვინც, რაც ჭერ კიდევ არ დამეხატა“, **санымней-цыз** „როცა ჭერ კიდევ არ ვიყავი მისული“, **иеилсымкаа-цыз** „რაც ჭერ კიდევ არ (ვერ) გამეგო“...

ზოგი მკვლევარი დამოუკიდებელ ნაკვთად მიიჩნევს აგრეთვე **კატეგორიულ მეოფადსაც**, მაგრამ იგი წმინდა ნაკვთის ფორმა არ არის, ვინაიდან იწარმოება აღწერით, მეშველი **ауп** „არის“ ზმნის დახმარებით. ამ დროს ძირითადი მნიშვნელობის მქონე ზმნა წარმოდგენილია აწმყოს ინფინიტურ **-ya** სუფიქსიან ანდა აორისტის ინფინიტურ უსუფიქსო ფორმებზე დამყარებული ბირობითი კილოს **-р** მაწარმოებლიანი ფორმით. მაგალითად: **икаспа-р ауп** „უნდა გავაკეთო“ (ზედმიწ. „რათა, რომ გავაკეთო, არის“), **икаспа-р акэын** „უნდა გამეკეთებინა“ (ზედმიწ.

„რათა, რომ გამეკეთებინა, იყო“)... ზოგჯერ ძირითადი ზმნის პირობითი კილოს **-p** სუფიქსის წინ ჩნდება **-za** სუფიქსი, რომელიც დიურატიულობის, განგრძობითობის მაწარმოებელია. მაგალითად: **идыруа-за-p ауп** „მან (მამაკ.) უნდა იცოდეს“...

ნაკვეთისა და კილოს ფორმას შორის გარდამავალია **თურმეობითობის** ფორმები. აფხაზურ ენას თურმეობითის ორი ფორმა აქვს — თურმეობითი I და თურმეობითი II, რომლებიც იწარმოება როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ზმნებისაგან. თურმეობით I-ს აწარმოებს რთული **-zaa-п**, ხოლო თურმეობით II-ს ასევე რთული **-zaa-ры-н** სუფიქსები. ორივე თურმეობითი საყრდენად იყენებს ზმნათა წმინდა ფუძეს, აწმყოს **-ya** → **-o** დაბოლოებიან ან უკვეობითის **-хьа** სუფიქსიან ფუძეებს. მაგალითად: **сыка-zaa-п** „თურმე ვარ, ვყოფილვარ“, **дцо-zaa-п** „თურმე მიდის“, **сыка-zaa-ры-н** „თურმე ვყოფილვარ“, **дца-zaa-ры-н** „წასულა“, **дца-хьа-zaa-н** „თურმე უკვე წასულა“, **дца-хьа-zaa-ры-н** „თურმე უკვე წასულიყო“...

12. კილოს კატეგორია. ზემოთ უკვე განხილული ნაკვეთები ერთობლიობაში თხრობითი კილოსთვის არის დამახასიათებელი. გარდა თხრობითი კილოსა აფხაზურს მოეპოვება ბრძანებითი, პირობითი, მიზან-პირობითი, კავშირებითი, ნატურითი და მოჩვენებითობის კილოები, აგრეთვე კილოს კატეგორიისთან ახლოს მდგომი კითხვითი ფორმები. თითქმის ყველა მათგანს, თხრობითი კილოს გამოკლებით, აქვს კილოს მაწარმოებელი სპეციალური მაწარმოებლები.

ბრძანებითი კილო. ბრძანებითი კილო ძირითადად ეწარმოება დინამიკურ ზმნებს II პირის ორსავე რიცხვში. საამისოდ გამოიყენება ზმნის წმინდა ფუძე. თუ ზმნა გარდაუვალია, მაშინ ზმნა დაირთავს უკლებლივ ყველა პირისა და კლასის ნიშანს. მაგალითად: **y-ца!** „შენ (მამაკ.) წადი!“ **н-ца!** „შენ (ქ.) წადი!“ **шә-ца!** „წადით!“ **y-н-цхраа!** „შენ (მამაკ.) მას (მამაკ.) დაეხმარე!“ **y-лы-цхраа!** „შენ (მამაკ.) მას (ქ.) დაეხმარე!“... მაგრამ თუ ზმნა გარდამავალია, მაშინ მხოლოდით რიცხვში სუბიექტის კლასოვან-პიროვანი პრეფიქსები არასოდეს იქნება წარმოდგენილი. შდრ., მაგალითად: თხრობითი კილო — **и-ка-y-цоит** „შენ რა-

დაცას აკეთებ“, ბრძანებითი კილო — **и-ка-ца!** „გააკეთე!“ თხრობითი კილო — **д-аа-у-гоит** „შენ ის (აღამ.) მოგყავს“, ბრძანებითი კილო — **д-аа-г!** „მოიყვანე იგი (აღამ.)!“ სამაგიეროდ მრავლობით რიცხვში სუბიექტის პირის ნიშანი მუდამ თავის ადგილზეა როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებში. მაგალითად: **шә-ца!** „წადით!“ **и-ка-шә-ца!** „გააკეთეთ!“ **д-аа-жә-г!** „მოიყვანეთ!“ ბრძანებითის ფორმას ზშირად დაერთვის კატეგორიულობის, მოთხოვნის აღმნიშვნელი **-и(шь)** სუფიქსი: **у-це-и(шь)!** „აბა წადი!“ **у-гыл-и(шь)!** „აბა ერთი ადექი!“ **икаце-и(шь)!** „აბა გააკეთე!“... სტატიკურ ზმნათა ბრძანებითს ჩვეულებრივ **-з** სუფიქსი აწარმოებს: **у-ка-з!** „იყავ!“ **у-таа-з!** „იჯექ!“... (უარყოფითი ბრძანებითის შესახებ იხ. ქვემოთ).

ბრძანებით კილოსთან სემანტიკურად ძალზე ახლოს დგანან **კონიუნქტივის** ანუ ე. წ. დაშვებითი კილოს ფორმები, რომლებიც განარჩევენ ორსავე რიცხვსა და სამსავე პირს. ამ კილოს აწარმოებს სუფიქსები **-ааит** (დინამიკურ ზმნებში) და **-з-ааит** (სტატიკურ ზმნებში). **а** ხმოვნით დასრულებულ ფუძეებში **-ааит** სუფიქსის დართვისას მოსალოდნელი სამი **а** ხმოვნიდან ერთ-ერთი იკარგვის: ***д-ца-ааит** → **д-цааит** „დაე წავიდეს“, ***д-аа-и-га-ааит** → **дааигааит** „დაე მოიყვანოს“... ასევე ორი **а** ხმოვანი რჩება მოსალოდნელი ოთხი **а** ხმოვნიდან ისეთ ფუძეებში, რომლებიც ორი **а** ხმოვნით ბოლოვდება. მაგალითად: **иеиликааит** „დაე მან ის გაიგოს“ მოსალოდნელი ***иеиликаа-ааит** ფორმისა. ამგვარი რამ არ არის მოსალოდნელი და არც ხდება სტატიკურ ზმნებში **-зааит** სუფიქსის დართვისას: **дгыла-зааит** „დაე იდგეს“, **ибаа-зааит** „დაე დალბეს“...

პირობითი კილო. პირობითი კილოს საწარმოებლად გამოიყენება ზმნის ფუძეზე დართული **-р, -за-р, -з-т-гыы** სუფიქსები, რომელთაგან **-р** სუფიქსი არ გამოიყენება სტატიკურ ზმნებში, ხოლო დინამიკური ზმნის პირობითი კილოს **-за-р** სუფიქსით წარმოებისას საყრდენად გამოიყენება სხვადასხვა ნაკვეთის მზა ფორმები. მაგალითად: **д-ца-р** „თუ წავა“, **сы-ка-за-р** „თუ ვარ“, **д-аа-и-уа-за-р** „თუ მოვა“, **ды-ка-зтгыы** „თუ არის კიდევაც“...

მიზან-პირობითი კილო. მიზან-პირობითი კილოს საწარმოებლად გამოიყენება პირობითი კილოს **-p** სუფიქსიანი ფორმა, რომელსაც დამატებით დაერთვის გარდაქცევითობის **-ц**, **-тә** ან **-ны** სუფიქსები. ამ დროს ხშირად პირობითი კილოს **-p** სუფიქსი სრულხმოვნიანი, უფრო ძველი **-pa** ვარიანტის სახით არის ხოლმე წარმოდგენილი. მაგალითად: **сааи-раны** „რათა მოვიდე“, **икаспа-рц||икаспа-ртә||икаспа-раны** „რათა გავაკეთო“... ამავ კილოს საწარმოებლად გამოიყენება აგრეთვე **-pa** სუფიქსიანი ფორმაზე დართული **азы** „თვის“ თანდებული: **дызга-разы** „რათა წავიყვანო, მის წასაყვანად“...

კავშირებითი კილო. კავშირებით კილოს ორი ფორმა აქვს. კავშირებითი I იყენებს **-pa** სუფიქსიანი პირველი მყოფადის ფორმას, რომელსაც ეკვეცება სუფიქსისეული **a** ხმოვანი და დაერთვის **-н** სუფიქსი (ფინიტურ წარმოებაში) ანდა **-з** სუფიქსი (ინფინიტურ წარმოებაში): **сца-рын** „წავიდოდი“, **санца-рыз** „როცა წავიდოდი“, **икаспа-рын** „გავაკეთებდი“, **икаспа-рыз** „რასაც გავაკეთებდი“... კავშირებითი II ეყვარება **-ша** სუფიქსიანი მეორე მყოფადს და დაირთავს იმავე **-н** სუფიქსს (ფინიტურ წარმოებაში) ანდა **-з** სუფიქსს (ინფინიტურ წარმოებაში): **сца-шан** „წავიდოდი“, **санца-шаз** „როცა წავიდოდი“, **икаспа-шан** „გავაკეთებდი“, **икаспа-шаз** „რასაც გავაკეთებდი“...

ნატვრითი კილო. ამ კილოს ფორმათა საწარმოებლად გამოიყენება ზმნის სხვადასხვა ნაკვთის ფუძეზე დართული **-нда||-ндаз** სუფიქსი. ეს **-нда**, როგორც ვარაუდობენ, ქართული **ნეტა** ნაწილაკი უნდა იყოს, **-з** კი ნამყო დროის ინფინიტური სუფიქსია: **сыжа-нда(з)** „ნეტავი ვიყო, მამყოფა“, **сцо-нда(з)** „ნეტავი წავიდოდე, წავსულიყავი“, **икаспа-нда(з)** „ნეტავი გამეკეთებინა“ და ა. შ.

მოჩვენებითობის კილო. ეს კილო იწარმოება სხვადასხვა ნაკვთის ფუძეზე **-шаа** ნაწილაკის დართვით: **изно-шаа** „თითქოს ვხედავ“, **дцаз-шаа** „თითქოს წავიდა“, **сыжоу-шаа** „თითქოს ვარ“...

13. კითხვითი ფორმები. ქართულისაგან განსხვავებით აფხაზურისათვის დამახასიათებელია კითხვითი ფორმების მორფოლოგიურად გამონატული, საგანგებო აფიქსების გამოყენებით წარმოება. აფხაზურს

შედარებით იშვიათად ახასიათებს ქართულისებური ინტონაციური შეკითხვა: *уара икауцит?* „შენ გააკეთე?“ ამგვარი ფორმები ძირითადად გამოიყენება ჩაკითხვისას. ასევე ჩაკითხვის ან ალტერნაციული კითხვის დროს იხმარება აგრეთვე ზმნის ინფინიტურ ფუძეზე დართული *-у* სუფიქსი: *дцо-у-дымцо-у?* „წავიდა, თუ არ წასულა?“ ჩაკითხვის დროსვე გამოიყენება აგრეთვე კითხვითი ნაწილაკი **ба**: *дцит ба?* „წავიდაო?“ „მაშ წავიდა?“

კითხვითობის საგანგებო აფიქსები გამოიყენება ყველა ნაკვთის ფორმაში და განარჩევს ადამიანისა და არაგონიერთა კლასებს.

ადამიანის კლასის კითხვითი ფორმები იწარმოება **дарбан?** „ვინ? რომელი?“ სიტყვისაგან მომდინარე **-да** სუფიქსის დართვით ნაკვთის ინფინიტურ ფორმაზე: *ицо дарбан?* „ვინც მიღის, ვინ არის?“ → *ицо-да?* „ვინ მიღის?“ ამ გზით არის მიღებული კითხვითი ფორმები: *иыка-да?* „ვინ არის?“ *иказца-да?* „ვინ გააკეთა?“ *дызба-да?* „ვინ დაინახა?“...

არაგონიერთა კლასის კითხვითი ფორმები იწარმოება ნებისმიერი ნაკვთის ინფინიტურ ფორმაზე კითხვითი **-и, -зеи, -зи** სუფიქსების დართვით: *иуге-и?* „რა წაიღე?“ *иуго-зеи?* „რა მივაქვს?“ *иуго-зи?* „რა წაიღე?“

-да სუფიქსიანი კითხვითი ფორმებით ძირითადად ირკვევა სუბიექტის ვინაობა, ხოლო **-и, -зеи, -зи** სუფიქსიანი ფორმებით — ობიექტთა ვინაობა (რაობა). ზმნით გამოხატული მოქმედების ან მდგომარეობის რაობა ირკვევა **-ма** სუფიქსიანი კითხვითი ფორმებით, რომლებიც აუცილებლად ითხოვენ პირდაპირ პასუხს: *дцо-ма?* „მიღის?“ *дыкоу-ма?* „არის?“ *икаипца-ма?* „გაკეთა?“...

აფხაზურისათვის სპეციფიკურია აგრეთვე საგარემოებო ელემენტებით ნაწარმოები კითხვითი ფორმები, რომლებშიც დროის **ан-**, ადგილის **ахь-** და ვითარების **ш-** საგარემოებო პრეფიქსებს ერთვის კითხვითი **ба** ელემენტი, რის შედეგადაც ვიღებთ **анба-** „როდის?“ ***ахьба-** → **ахьџа-**|| → **аба-** „სად?“ და ***шба-** → **шџа-** „როგორ?“ კითხვით პრეფიქსებს, რომლებიც დაერთვის ნაკვთთა ინფინიტურ ფუძეებს. მაგალითად: *д-анба-цо?* „როდის მიღის?“ *д-аба-цо?* „სად მიღის?“ *ды-шџа-*

ცი? „როგორ მიდის?“ ზოგ შემთხვევაში ზმნამ შეიძლება ერთდროულად დაირთოს როგორც კითხვითი პრეფიქსები, ისე კითხვითი სუფიქსებიც: **д-анба-це-и?** „როდის წავიდა?“... მიზეზის აღმნიშვნელი **3-** პრეფიქსიანი კითხვითი ფორმები ჩვეულებრივ **-ი, -3ენი, -3ი** კითხვითობის სუფიქსებს დაირთავენ: **უ-3-це-ი?** „რისთვის, რატომ წახვედი?“...

14. ზმნის უარყოფითი ფორმები. განსხვავებით ქართული ენისაგან, რომელიც უარყოფას ცალკე სიტყვებად წარმოდგენილი უარყოფითი ნაწილაკებით გამოხატავს, აფხაზურში უარყოფა ზმნის ფორმაში ჩართული საგანგებო უარყოფითი აფიქს-ნაწილაკით გადმოიცემა. უარყოფითი ფორმები ეწარმოება ზმნას მასდარის, მიმღეობისა და აბსოლუტივის ჩათვლით, ზმნისართთა დიდ ნაწილსა და ზოგიერთ სახელს (უარყოფის გამოხატველი ზმნისართები და სახელები ჩვეულებრივ ნა-ზმნარია). ყველა ამ შემთხვევაში უარყოფას გადმოსცემს **მ** აფიქს-ნაწილაკი, რომელიც ხან პრეფიქსია, ხან კი — სუფიქსი. **მ** ელემენტის ადგილმდებარეობა დამოკიდებულია ზმნის სტატიკურობა-დინამიკურობაზე, ფინიტურობა-ინფინიტურობაზე, დროსა და ნაკვთის ფორმაზე, ზმნის ფუძის აგებულებაზე.

სტატიკურ ზმნებში უარყოფის **მ** ნაწილაკი მუდამ ძირის შემდეგ დგას ყველა ნაკვთსა და სიტყვათწარმოებით კატეგორიაში. ასევე ზმნის ძირის შემდეგ იჭერს იგი ადგილს დინამიკურ ზმნათა ფინიტური წარმოების აწმყოს, მყოფადი I-ის, მყოფადი II-ისა და ნამყო უსრულის ფორმებში:

სტატიკ. ფინიტ.	დინამიკ. ფინიტ.
აწმყო: сы-ка-м „არა ვარ“	с-цо-м ← с-ца-уа-м „არ მივდივარ“
ბ. უსრ.: сы-ка-мы-3-т	с-цо-мы-3-т ← с-ца-уа-мы-3-т „არ მივდიოდი“
მყოფ. I: _____	с-ца-ры-м „არ წავალ“
მყოფ. II: _____	с-ца-ша-м „არ წავალ“

უარყოფის **მ** ნაწილაკი მუდამ პრეფიქსია და ჩვეულებრივ ზმნის ძირის წინ დგას დინამიკურ ზმნათა ფინიტური წარმოების ნამყო განუსაზღვრელის, აორისტის (ნამყო სრულის), ნამყო უკვეობითის, ნამყო წინარე წარსულის ფორმებსა და იმავე დინამიკურ ზმნათა ყველა ნაკვთის ინფინიტურ ფორმებში:

დინამიკ. ზმნის ფინიტ. წარმოება

ნამყო განუს.: **სЫ-მ-ца-з-т** „არ წავედი და...“

აორისტი: **სЫ-м-це-ит** „არ წავედი“

ნამყო უკვ.: **сЫ-м-ца-ц-т** „არ წავსულვარ“

ნამყო წინ. წარს.: **сЫ-м-ца-цы-з-т** „არ ვიყავი წასული“

დინამიკ. ზმნის ინფინიტ. წარმოება

აწმყო: **с-ахьЫ-м-цо** ← **с-ахьЫ-м-ца-уа** „სადაც არ მივდივარ“

მყოფ. I: **с-ахьЫ-м-ца-ра** „სადაც არ წავალ“

მყოფ. II: **с-ахьЫ-м-ца-ша** „სადაც არ წავალ“

ბ. უსრ.: **с-ахьЫ-м-цо-з** ← **с-ахьЫ-м-ца-уа-з** „სადაც არ მივდივარ“

ბ. განუს.: **с-ахьЫ-м-ца-з** „სადაც არ წავედი და...“

აორისტი: **с-ахьЫ-м-ца** „სადაც არ წავედი“

ბ. უკვ.: **с-ахьЫ-м-ца-ц** „სადაც არ წავსულვარ“

ბ. წინ. წარს.: **с-ахьЫ-м-ца-цы-з** „სადაც არ წავსულიყავი“

უარყოფის **მ** ასევე პრეფიქსია დინამიკურ ზმნათა შესაბამის უარყოფით-კითხვით ფორმებში, თხრობითის გარდა ყველა კილოსა და სიტყვათწარმოებით კატეგორიაში.

თავისებურია უარყოფითი ბრძანებითის წარმოება, რომელშიც დინამიკური ზმნის ძირის წინ დგას უარყოფის **მ**- პრეფიქსი, ხოლო ზმნის ძირის შემდეგ დგას **-н** სუფიქსი, რომელიც უარყოფის იმავე **მ** ნაწილაკისაგან არის მიღებული: **иу-м-га-м!** → **иу-м-га-н!** „არ წაილო!“ **у-м-ца-м** → **у-м-ца-н!** „არ წახვიდე!“ გარდამავალ ზმნათა უარყოფით ბრძანებით ფორმებში, განსხვავებით დადებითი ბრძანებითისაგან, ყველა კლასოვან-პიროვანი აფიქსი უკლებლივ არის წარმოდგენილი.

15. ზმნის სიტყვათწარმოებითი კატეგორიები. აფხაზურ ზმნას მოეპოვება კაუზატივის, ქცევის, პოტენციალისის (შესაძლებლობის), უნებურობის, საურთიერთო, ინსტრუმენტალისის, განმეორებადობის, განგრძობითობის (ხოლმეობითის), ინტენსივობის კატეგორიები. ზოგ ამ სიტყვათწარმოებით კატეგორიაში ხდება პირისა და კლასის ნიშანთა რაოდენობის ცვლა (კლება ან მატება), ზოგჯერ იცვლება თვით ზმნის სტატუსიც: გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება, ან გარდამავალი ზმნა გარდაუვალ ზმნად იქცევა და ა. შ.

კაუზატივის კატეგორია. კაუზატივის კატეგორია აღნიშნავს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება იძულებით, ვისიმე ან რისამე ჩარევით ხდება. ამ კატეგორიის მაწარმოებელია **-p** პრეფიქსი, რომელიც ჩვეულებრივ ზმნის ძირის წინ დგას: **иусы-p-ноит** „მე შენ (მამაკ.) რაღაცას გიჩვენებ“, **дсы-p-тәит** „მე ის (აღამ.) დავსვი“... კაუზატივის კატეგორია არ ეწარმოება სტატიკურ ზმნებს, ხოლო დინამიკური ზმნები ამ კატეგორიაში მუდამ გარდამავალნი არიან: გარდაუვალ ზმნას კაუზატივის კატეგორიაში ემატება ერთი პირი და გარდამავალი ხდება. მაგალითად: გარდაუვ. **д-гылоит** „იგი (აღამ.) დგება“ — გარდამ. კაუზატ. **д-сы-p-гылоит** „მე მას (აღამ.) ვაყენებ“... უარყოფის პრეფიქსული წარმოებისას კაუზატივის პრეფიქსი **p-** იჭერს ადგილს უარყოფის პრეფიქსსა და ზმნის ძირს შორის: **д-с-у-мы-p-на-н!** „შენ (მამაკ.) იგი (აღამ.) არ დამანახო!“... მრავლობითი რიცხვის მესამე პირის **p-** ნიშანი კაუზატივის **p-** პრეფიქსის მეზობლად აღმოჩენისას იძლევა **д-** ვარიანტს: ***и-ры-p-жәит** → **и-ды-p-жәит** „მათ მას (მამაკ.) რაღაც დააღვეინეს“, ***и-p-ры-p-ноит** → **и-д-ды-p-ноит** „ისინი მათ რაღაცას აჩვენებენ“... ზოგ რთულფუძიან ზმნაში კაუზატივის **p-** პრეფიქსი ძირისწინა პოზიციიდან გადაინაცვლებს მთელი ფუძის წინ სუბიექტის ნიშანთან ერთად. მაგალითად: **и-ка-с-поит** „მე რაღაცას ვაკეთებ“, მაგრამ **и-л-сы-p-ка-поит** „მე მას (ქ.) რაღაცას ვაკეთებინებ“...

ქცევა. ქცევის კატეგორიას აფხაზურში ორი სახეობა აქვს — სასუბიექტო და საობიექტო: ა) **სასუბიექტო** ქცევის წარმოებისას ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილის აღმნიშვნელ ძირს, რომელიც ჩაერთვის

ზმნის ფუძეში, ერთვის გაორმაგებული ირიბი ობიექტის კუთვნილებისა და სუბიექტის ნიშნები. სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელ ძირთაგან ყველაზე ხშირად გამოიყენება **ха** „თავი“, **шья** „ფეხი“, **мпыл** ← **мкэы** „ხელი“, **ва** „გვერდი“, **дыпра** „ილია“ და სხვანი. მაგალითად: **и-с-шья-с-поит** „ფეხთ ვიცვამ“ (ზედმიწ.: „მე ჩემს ფეხს რალაცას ვაცვამ“), **и-с-дыпра-с-кит** „რალაც ილიაში ამოვიდე“ (ზედმიწ.: „რალაც ჩემს ილიას დავაქვინე“), **и-с-ха-с-цеит** „რალაც თავზე დავიხურე“ და ა. შ. უკუქცევითი მოქმედების გადმოსაცემად გამოიყენება ელემენტი **еы** „თავი, საკუთარი თავი“ (მღრ. რუს. **себя, -ся**), რომელსაც მიერთვის ზუსტად იგივე ნიშნები ირიბი ობიექტისა, რაც სუბიექტის ნიშნად არის წარმოდგენილი ზმნაში. მაგალითად: **с-еы-с-цəахит** „დავიმალე, თავი დავიმალე“, **л-еы-л-шьит** „მან (ქ.) თავი მოიკლა“... ბ) **საობიექტო** ქცევა მაშინ გვაქვს, როცა ზემოთ დასახელებულ სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელ ძირებთან ირიბი ობიექტის აღსანიშნავად გამოიყენებული კლასოვან-პიროვანი პრეფიქსები არ ემთხვევა სუბიექტის ნიშნებს. მაგალითად: **и-л-шья-с-поит** „მე მას (ქ.) ფეხთ ვაცმევ რალაცას“... საობიექტო ქცევა თავის მხრივ ორ ძირითად ქვესახეობას აერთიანებს: თუ მოქმედება ირიბი ობიექტის სასარგებლოდ ხდება, ზმნას დაერთვის **з-** „თვის“ პრეფიქსი, ხოლო თუ მოქმედება ირიბი ობიექტისაგან გამომდინარეობს, ან მისთვის „საზიანოდ“ ხდება, მაშინ ზმნას დაერთვის **цə-** პრეფიქსი. მაგალითად: **и-л-з-у-гоит** „შენ (მამაკ.) მისთვის (ქ.) რალაც მივაქვს“ — **и-л-цə-у-гоит** „შენ (მამაკ.) მისგან (ქ.) რალაც მივაქვს; შენ მას რალაცას ართმევ“, **и-л-зы-ка-с-поит** „მე მისთვის (ქ.) რალაცას ვაკეთებ“ — **и-л-цəы-ка-с-поит** „მე მისი (ქ.) ნების გარეშე ვაკეთებ რალაცას“...

ისევე როგორც კაუზატივის კატეგორიაში, საობიექტო ქცევის წარმოებისასაც ხდება პირთა რაოდენობის მატება. ქცევის ორივე — სასუბიექტო და საობიექტო სახეობათა წარმოება აღწერილია შეიძლება კუთვნილების პრეფიქსებით გაფორმებული **а-зы** „თვის“ თანდებულის გამოყენებით: **сара с-зы** **იკასцеит** „ჩემთვის გავაკეთე, გავიკეთე“ (სასუბიექტო ქცევა), **уара у-зы** **იკასцеит** „შენთვის გავაკეთე, გავიკეთე“ (საობიექტო ქცევა).

პოტენციალისის (შესაძლებლობის) კატეგორია. ეს კატეგორია გამოხატავს მოქმედების შესაძლებლობა-შეუძლებლობას. მისი მაწარმოებელია 3- პრეფიქსი, რომელიც უფრო ხშირად ზმნის უარყოფით ფორმებში დასტურდება და ასრულებს ქართული ენის „ვერ“ ნაწილაკის ფუნქციას. პოტენციალისის კატეგორიაში ზმნა მუდამ გარდაუვალია, ხოლო პირისა და კლასის პრეფიქსები შებრუნებული წყობით (ინვერსიულად) არის განლაგებული. შდრ. **и-у-с-ҭОИТ** „მე შენ (მამაკ.) რაღაცას გაძღევ“, მაგრამ **и-с-ы-з-у-ҭОМ** „მე შენ (მამაკ.) რაღაცას ვერ გაძღევ, ვერ მოგცემ“. ამ უკანასკნელ ფორმაში რეალური სუბიექტი (ნიშანი **с-**) ირიბ ობიექტად იქცა, ხოლო რეალური ირიბი ობიექტი (ნიშანი **у-**) — გრამატიკულ სუბიექტად.

უნებურობის კატეგორია. უნებურობა არ იწარმოება ყველა ზმნისაგან. ზმნები ამ კატეგორიაშიც მუდამ გარდაუვალია და კლასიკან-პიროვანი პრეფიქსებიც ინვერსიულად არის განლაგებული. უნებურობის მაწარმოებელია **амха-** პრეფიქსი. შდრ., მაგალითად: **и-с-ҭЕИТ** „მე რაღაც შევჭამე“, მაგრამ **и-с-амха-ҭЕИТ** „მე რაღაც შემომეჭამა“, **и-с-ҭაЕИТ** „ვთქვი რაღაც“, მაგრამ **и-с-амха-ҭაЕИТ** „მე რაღაც უნებურად ვთქვი, წამომცდა“...

საურთიერთო კატეგორია. ეს კატეგორია აფხაზური ენისათვის ძალზე სპეციფიკური კატეგორიაა. იგი ქმნის სამ ქვესახეობას: ზოგადად საურთიერთოს, საურთიერთო-სათანაოსა და საურთიერთო-საორმხრივოს. ა) **ზოგადად საურთიერთო** ქვესახეობა იწარმოება **ан-** → **ен-** პრეფიქსით. ამ დროს ზმნის სუბიექტური პირი ერწყმის ობიექტურს, ხდება პირთა გაერთიანება და ორივე პირი წარმოდგენილია მრავლობითი რიცხვის პირის საერთო ნიშნით. შდრ. მაგალითად, **с-л-а-цаажәоИТ** „მე მას (ქ.) ველაპარაკები“, მაგრამ **х-ан-цаажәоИТ** „ჩვენ ერთმანეთს ველაპარაკებით“, **д-с-ы-қәшәеИТ** „იგი (აღამ.) მე შემხვდა“, მაგრამ **х-ан-қәшәеИТ** „ჩვენ ერთმანეთს შევხვდით“... ბ) **საურთიერთო-სათანაო** სახეობას აწარმოებს რთული **ан-ц** → **ен-ц-** პრეფიქსი. შდრ. მაგალითად, **с-цоИТ** „მივდივარ“, მაგრამ **х-ан-ц-цоИТ** „ჩვენ ერთად მივდივართ, ერთმანეთს ვახლავართ“, **и-с-ҭОИТ** „მე რაღაცას ვჭამ“, მაგრამ

ი-**ეიц**-აჟ-**ჟი**იტ „ერთად ვჭამთ რაღაცას“... პრეფიქსი **ი-** დამოუკიდებლადაც, ძირის მსგავსად იხმარება და თანხლებას გამოხატავს: **ს-ლყ-ი-უი** „მე მას (ქ.) ვაზღვარ“, **ს-ი-ი-ი-ი**იტ „მე მასთან (მამაკ.) ერთად მივდივარ, მივყვები“... გ) საურთიერთო კატეგორიის **საურთიერთო-საორმხრივო** სახეობის მაწარმოებელია რთული **აი-ბა** → **ეი-ბა** პრეფიქსი. შდრ., მაგალითად, **დყ-ლ-ბი**იტ „იგი (ქ.) მას (ად.) ხედავს“, მაგრამ **ი-ეიბა-ბი**იტ „ისინი ერთმანეთს ხედავენ“, **დყ-ზ-დყრუ**ეიტ „მე მას (ადამ.) ვიცი“, მაგრამ **ჟ-აიბა-დყრუ**ეიტ „ჩვენ ერთმანეთს ვიცი“... საურთიერთო კატეგორიის სამსავე სახეობაში პირთა რაოდენობის კლების გამო ორპირიანი გარდამავალი ზმნა ერთპირიან გარდაუვალ ზმნად გადაიქცევა.

ინსტრუმენტალისი. ინსტრუმენტალისს აფხაზურში **ლა** ელემენტი გამოხატავს, რომელიც ფუნქციით უდრის ქართული ენის მოქმედებითი ბრუნვის **-ით** ნიშანს, თუმცა ერთნაირად გამოიყენება ზმნებშიცა და სახელებშიც. მაგალითად: **ყყ-ლა** დეიტ „იგი (ადამ.) ცხენით წავიდა“, მაგრამ **აყყ დ-ა-ლა-დე**იტ „იგი (ადამ.) ცხენით წავიდა“...

განმეორებადობა. განმეორებადობას აფხაზურ ზმნაში **აიჟა-** → **ეიჟა-** პრეფიქსული ნაწილაკი („ისევ, ხელახლა“), ან კვლავობის გამომხატველი **-ხ** სუფიქსი აღნიშნავს. მაგალითად: **დ-ეიჟა-დე**იტ „ისევ, ხელახლა წავიდა“, **დ-ჟა-ხ-ი**ტ „კვლავ წავიდა“...

განგრძობითობის (ხოლმეობითობის) მაწარმოებელია **-ლა** სუფიქსი, რომელიც ჩვეულებრივ უშუალოდ ზმნის ძირის შემდეგ დგას ხოლმე. მაგალითად: **დ-აა-ი-ლო-ი**ტ ← ***დ-აა-ი-ლა-ყა-ი**ტ „მოდის ხოლმე“, **დყ-ზ-ბა-ლო-ი**ტ ← ***დყ-ზ-ბა-ლა-ყა-ი**ტ „მას (ადამ.) ვხედავ ხოლმე“...

ინტენსივობის გამოსახატავად გამოიყენება **-ჟა** და **-ჟაა** სუფიქსები, რომლებიც ჩვეულებრივ უშუალოდ ზმნის ძირის შემდეგ დგანან და ყველაზე ხშირად ზმნის უარყოფით ფორმებში იხმარება. მაგალითად: ***ს-ნეი-ჟა-ყა-მ** → **ს-ნეი-ჟო-მ** „სრულებით, სულაც არ მივალ“, **ი-დუ-ჟაა-მ** „იგი (არაგონ.) დიდი სულაც არ არის“...

16. ზმნურ ფუძეთა აგებულება. აფხაზური ზმნის ფუძე შეიძლება იყოს მარტივი ან რთული აგებულებისა. მარტივი აგებულების

ფუძე ხშირად ემთხვევა ზმნის ძირს. ზმნის ფუძე ყველაზე სრული სახით მასდარის ფორმაშია წარმოდგენილი. ზმნის ფუძის დასადგენად საკმარისია მასდარს ჩამოვაცილოთ ზოგადობის **ა-** პრეფიქსი და მასდარის მაწარმოებელი **-რა** სუფიქსი, რაც დარჩება, ფუძეა. აფხაზური ზმნის ძირი შეიძლება იყოს: ცალთანზმონიანი (**ა-к-ра** „ჭერა“, **ა-с-ра** „ცემა“, **ა-шь-ра** „კვლა“...), ერთმარცვლიანი (**ა-га-ра** „წაღება, წაყვანა“, **ა-фа-ра** „ჭამა“, **ა-зах-ра** „კერვა“...), გავრცელებული ანუ რედუბლიცირებული (**ა-ჯჳჳა-ра** „რეცხვა“, **ა-шш-ра** „ღობვა; წვნა“, **ა-чча-ра** „სიცილი“, **ა-қыцьқыць-ра** „ცახცახი, კანკალი“...).

ფუძე შეიძლება გართულდეს სხვადასხვაგვარი ზმნისწინით. საკუთრივ **მიმართულების** აღსანიშნავად აფხაზურში ძირითადად ოთხი ზმნისწინი გამოიყენება: **აა-** აღნიშნავს მიმართულებას აქეთ, მოლაპარაკისაკენ, **ნა-** აღნიშნავს მიმართულებას იქით, მოლაპარაკისაგან, **და-** აღნიშნავს მიმართულებას ქვემოდან ზემოთ, ხოლო **ლა-** აღნიშნავს მიმართულებას ზემოდან ქვემოთ. მაგალითად: უზმნისწინო ფორმა **ды-з-гоит** „მე იგი (აღამ.) მიმყავს“ არ განარჩევს მიმართულებას, მაგრამ შდრ. ზმნისწინიანი ფორმები — **д-аа-з-гоит** „მომყავს აქეთკენ“, **д-на-з-гоит** „მომყავს იქითკენ“, **д-да-з-гоит** „ამყავს მაღლა“, **д-ла-з-гоит** „ჩამომყავს დაბლა“.

გარდა საკუთრივ მიმართულების აღმნიშვნელი ზემოთ დასახელებული ზმნისწინებისა, აფხაზური ზმნა დაირთავს აგრეთვე სხვადასხვა სახელის ფუძისაგან მომდინარე ზმნისწინებს ანუ ე. წ. **ფუძე-წინდებულებს**, რომლებიც ლოკალურ მნიშვნელობას სძენენ ზმნას. ზოგჯერ ამგვარი ფუძე-წინდებულები დამოუკიდებელ სტატიკურ ზმნებადაც გვევლინებიან. მაგალითად: **а-оны** „სახლი“ სიტყვის ფუძეა გამოყენებული სტატიკურ ზმნაში **ды-оно-уп** „იგი (აღამ.) სახლშია, შინ არის“, **а-ца** „ფსკერი, ძირი“ სიტყვის ფუძეა გამოყენებული სტატიკურ ზმნაში **д-а-цо-уп** (აიდара **да-цо-уп** „მას (აღამ.) ტვირთი ჰკიდია, ტვირთის ქვეშ არის“), თავის აღმნიშვნელი **ха** ფუძეა სტატიკურ ზმნაში **и-хо-уп** (ахылъа **и-хо-уп** „მას (მამაკ.) ქული ახურავს, ქული თავზე აქვს“) და ა. შ.

აფხაზურში არის ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელთაც დამოუკიდებ-

ლი ძირი ან ფუძე სრულებით არა აქვთ. ამ ტიპის ზმნები მიღებულია ლოკალური შინაარსის მქონე ფუძე-წინდებულებზე **ლა, ქ, ქა, ხ** ძირ-სუფიქსთა დართვით. დასახელებულ ძირ-სუფიქსთაგან **ლა** და **ქ** სვლის, მოძრაობის შინაარსს ითავსებენ და გვხვდებიან გარდაუვალ ზმნებში, ხოლო **ქა** და **ხ** კეთების, ქმნის სემანტიკას ითავსებენ და აწარმოებენ გარდამავალ ზმნებს. ფუძე-წინდებულებისა და ძირ-სუფიქსთა ერთად გამოყენების დროს ისინი ხან **ა** ხმოვნით გამოიყენებიან, ხან კი — უამისოდ, რაც გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება: **ა** ხმოვნიანი ფუძე-წინდებულები და იმავე ხმოვნიანი **ლა** და **ქა** ძირ-სუფიქსები იქითა მიმართულებას გამოხატავენ, ხოლო **ყ** ხმოვნიანი ფუძე-წინდებულები და უხმოვნო **ქ** და **ხ** ძირ-სუფიქსები აღნიშნავენ აქეთა მიმართულებას. შდრ., მაგალითად, **ქა** და **ყყ** ძირ-წინდებულთა კომბინაციები **ა** და **ყ** ხმოვნიან ძირ-სუფიქსებთან:

გარდაუვ. $\left\{ \begin{array}{l} \text{ა-ქა-ლა-რა „რამეში შესვლა“} \text{ — } * \text{ც-ქა-ლა-იტ} \rightarrow \text{ც-ქა-ლე-იტ} \\ \text{„შიგ შევედი“} \\ \text{ა-ყყ-ქ-რა „რამიდან გამოსვლა“} \text{ — } \text{ც-ყყ-ქ-იტ} \text{ „რალაციდან} \\ \text{გამოვედი“} \end{array} \right.$

გარდამ. $\left\{ \begin{array}{l} \text{ა-ქა-ქა-რა „რამეში ჩადება“} \text{ — } * \text{ი-ქა-ც-ქა-იტ} \rightarrow \text{ი-ქა-ც-ყე-იტ} \\ \text{„რალაცაში ჩავდე“} \\ \text{ა-ყყ-ხ-რა „რამიდან ამოღება“} \text{ — } \text{ი-ყყ-ც-ხ-იტ} \text{ „რალაციდან} \\ \text{ამოვიღე“} \end{array} \right.$

ზმნის ფუძე შეიძლება გართულდეს ძირის წინ ლოკალური შინაარსის მქონე ფუძე-წინდებულთა და ძირის შემდეგ მიმართულების აღმნიშვნელი **-აა** (აქეთა მიმართულება) ან **-ლა** (იქითა მიმართულება) ელემენტთა ერთდროული დართვით. მაგალითად, მარტივი აგებულების **ა-ყყ-რა** „ფრენა“ ზმნა მიმართულებას არ გამოხატავს, მაგრამ **ა-ყყ-ყყ-აა-რა** „ფორმაში აღინიშნება ქართული **ამო-** ზმნისწინის სემანტიკა („ამოფრენა“), ასევე **ა-ჯახ-რა** „კერვა“ ზმნაში მიმართულება არ აღინიშნება, მაგრამ **აი-დ-ჯახყ-ლა-რა** ფორმა გამოხატავს რალაციების ერთმანეთზე მიკერებას და ა. შ.

17. აბსოლუტივი. აბსოლუტივი ქართულ ენას არ მოეპოვება, ხოლო აფხაზურში იგი გადმოსცემს იმ დამატებით მოქმედებას ან მდგომარეობას, რაც წინ უსწრებს ან აზუსტებს წინადადების შემასმენლით (ე. ი. ძირითადი ზმნით) გამოხატულ მოქმედებას თუ მდგომარეობას. ამ თვალსაზრისით აფხაზური ენის აბსოლუტივი ზმნის ინფინიტური ფორმაა, ემთხვევა რუსული ენის „დეპრიჩასტიე“-ს ფორმას და იწარმოება როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ზმნისაგან. აბსოლუტივის ფუნქციით შედარებით იშვიათად დასტურდება ზმნის დროკილოთა სუფიქსების გარეშე წარმოდგენილი ფუძეები. მაგალითად: **a-მა-заа-ра** „ქონა, ყოლა“ ზმნისაგან არის ნაწარმოები აბსოლუტივი **сы-ма** „მყავდა რა, მქონდა რა“ წინადადებაში — **сдызцаа сы-ма** სააიტ „მეგობრებთან ერთად მოვედი“ (შდრ. "я пришел **имев, имея, взяв с собой своих друзей**"). უფრო გავრცელებულია აწმყოს ინფინიტური **-ya** → **-o** დაბოლოებიანი, გარდაქცევითობის **-ны** სუფიქსიანი და მხოლოდ უარყოფითი ფორმის აბსოლუტივებისათვის დამახასიათებელი **-кәа** სუფიქსიანი ფორმები. მაგალითად: **д-гәырбьо** (← *д-гәырбьа-ya) დააიტ „იგი გახარებული მოვიდა“ (შდრ. რუსული "радуясь пришел"), **ауроккәа каца-ны** აхәмарра сцеит „გაკვეთილები მოვამზადე (გავაკეთე) და სათამაშოდ წავედი“ (შდრ. რუსული "я пошел играть сделал уроки"), **ацәа имфа-кәа** икаижьит „ვამლი შეუქმელად გადაადგო“ (შდრ. რუსული "он не съев выбросил яблоко") და ა. შ. გარდამავალი ზმნის ფუძისაგან ნაწარმოებ აბსოლუტივებში სუბიექტის პირი, კლასი და რიცხვი ჩვეულებრივ არ აღინიშნება.

18. მიმღეობა. მიმღეობის როლში აფხაზური ყველაზე ხშირად იყენებს სამიმართებო **и(ы)-** და **з-** პრეფიქსიან ზმნის ინფინიტურ ფორმებს (იხ. ზემოთ). გარდა ამისა, არის „გაუფორმებელი“, ზმნის წმინდა ფუძის სახით წარმოდგენილი მიმღეობებიც, რომელთა უდიდესი ნაწილი ამჟამად არსებით სახელებად არის გადაქცეული. ასეთებია: **a-лала** „ირაო საქონელი“ (შდრ. **a-ла-ла-ра** „რამეში შესვლა“), **a-м-дыр** „უვიცი“ (შდრ. **a-дыр-ра** „ცოდნა“), **a-тәак** „პასუხი“, **a-м-у-ча** „მუქთახორა“ (შდრ. **a-у-ра** „ქმნა“, **a-ча-ра** „ჭამა, პურობა“, რომელიც ამჟამად

აფხაზურში აღარ იხმარება ამ მნიშვნელობით, მაგრამ შემორჩენილია აბაზურში)... მრავალი მიმღეობა იწარმოება ზმნის ფუძეზე მოქმედი ბირის აღმნიშვნელი **-ды** ან სამოქმედო საგნის აღმნიშვნელი **-тә** სუფიქსთა დართვით. მაგალითად: **а-р-ца-ра** „სწავლება“ → **а-р-ца-ды** „მასწავლებელი“, **а-ца-ра** „სწავლა“ → **а-ца-ды** „მოსწავლე“, **аиба-шь-ра** „ბრძოლა“ → **аиба-шь-ды** „მეომარი“... **а-ка-ца-тәы** „გასაკეთებელი“ (შდრ. **а-ка-ца-ра** „კეთება“), **а-уц-у-тә** „სამუშაო“ (შდრ. **а-уц** „საქმე“, **а-у-ра** „ქმნა“)... არის აგრეთვე ამჟამად არაპროდუქტიული **-хьа, -ха, -х** სუფიქსებით ნაწარმოები მიმღეობები. მაგალითად: **а-ҧа-тә-хьа** „აღთქმა, პირობა“ (შდრ. **а-ҧы** „პირი“, **а-тә-ра** „მიცემა“), **а-х,әа-хьа** „ნათქვამი“ (შდრ. **а-х,әа-ра** „თქმა“), **аа-за-хьа** „ბუთხუზა ბავშვი“ (შდრ. **аа-за-ра** „აღზრდა“), **а-цы-нл-а-ха** „ნამწვი“ (შდრ. **а-ныл-ра** „წვა“), **а-ча-х** „კვებული, ნასუქი“ (შდრ. აბაზ. **а-ча-ра** „ბურობა, ჭამა“), **а-х-пәа-ха** „მონაჭერი“ (შდრ. **а-х-пәа-ра** „მოჭრა, წაკვეთა“), **а-нъпәа-ха** „ნაგლეჯი“ (შდრ. **а-нъ-пәа-ра** „მოწყვეტა, მოგლეჯა“), **а-лы-нъш-аа-х** „ამორჩეული; შერჩეული“ (შდრ. **а-л-нъш-аа-ра** „ამორჩევა“), **а-ка-шәа-ра-х** „მიგდებული ბავშვი“ (შდრ. **а-ка-шәа-ра** „გადაგდება“), **а-шәа-ра-х** „ნადირი“ (შდრ. **а-шәа-ра** „ნადირობა“)...

ზმნისართი

ზმნისართები აფხაზურში ძირითადად სამ უმთავრეს ჯგუფში ერთიანდებიან: 1. **ადგილის ზმნისართები**: **абра||** → **ара** „აქ“, **убра||** → **уа** „იქ“, **абна||** → **ана** „მანდ“ (რომლებიც კავშირშია ნაცვალსხაელებთან: **абри||** → **ари** „ეს“, **убри||** → **уи** „ის, იგი“, **абни||** → **ани** „ეგ“), **ааигәа** „ახლოს“, **аарцә** „გამოღმა“, **нырцә** „გაღმა“, **ааада** „მაღლა, ზემოთ“, **ааада** „დაბლა, ქვემოთ“... ზოგი ადგილის ზმნისართი იწარმოება არსებითი სახელის ფუძეზე **-н** სუფიქსის დართვით: **амдан** „გზად“, **акытан** „სოფლად“...; 2. **დროის ზმნისართები** სხვადასხვა გზით არის ნაწარმოები: **иахьа||** → **ехьа** „დღეს“, **иацы||** → **ецы** „გუშინ“, **уаха** „ამდამ“, **уацәы** „ხვალ“, **уацәашьтахь** „ზეგ“ (ზედმიწ.: „ხვალის შემდეგ“), **алшыкәсанык** „მთელ წელიწადს“, **есымша** „ყოველდღე“, **ускан**

„მაშინ“, знык „ერთხელ“, ашамтҭазы „განთიადისას“, пхыбжьон „შუალა-მისას“...; 3. **ვითარების ზმნისართები**: абас|| → ас „ასე, ამგვარად“, убас|| → ус „ისე“, абанс|| → анс „ეგრე“ (ეს ზმნისართები ადგილის რამდენიმე ზმნისართის მსგავსად კავშირშია ნაცვალსახელებთან: абри|| → ари „ეს“, убри|| → уи „ის, იგი“, абни|| → ани „ეგ“), иаалыркҭаны „მოულოდნელად, უცებ“, иаразнак „უცებ“, ирацҭаны „ბლომად“, хәычзак „მცირედ“, хымҭада „აუცილებლად“...

თანდებული

ავხაზურში თანდებულები შედარებით ცოტაა. მათგან აღსანიშნავია: **-ахь** „-კენ, -ში“ (ашкол ахь „სკოლისაკენ, სკოლაში“), **афы** „-ში“ (ақыҭа-ф „სოფელში“), **-ка** „-კენ; -ში“ (аоны-ка „სახლში, შინ, შინისაკენ“), **-нза** „-მდე“ (ақыҭа-нза „სოფლამდე“), **-кны||-кын** „-თან“ (сара с-кны „ჩემთან“), **-шка** „-კენ“ (аклуб ашка „კლუბისაკენ“), **-нтә** „-დან“ (Қарты-нтә „თბილისიდან“), **амцан** „ძირას“ (ацәацла амцан „ვამლის ხის ძირას, ქვეშ“), **-зы** „-თვის“ (апара-зы „სწავლისათვის“, сара с-зы „ჩემთვის“), **-ла** „-ით“ (шыапы-ла „ფეხით, ქვეითად“, ҕы-ла „ცხენით“) და სხვ. იმის გამო, რომ ლოკალური ურთიერთობები და მიმართულება უფრო ხშირად ზმნის ფორმაში ჩართული შესაბამისი ელემენტებით გამოიხატება, სახელებში თანდებულებიც იშვიათად იხმარება. არის შემთხვევები, როცა მიმართულება არც ზმნაშია საგანგებოდ აღნიშნული და არც სახელში, მაგრამ მამართულების სემანტიკა მაინც ივლენს. მაგალითად: сара уацәы Акаа сцоит „მე ხვალ სოხუმში მივდივარ“, сашәа Гагра дцеит „ჩემი ძმა გაგრაში წავიდა“...

კავშირი

ავხაზური ენა ღარიბია კავშირებით. ამ ენას თავისი სპეციფიკის გამო საერთოდ არა აქვს მაქვემდებარებელი კავშირები, რის გამოც ავხაზურს არ მოეპოვება რთული ქვეწყობილი წინადადება. გამოიყოფა კავშირთა სამი მთავარი ჯგუფი: 1. **მეერთბელი კავშირები**, რომლე-

ბიც უფრო ნაწილაკური ბუნებისაა და დამოუკიდებელ ერთეულებს არ წარმოადგენენ. მაგალითად: -**ი** სუფიქსი უდრის ქართულის „და“ კავშირს და დაერთვის წინადადებაში წარმოდგენილ ყველა საკავშირებელ სიტყვას: **სარე-ი, сандუ-и, Илико-и, Иларион-и** „მე, ბებიაჩემი, ილიკო და ილარიონი“. ამავე წესით გამოიყენება ქართული -**ც** ნაწილაკის ფარდი -**ГЫ** კავშირ-ნაწილაკი: **сар-ГЫ, уар-ГЫ, иар-ГЫ** „მეც, შენცა და ისიც“; 2. **მაცალკევებელი კავშირებია**: **ია** „ან“, **მა** „ან“: **ია сара, иа уара** „ან მე, ან შენ“, **ма ацә, ма аҭа** „ან ვაშლი, ან მსხალი“; 3. **მაპირისპირებელი კავშირებია**: **аха** „მაგრამ“, **амала** „ოღონდ“, **акәымзар||мамзар||макәымзар** „თორემ“.

ნაწილაკი

ათხაზურ ენას ნაწილაკებიც მცირე რაოდენობით მოეპოვება. **და-დასტურებითი** ნაწილაკებია: **аа, ааи, аиеи** „ჰო, დიახ, კი“; **უარყოფითი** ნაწილაკებია: **мап, мамоу** „არა, ვერა“; **დანანებას** გადმოსცემს დამოუკიდებლად ხმარებული ან ზმნის ფორმაში ჩართული **гәышыа** „საწყალი“ ნაწილაკი: **дыпҭс-гәышые-ит** „მოკვდა საწყალი“; **სხვათა სიტყვის** ნაწილაკია **а-хәа-ра** „თქმა“ ზმნის ძირისაგან მომდინარე **-хәа** სუფიქს-ნაწილაკი, რომელიც უდრის ქართული ენის **მეთქი, -თქო, -ო** ნაწილაკებს: **саргы сцоит-хәа, уасхәеит** „მეც წავალ მეთქი, გითხარი“, **саргы сцоит-хәа, сызиахә!** „გადაეცი (ჩემთვის უთხარი) მას, მეც წავალ-თქო!“ **саргы сцоит-хәа, сеихәеит** „მეც წავალო, მითხრა მან“.

შორისდებული

შორისდებულებია: გაოცების, მწუხარების გამომხატველი **унан** „ვაიმე, უიმე, უი“, **дида** „დელი!“ გამამხნევებელი **аҭаҭаит, амарҭәа**, გაოცების **ҭыым-ҭыым**, რისხვის გამომხატველი **уут, ааит**, სიწყნარისაკენ მომწოდებელი **сишь, ашьшьыхәа** „სუ, ჩუმად, წყნარად“, მიმართვისას სახმარი **о, уа, уаа** „ო, ჰო, ჰე“ და სხვანი.

თავი III. ლექსიკა

1. საკუთარი და ნასესხები ლექსიკა. აფხაზური ენა საკმაოდ მდიდარია ლექსიკით, რომელიც იყოფა საკუთარ და ნასესხებ სიტყვებად. საკუთრივ აფხაზური წარმოშობის სიტყვებით აისახება ადამიანის როგორც შინაგანი, ისე მის ირგვლივ მყოფი სამყარო, გადმოიცემა როგორც კერძო, კონკრეტული, ისე ზოგადი, განყენებული ცნებები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწორედ საკუთრივ აფხაზური წარმოშობის ლექსემები ქმნიან ძირითად ლექსიკურ ფონდს, რომელსაც განეკუთვნებიან: ნაცვალსახელები (сара „მე“, уара, бара „შენ“, иара, лара „ის, იგი“, хара „ჩვენ“, шаара „თქვენ“, дара „ისინი“, абри „ეს“, убри „ის...“), სხეულის ნაწილთა სახელები (ахы „თავი“, агәы „გული“, анапы „ხელი“, ашьапы „ფეხი“, ахәда „კისერი“, ажәда „მხარი“, ахәы „თმა...“), ღვიძლი ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები (ан „დედა“, аб „მამა“, аҭа „ძე, ვაჟიშვილი“, аҭхәа „ასული“, аиашьа „ძმა“, аиахәшьа „და“, анду „ბები“), абду „ბაბუა...“, რიცხვითი სახელები (акы, азәы „ერთი“, дба, дыҭьа „ორი“, хҭьа „სამი“, жәабна „ათი“, шәкы „ასი...“), ცხოველ-ფრინველთა სახელების დიდი ნაწილი (ацә „ხარი“, ажә „ძროხა“, аҭьма „თხა“, ахәа „ლორი“, ахәыс „ხბო“, аҭыс „ჩიტი“, арбаҭь „მამალი“, арҭына „დედალი“, абҭа „მგელი, ტურა“, ацгәы „კატა...“), ბუნების მოვლენათა სახელები (ақәа „წვიმა“, асы „თოვლი“, аҭаа „ყინყა“, амацәыс „ელვა...“), ლანდშაფტის აღმნიშვნელ სიტყვათა დიდი ნაწილი (აшьа „მთა“, арха „ველი“, амшын „ზღვა“, аҭьҭа „ხეობა“, азмах „ჭაობი“, ахра „კლდე“, аҭыша „უფესკრული...“), მცენარეთა სახელების ნაწილი (აҭәа „ვაშლი“, ахә „მსხალი“, ахәаса „ტყემალი“, амза „ფიჭვი“, аҭь „მუხა“, ахьа „წაბლი“, аҭәа „ცაცხვი“, адыкрын „ია...“), ზმნათა უმეტესი ნაწილი (абара „ხედვა, დანახვა“, ахәышра „ფიქრი“, аҭара „მიცემა“, акра „ჭერა“, асра „ცემა“, аччара „სიცილი...“) და ა. შ. ძირითადი ლექსიკური ფონდი აფხაზურს საზიარო აქვს აბაზურთან, სხვაობას მხოლოდ ფონეტიური ცვლილებები იწვევენ.

საკუთრივ აფხაზური წარმოშობის ლექსიკის ერთი ნაწილი კანონ-ზომიერ ბგერათმესატყვისობათა საფუძველზე ავლენს მატერიალურ ერთობას როგორც ადილურ-ჩერქეზულ და უბიხურ ენათა შესაბამის მასალასთან, ისე ქართველურ, ნახურ (ჩეჩნურ-ინგუშურ) და დაღესტნის ენებთან. მაგალითად, საერთო აფხაზურ-ჩერქეზული ლექსიკის კუთვნილებათა სიტყვები: **ca-pa** „მე“ (შდრ. აბაზ. **სა**-რა „მე“, ადილ.-ყაბ. **სწ** „მე“, უბიხ. **სგ**-ღა „მე“), **ya-pa** „შენ“ (შდრ. იმავე მნიშვნელობის აბაზ. **ჟა**-რა, ადილ.-ყაბარდ. **ჟჷ**, უბიხ. **ჟგ**-ღა), **шаа-pa** „თქვენ“ (შდრ. იმავე მნიშვნელობის აბაზ. **შა**რა, ადილ. **სა**, ყაბარდ. **ძჷ**, უბიხ. **სა**, იგ-ღა, აგრეთვე ბზიფური დიალექტის **სა**, ია-რა), **иа-pa** „ის“ (შდრ. აბაზ. **ია**-რა, ადილ.-ყაბარდ. ***იჷ** სიტყვებში **ია**-ზ||**ია**-ზგ „თვით, თვითონ“, უბიხ. ***ია** სიტყვაში **იგ**-ნა „ეს“), **а-на||ды-ца** „ორი“ (შდრ. აბაზ. **ჰი**-ბა||**ჰიგ**-ჯ, ადილ. **ტჟგ**, ყაბარდ. **ტჟჟ**, უბიხ. **ტჟიჷ**), **тшъ-на** „ოთხი“ (აბაზ. **ფშ**-ბა, ადილ.-ყაბარდ. **პლ**გ, უბიხ. **პლგ**), **хә-на** „ხუთი“ (აბაზ. **ხი**-ბა, ადილ. **თფგ**, ყაბარდ. **თხ**იგ, უბიხ. **შხგ**), **а-нз** „ენა“ (აბაზ. **ბზგ**, ადილ.-ყაბარდ. **ბზ**, უბიხ. **ბზ**ნ „ენა“), **а-шьа-пы** „ფეხი“ (აბაზ. **შა**-პგ, ადილ.-ყაბარდ. **ლ**ნ, უბიხ. **ლ**ნ „ფეხი“), **а-шьа** „სისხლი“ (აბაზ. **შა**, ადილ.-ყაბარდ. **ლ**გ, უბიხ. **ლ**ნ „სისხლი“), **а-ла-са** „მატყლი“ (ბზიფ. **ლა**-**სა**) (შდრ. აბაზ. **ლა**-**სა** „მატყლი“, ადილ.-ყაბარდ. **ცგ** „მატყლი, თმა“, უბიხ. **ღნ**-**სჟგ** „მატყლი“), **ан** „ღედა“ (აბაზ. **ანგ**, ადილ. **ნგ**, ყაბარდ. **ან**ნ, უბიხ. **ნ**ნ „ღედა“), **а-маха** „სიძე“ (აბაზ. **მჰიგ**, ადილ. **მახი**ლნ, ყაბარდ. **მალ**ნნ, უბიხ. **მგნგ** „სიძე“), **а-мш** „ღღე“ (აბაზ. **მშგ**, ადილ. **მა**ძჷ, ყაბარდ. **მან**იან, უბიხ. **მგს**, იან „ღღე“), **а-лахаа** „ყვავი“ (აბაზ. **ლა**ჰია „ჭილყვავი“, ადილ. **თჰარ**კიან, ყაბარდ. **თჰარგჟიან**, უბიხ. **ღან**იან „მტრედი“) და სხვ. სამწუხაროდ, საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძეები მცირე რაოდენობით არის გამოვლენილი. ამგვარ ფუძეთა ყველაზე მკაფიო მაგალითია გულის აღმნიშვნელი ლექსემები: ქართ. **გული**-ი, აფხ. **ა-გიგ**, აბაზ. **გიგ**, ადილ.-ყაბარდ. **გიგ**, უბიხ. **გ**გ, ჩეჩნ. **ღჟოგ**, და-

ლესტინის ენათა *რაკუ. ასეთივე ზოგადკავკასიურ ფუძეებად მიიჩნევა აგრეთვე:

აფხაზ.-ადილ.	ქართველ.	ნახურ-დალესტნ.
*ფსა	*სულ	*სტა „სული“,
*დალტ(ა)	*დაყვ	*რალტ „იდაყვი“
*ც(ა) „კბილი“	*ცალ „ცალი“	*ცა „ერთი“
*ჰტ(ა) „ძალი“	*ხვად- „ხვადი“	*ხტარ „ძალი“
*ცგლტ(ა) „თაგვი“	*ციყვ- „ციყვი“	*ცილუ „თრითინა“
*ჟტ(ა)	*ლორ-	*ჟტარ „ლორი“ და

სხვანი.

აფხაზურ ენაში სხვადასხვა ეპოქაში მკვიდრდებოდა ნასესხები ლექსიკაც იმ ერთა ენებიდან, რომლებთანაც აფხაზებს დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ მჭიდრო კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა. ამ მიზეზით არის განპირობებული აფხაზურში ჩერქეზული, ქართველური, თურქული, რუსული და ზოგი სხვა ენიდან შესული ლექსიკის საკმაოდ დიდი ფენის არსებობა. ბუნებრივია, სესხების დროს ხდებოდა და ხდება ნასესხები სიტყვების ფონეტიკური ადაპტაცია და ზოგჯერ ლექსიკური მნიშვნელობის ცვლაც (გაფართოება ან დავიწროება). მაგალითად, ადიღეურ-ყაბარდოული (ჩერქეზული) წარმოშობისაა ლექსემები: а-кәлпәд „წინდა“, а-кәьнз „აღათი, ჩვეულება“, Чыдла ფუძე სიტყვებში Чыдла-ду „იანვარი“, Чыдла-хәьчы „თებერვალი“, а-кәькәа „ულაყი“, кәит ფუძე სიტყვებში а-ха-кәит-ра „თავისუფლება“ და ა. შ. თურქული ენის მეშვეობით არის ნასესხები არამართო საკუთრივ თურქული წარმოშობის, არამედ არაბული და სპარსული სიტყვებიც. ამ ჯგუფს განეკუთვნება ლექსემები: ацьал „ბედისწერა“, а-татын „თამბაქო“, а-дашьма „იატაკი“, ачуха „მაული“, а-кәьф „ქეიფი“, а-баһәаза „ნავმისადგომი“, ахәацьа „ხოჯა“, цъанат „სამოთხე“, цьаханым „ჯოჯოხეთი, ჯანდაბა“, а-хазына „ძვირფასი“, а-хатыр „ხათრი,

პატივისცემა“, **а-туцъар** „ვაჭარი“ და ა. შ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ლექსიკა ისესხა აფხაზურმა ბოლო 150 წლის მანძილზე რუსული ენის მეშვეობით. ესენია: **а-закан** „კანონი“, **а-наука** „მეცნიერება“, **афицар** „ოფიცერი“, **а-стол** „მაგიდა“, **а-машына** „მანქანა“, **а-занаат** „ხელობა, პროფესია“, **а-област** „ოლქი“, **а-вожд** „ბელადი“, **а-гигиена** „ჰიგიენა“, **а-крал** „მეფე“, **а-падеж** „ბრუნვა“ და ა. შ. ქართველური ენა-კილოვებიდან აფხაზურში დიდი რაოდენობით არის ნასესხები სიტყვები. სვანური ლექსიკა ამ ენაში ამჟამად არ შეინიშნება, თუმცა კი მოსალოდნელია, რომ იგი უნდა ყოფილიყო ძველ აფხაზურში. ქართული სალიტერატურო ენიდან აფხაზურში ნასესხებია ძირითადად რელიგიურ-ქრისტიანული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების ამსახველი, მართვის, კულტურისა და განათლების, ფლორისა და ფაუნის, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქმიანობის ტერმინები. უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი მეგრული დიალექტიდან ნასესხები ლექსიკა, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს გარდა ნაცვალსახელებისა, რიცხვითი სახელებისა და თანდებულებისა. საყურადღებოა, რომ მეგრულიდან ნასესხებია არამარტო საკუთრივ მეგრული ფორმები, არამედ მეგრელიზებული სალიტერატურო ქართულის, აგრეთვე ბერძნული, აღმოსავლური და სხვა წარმოშობის სიტყვები. მათი ერთი ნაწილი აფხაზურში დამკვიდრებული ჩანს სუბსტრატული ფენის სახით. ზოგ შემთხვევაში ქართველიზმები საშუალებას იძლევიან, დაზუსტდეს აფხაზი ხალხის ისტორიის საკვანძო საკითხებიც კი. მაგალითად, ქრისტიანული რელიგიური ტერმინების უდიდესი ნაწილი აფხაზურში ან ქართველური წარმოშობისაა (**а-сакәмал** „საკმეველი“, **а-цъар** „ჯვარი“, **а-галаба** „გალობა“, **а-зареба** „ზიარება“, **Гьаргәаба** „გიორგობა“, **Кәыркәа** „იენისი, კვირიკობისთვე“, **а-уахәама** „ეკლესია“, **а-цкаркәытхиа** „წყალკურთხევა, ნათლისღება“, **а-натра** „ნათვლა“...), ანდა თვით ქართველურ ნიადაგზე არის სხვა ენიდან სესხების შემდეგ სა-

ბეცვლილი ფონეტიკის თუ სემანტიკის მხრივ (ანაზარ „ანაფორა“, აკყალანტარ „კელაბტარი“, А-мқамғариа „მიქელ-გაბრიელი“, რომელიც აფხაზურში ნიშნავს “პირუტყვის მფარველ ღვთაებას...”). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბერძნული წარმოშობის ან ბერძნულის გზით მომდინარე სხვაენოვანი (ებრაული) რელიგიური ტერმინები აფხაზურს მთლიანად უსესხებია არა უშუალოდ ბერძნულისაგან, არამედ ქართულ-მეგრული ფორმით (Гьаргәаба, кәыркәа, аназар, акыалантар, Амқамғариа...), რაც იმისი მანიშნებელია, რომ აფხაზთა წინაპრებს ქრისტიანობა სწორედ უშუალოდ ქართველთაგან მიუღიათ. ისტორიული თვალსაზრისით (კერძოდ, აფხაზთა წინაპრების თავდაპირველი სამშობლოს დასადგენად) ფასეულია ისიც, რომ აფხაზურში თევზის სარეწაო ჯიშების აღმნიშვნელ ტერმინთა დიდი ნაწილიც ქართველურია (а-жәынтхь „ზუთხი“, а-шәиақь „კამბალა“ (ზედმიწევნით: „ბრტყელი სვია“), а-калмақа „კალმახი“, а-уалағәыр||а-млағәыр „ორაგული“, а-тоһ-ра „ტოფობა“...), იგივე ვითარებაა ჭაობიანი და ბარის ლანდშაფტის ამსახველ, მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების ტერმინოლოგიაშიც და ა. შ.

2. ნეოლოგიზმები. აფხაზური ენის ლექსიკური მარაგის შევსება-განახლება ხდება არამარტო სესხების გზით, არამედ ახალ სიტყვათა (ნეოლოგიზმების) ჩამოყალიბების გზითაც და ამ დროს ფართოდ გამოიყენება სხვა ენის, კერძოდ, რუსულის სიტყვა-ფორმათა კალკირება. ნეოლოგიზმების მისაღებად გამოიყენება აფიქსური სიტყვაწარმოებაც და კომპოზიციაც (ფუძეთა შეერთებაც), ზოგჯერ კი ორივე ხერხი ერთდროულად იხმარება. სიტყვათმაწარმოებელ აფიქსთაგან ნეოლოგიზმებში ყველაზე ხშირად გამოიყენება **-ра, -ды, -га, -рҭа||-тра, -мҭа, -дара, -тәра, -рқра** სუფიქსები. ამ აფიქსებით ნაწარმოები ნეოლოგიზმებია: аҭеидсалара „შეპირაპირება“, аидырҭәалара „შედუღება“, ацәырғақәцара „გამოფენა“, ахьзыншьалара „მიძღვნა“...; амашьынань-

ჰაჰაჰა „მძღოლი“, „მემანქანე“, აშაჰარემონტკაჰაჰა „ფეხსაცმლის შე-
 მკეთებელი“, აჰალაჰყრგყლაჰა „ქალაქმშენებელი“, ამხაარყჰა „მემინ-
 დვრე“...; ათელერბაჰა „ტელევიზორი“, არხყაშაჰა „მაცივარი“, ანეფტ-
 მჰანგაჰა „ნავთობსადენი“, ა(ჰყჰყრ)შაჰაჰა „მინდობილობა, მოწმობა“,
 აჰაშაჰა „საზომი, საწყაო“...; აყრფარჰა „სასადილო“, ასასააირჰა „სა-
 სტუმრო“, აჩაირჰა „ჩაის პლანტაცია“, აყსჰარჰა|აყსბარჰა „სამმართვე-
 ლო“...; აყსუმჰა „ნაშრომი“, აჰაჰამჰა „ნაკეთობა“, ანაჰყმჰა „ხელნაწე-
 რი“, ალაგალამჰა „შენატანი, წვლილი“...; აჰაჰანდარა „უწონადობა“,
 აჰაჰანყრადარა „უგრძობლობა“, აჰყჰყყდარა „უმიზნობა“, აშაჰარჰადარა
 „უშიშროება“...; აფყმჰაჰა „ელექტრიფიკაცია“, აბჰყარდარა „განი-
 რადება“, აშაჰარჰადარა „გაუგებლება“, აჰყსაბარაჰა „გაბუნებრივე-
 ბა“...; აშაჰარჰაჰა „დაარსება, საფუძვლის ჩაყრა“, აზეიჰყყყრჰა „განზო-
 გადება“, ამყყყრჰა „განპირობება, მოტივირება“, აჰაარჰა „გაყინვა“ და
 მრ. სხვანი. კომპოზიციური წარმოებისას მეტ-ნაკლები სიხშირით იხმა-
 რება ფუძეები: ა-ყაჰა „ადამიანი“, ა-ჰყჰყა „რალაცის წინ“, ა-ფყმჰა
 „ელექტროდენი“, ა-ჰაჰა „თავისი, პირადი“, ა-ზეიჰყ „ზოგადი, საერთო,
 საზოგადო“, ა-ბჰა „ნახევარი“, ა-ბჰყარაჰა „შორისი, შუისა“, ჰეგყჰაი „სა-
 ყოველთაო“ და სხვანი. მაგალითად: ამყყნუაჰა „მეზღვაური“
 („ზღვა+ადამიანი“), აჰარაყაჰა „მეცნიერი“ („სწავლა+ადამიანი“),
 ამაჰარაყაჰა „მოსამსახურე“ („სამსახური+ადამიანი“), ადჰაჰაყაჰა „მე-
 ყამირე, ყამირელი“ („ყამირი+ადამიანი“)..., აჰყჰყაბარა „წინასწარგან-
 ჰვრეტა“ („წინ+ხედვა“), აჰყჰყაჰყლყყყჰა „წანამძღვარი“ („წინ+წარმო-
 ჰმნა“), აჰყჰყაჰაყრყჰა „წინაისტორია“ („წინა+ისტორია“)...; აფყმჰა-
 ჰაჰარა „ელექტროგანათება“ („ელდენი+სინათლე“), აფყმჰაჰანჰა
 „ელსადგური“ („დენი+სადგური“), აფყმჰამჰაჰარა „ელექტროენერჯია“
 („დენი+ძალა“)...; აჰაჰაჰაჰყჰარაჰა „ნებაყოფლობითი“ („პირადი+მოწო-
 ნებისა“), აჰაჰაჰყა „თვითღირებულება“ („თავისი+ფასი“), აჰაჰაყმჰა
 „თვითმპყრობელობა“ („თავისი+ძალაუფლება“), აჰაჰაყსბარა „თვითმმარ-

თველობა“ („თავისი+საქმე+ხედვა“)...; азеиѣшмилатѣ „ზოგადეროვნული“ („საერთო+ეროვნებისა“), азеиѣшжәлартә „საერთო-სახალხო“ („საერთო+ხალხისა“), азеиѣшуадытәыдсатә „ზოგადსაკაცობრიო“ („საერთო+საადამიანო“)...; ахьчаѡджа „ნახევარმცველი“ („დარაჯი+ნახევარი“), ацәхәырабжа „ნახევარუღაბნო“ („უღაბნო+ნახევარი“), адхәалабжа „ნახევარდმისაბმელი“ („მიბმული+ნახევარი“)...; адунеижәларбжьаратә „საერთაშორისო“ („სამყარო+ხალხი+შუისა, საშუალო“), аихәабырабжьаратә „სამთავრობათშორისო“ („მთავრობა, უფროსობა+შუისა, საშუალო“), ақалақьнбжьаратә „საქალაქთაშორისო“ („ქალაქი+შუისა, საშუალო“)...; Қырттәылазегьтәи „სრულიად საქართველოსი“, Аѣснызегьтәи „სრულიად აფხაზეთისა“, жәларызегьтәи „საერთო-სახალხო“...

3. ხატოვანი სიტყვა-თქმები. აფხაზურ ლექსიკაში დიდ ჯგუფს ქმნიან ხატოვანი სიტყვა-თქმები: კომპოზიტებად ქცეული შესიტყვებანი, იდიომატური და ფრაზეოლოგიური გამონათქვამები. მაგალითად, სინტაქსური წყვილი (მსაზღვრელ-საზღვრული) მყარ გამონათქვამად არის ქცეული, ამასთანავე წყვილის წევრებს შეძენილი აქვთ გადატანითი მნიშვნელობა და კომპოზიტს წარმოადგენს შემდეგ მაგალითებში: анду „ბაბუა, პაპა“ („დიდი მამა“), анду „ბებია, დიდდეა“ („დიდი დედა“), ахәшьаду „მამიდა“ („დიდი და“), абхәа „სიმამრი, მამამთილი“ („ირიბი მამა“), анхәа „სიდდრი, დედამთილი“ („ირიბი დედა“), абгарымц „ციცინათელა“ („მგლების ბუზი“), агәыжәпа „გულქვა; სქელკანიანი, უსინდისო“ („გულსქელი“), ажәинраала „ლექსი“ („ერთმანეთთან შეხამებული სიტყვა,“) ажәпә „სიბერეში შეძენილი ვაჟი“ („სიბერის ვაჟი“), ажәпхәа „სიბერეში შეძენილი ასული“ („სიბერის ასული“), анапеймдахьа „საქორწინო ნიშანი“ („ერთმანეთის ხელში გადაცემული“), абгахәычы „მელია“ („პატარა მგელი“), абзиабара „სიყვარული“ („კარგად დანახვა“), абнацә „ხარირემი“ („ტყის ხარი“), агәабзиара

„განმრთელობა“ („გულის სიკარგე“), აგәзыбылра „გულშემატკივრობა“ („მასზე გულის წვა“), агәаьхара „მოწონება“ („გულის სითბო“), агәарабжьара „ორლობე“ („ლობეს შუა“), агәашә „ჭიშკარი“ („გულის, შუა კარი“), агәкахара „გულგატეხილობა“ („გულის დაცემა, დავარდნა“), агәыпжьәара „გაბრაზება, გაცეცხლება“ („გულის გახეთქა“), агәымтәа „მოუსვენარი“ („დაუჯდომელი გული“), ажәтыс „მერცხალი“ („ძროხის ჩიტი“), азрыжәра „წრთობა (რკინისა)“ („წყლის დაღვეინება“), азґатәа „გუბე“ („შიგ ჩამჯდარი წყალი“), алахьынґа „იღბალი, ბედისწერა“ („შუბლზე დაწერილი“), алуґмґал „დიდი ზომის მჭადი“ („ლოლაბმჭადი“), амґырбнґы „ანწლი“ („ბუზების ფოთოლი“), амшәпштыла „მურა, რუხი“ („დათვის ფერი“), анапынґа „დავალება“ („ხელზე დაწერილი“), анґәахәы „ღვთაება“ („ღვთის წილი“), анґәартыс „ბულბული“ („ღმერთების ჩიტი“), аныхафара „ტყუილზე დაფიცება, ტყუილი ფიცი“ („ხატის ჭამა“), апґсымтә „გაუმადლარი, მსუნაგი; ხარბი“ („აუხვებელი სული“) და მრავალი სხვა.

ნამდვილ ფრაზეოლოგიზმებს განეკუთვნება გამონათქვამები: иан ихәы икит „ძალზე ძვირი დაათასა“ („მამამისის ფასი დაადო“), иан азы дагахьейт||дашьхьейт „უსუფთაოა, დაბანა არ უყვარს“ („მამამისი წყალმა წაიღო||მოკლა“), иаґәра иґыґит „თავს გაუვიდა, აიშვა, ლაგამი წაიყარა“ („აღვირი პირიდან გამოუვარდა“), иажәра шкәәкәоуп „ბედნიერი სიბერე აქვს“ („მისი სიბერე თეთრია“), иеиқәә ишьихит „უხეშად თქვა, უწმაწურად შეიგინა“ („შარვალი ჩაიხადა“), иан лыхш иґырхит „გააწამეს, შავი დღე აყარეს“ („ღედის რძე ამოუღეს პირიდან“), иарнґაжәәа дықәиейт „მოისვენა, ამოისუნთქა, გულზე მოეშვა, მიზანს მიაღწია“ („მარჯვენა მხარზე წამოწვა“), ах, ипґсы ибґроуп „მხდალია, მშიშარაა“ („ბატონის სული უღვას“), аәґтаа дирґәырнґоит „ცოდვას ჩადის, ცუდად იქცევა“ („ემშაკს ახარებს“), абаа хижәом „სუსტია, უძლურია, უნდილია“ („ციხეს ვერ დაანგრევს“), абат

დაფიზოუპ „ზანტია, მშვიდია, აუღლევებელია; ბრიყვია“ („ზაქს ჰგავს“),
აენიшыыбжъон абга дақәтәоуп „მისი ნდობა არ შეიძლება, სანდო არ
არის, ვერავია“ („შუადღისას მგელზე ზის“), абга ипһылт „გაუმართლა,
კოჭი აღიზუზე დაუჯდა, ბედმა გაუღიმა“ („მგელი შეხვდა“), ибһа
пцәоуп „ზარმაცია, უქნარაა, წელმოწყვეტილია“ („წელი გაწყვეტილი
აქვს“), быстапһа ифәрцом „გასაქანს არ აძლევენ, ცხოვრებას ურთუ-
ლებენ“ („თბილ ღომს არ აჭმევენ“), иғәацәа жәпоуп „უბეში ქცევა
აქვს; ბრიყვია, მოუფიქრებელია“ („მისი თირკმელი სქელია“), иғәыһра
цығәтыхәахеит „იმედი გაუმტყუნდა, იმედი გაუცრუვდა, მოტყუვდა“
(„მისი იმედი კატის კუდად იქცა“), иғәы хтит „მადაზე მოვიდა, მადა
აღედრა, ჭამა მოუნდა“ („გული გაეხსნა“), иғәы тһаауп „გულკეთილია“
(„მისი გული ფართოა“), даыпһсшәак иеихәоит „გულსგარეთ ესაღმება,
ზრდილობის გამო ესაღმება“ („მინდვრის აფხაზურს ეუბნება“), ажһа
шкәакәа ипһылеит „არ გაუმართლა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“
(„თეთრი კურდღელი შეხვდა“), ижә атыша итәхәзшәа дғылоуп „არ
იციხ, რა ქნას; დაბნეულია; საცოდავად დგას“ („ისე დგას, თითქოს
ძროხა ხრამში ჩაუვარდა“), ижәла лағаны ифеит „საგვარეულო შეარ-
ცხვინა, გვარს თავი მოსჭრა“ („თავისი თესლი, გვარი, ჯიში დაფქვა და
შეჭამა“), лқалт цәғыоуп „ფეხსუსტი ქალია, მსუბუქი ყოფაქცევის ქა-
ლია“ („მისი კალთა ცუდია“), укәа дтоуцап „უწყინარი ადამიანია“
(„უბეში ჩაისვამ“), камчәыла еибәдырбн „სანაქებო ქალიშვილი ან
ქალი“ („მასზე მათრახის ტარით ანიშნებენ ერთმანეთს“), сыпһсы тихит
„გამაწამა, სული ამომხადა“ („სული ამომხადა“), аублаа рныха
дафызоуп „მასთან ფრთხილად უნდა იყო; კაცმა არ იციხ, რა შარს
მოგდებს“ („უბიხების ხატს ჰგავს“), ахыыз игеит „სახელი გაითქვა“
(„სახელი წაიღო“), цәала дцәажәоит „გულწრფელად არ ლაპარაკობს“
(„კანით ლაპარაკობს“), ачеицһыка даһрағылеит „მასპინძლის მიმართ
უმადღურობა გამოიჩინა, პურმარილს წიხლი აუკრა“ („პურმარილზე და-

აბიჯა“), аеада дақәтәеит „თავი შეირცხვინა, თავი მოიჭრა“ („ვირზე შეჯდა“), ашьха ифеит „მთაში დაისვენა“ („მთა შექამა“) და მრავალი სხვა.

თავი IV. ს ი ნ ტ ა ქ ს ი

1. წინადადება შინაარსის მიხედვით. ქართულის მსგავსად აფხაზური წინადადებაც შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ბრძანებითი.

თხრობითი წინადადება ამბის გადმოცემისას ადასტურებს ან უარყოფს ფაქტს. აფხაზური თხრობითი წინადადების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მასში აუცილებლად უნდა იყოს თუნდაც ერთი ფინიტური წარმოების ზმნა, რათა წინადადებას დასრულებული სახე ჰქონდეს. მაგალითად:

алыгажә ичкәынцәа иыманы ныкәара дцеит „ბერიკაცი ვაჟიშვილებითურთ სამოგზაუროდ წავიდა“;

аешьцәа анс карцеит, ас карцеит, аха царта уаха рмоуит „ძმები ასე მოიქცნენ, ისე მოიქცნენ, მაგრამ წასასვლელი გზა ვეღარ იპოვეს“.

კითხვითი წინადადება თავისი სტრუქტურით შეიძლება სრულიც იყოს და უსრულიც. თუ იგი უსრულია, მაშინ წინადადებაში ფინიტური წარმოების ზმნათა რაოდენობას ინფინიტური წარმოების ზმნათა რიცხვი ერთით მაინც აჭარბებს. კითხვა იშვიათად შეიძლება მხოლოდ ინტონაციით გამოიხატოს, მაგრამ უფრო გავრცელებულია კითხვითსიტყვიანი ან კითხვითფორმიანი ზმნის შემცველი კითხვითი წინადადებები (იხ. ზემოთ). მაგალითად:

уаб дабакоу? аусура дцама? „მამაშენი სად არის? სამუშაოდ წავიდა?“

ицсоумхәеи, схылпӡа сцәызит-хәа? „რატომ არ მითხარი, ქული

დავკარგეო?“

ძახილის წინადადება გამოხატავს გაოცებას, აღტაცებას, ნატვრას, მწუხარებას, ზიზღს, დანანებას. ძახილის წინადადებაში ხშირად გამოიყენება ნაწილაკები, ზმნის როგორც თხრობითი, ისე ნატვრითი და კითხვითი ფორმები (კითხვის ინტონაციის გარეშე). მაგალითად:

х,аи, шыыри, сыканда сқытґа гґакыаф! „ეჰ, ნეტავი მამყოფა ჩემს მშობლიურ სოფელში!“

унан, ари избозеи?! „ვაიმე, ამას რას ვხედავ?!“...

ბრძანებითი წინადადება ბრძანების ან მოწოდების გამომხატველია და მასში ზმნა-შემასმენელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ბრძანებითი კილოს დადებითი ან უარყოფითი ფორმით, ან კიდევ კონიუნქტივის სახით. მაგალითად:

устьырц нак, уара ахґымга! „მომწყდი აქედან, შე უვარგისო!“

арахь имааиааит удызцаа! „აქ ნუ მოვლენ (დაე ნუ მოსულან) შენი ამხანაგები!“...

2. წინადადების წევრები. აფხაზურში წინადადების წევრებად არ გამოდის ნაწილაკი, თანდებული, ზოგი კავშირ-ნაწილაკი და შორისდებული. წინადადების მთავარი წევრებია შემასმენელი, ქვემდებარე და დამატება-ობიექტები (პირდაპირი და ირიბი), ხოლო წინადადების არამთავარი წევრებია უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოება.

აფხაზური წინადადების ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი და წინადადების ღერძია **შემასმენელი**, რომელიც ზმნით გადმოიცემა. ზმნის ფორმაში პირისა და კლასის ნიშნების განლაგება ასახავს წინადადების მთავარ წევრთა ურთიერთობას, რითაც ნაწილობრივ ხდება ენაში სახელთა ბრუნების უქონლობის კომპენსირება. ზოგჯერ მარტივი წინადადება მხოლოდ შემასმენლითაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი. მაგალითად: мґышан „კვირადღე იყო“, пхнуп „ზაფხულია“... ცალკეულ შემთხვევებში (ძირითადად ანდაზებსა და გამოცანებში) წინადადებაში

შემასმენელი შეიძლება სულაც არ იყოს წარმოდგენილი. მაგალითად: мам-гәыду — сыда шыапрах,а „არასმქონე გულდიდი უცხენოდ ფეხგაწვდილი [არის]“.

ქვემდებარის როლში ჩვეულებრივ გამოიყენება არსებითი სახელი, ნაცვალსახელი ან გაარსებითებული სხვა მეტყველების ნაწილი. ხშირად წინადადებაში ქვემდებარე არ არის, მაგრამ მისი პირი და კლასი ზმნაში აუცილებლად იქნება გამოხატული. მაგალითად:

уара убзиаразы даара сгәырһьоит „ძალიან მიხარია (მახარებს) შენი სიკეთე“.

ზმნის პირდაპირ და ირიბ ობიექტებს შეესაბამება **პირდაპირი და ირიბი დამატებები**, რომელთა როლში გამოდის არსებითი სახელი, ნაცვალსახელი და გაარსებითებული მეტყველების ნაწილები. პირდაპირი და ირიბი ობიექტების პირი და კლასი აღინიშნება შესაბამისი პრეფიქსებით, მაგრამ თუ ზმნური ფორმის დასაწყისში მდგომი პირდაპირი ან ირიბი ობიექტის კლასოვან-პიროვანი პრეფიქსი უშუალოდ მოსდევს შესაბამის პირდაპირ ან ირიბ დამატებას, მაშინ ზოგჯერ ეს ნიშნები ჩამოსცილდება (იხ. ზემოთ). მაგალითად:

сара ацәа (и-)сымоуп „მე ვაშლი მაქვს“;

саб ацәа (и-)сзааигеит „მამაჩემმა ვაშლი მომიტანა“.

განსაზღვრება გადმოიცემა ზედსართავი სახელით ან მასთან სემანტიკით ახლომდგომი სხვა მეტყველების ნაწილით. წინადადებაში თვისების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელით გადმოცემულ განსაზღვრებას ჩვეულებრივ წინ უძღვის საზღვრული სიტყვა, ხოლო არსებითი სახელით გადმოცემულ განსაზღვრებას მოსდევს საზღვრული სიტყვა. მაგალითად:

Амшын Еикәа „შავი ზღვა“, адын ду „დიდი სახლი“, ацкы һышза „ლამაზი კაბა“...

ахьтәи мацәаз „ოქროს ბეჭელი“, ахах,әтә гәара „ქვის ლობე“,

аразынтә мақа „ვერცხლის ქამარი“...

გარემოება შეიძლება იყოს ადგილისა, დროისა, მიზნისა, მიზეზისა, ვითარებისა. გარემოების როლს ძირითადად ზმნისართი ან მასთან შინაარსით გათანაბრებული მეტყველების ნაწილი ასრულებს.

3. სინტაქსური ურთიერთობა შესიტყვების წევრთა შორის.

წინადადების წევრები გარკვეული წესით უკავშირდებიან ერთმანეთს და ქმნიან შესიტყვებებს (წყვილებს), რომლებშიც ერთი წევრი „გაბატონებულია“, მთავარია, მეორე — მასზე დამოკიდებული. ამის გამო აფხაზურ ენაში შესიტყვებად არ მიიჩნევა თანასწორუფლებიან სიტყვათა ისეთი წყვილები, რომლებიც მაკავშირებელ **-и** სუფიქსს დაირთავენ და ქართულ „და“ კავშირიან ან უმისო ერთეულებს შეესაბამებიან: **ანი აბი** „დედა და მამა, დედ-მამა“, **хацеи ӏхӏаыси** „ქმარი და ცოლი, ცოლ-ქმარი“, **аӏхӏаеи аӏхӏаеи** „სიმამრი და სიდედრი, მამამთილი და დედამთილი“... ასევე შესიტყვებად ვერ ჩაითვლება რთული სიტყვები (კომპოზიტები): **ашӏӏӏаыдыра** „მწერლობა, წიგნწერა“, **аӏрагыӏара** „აღმოსავლეთი, მზის ამოსასვლელი (ადგილი)“... აფხაზური შესიტყვების წევრთა შორის შეიძლება არსებობდეს სინტაქსური ურთიერთობის შემდეგი სახეობები: **შეთანხმება, მირთვა და სიტყვათა რიგი**. ამ ენას არ ახასიათებს არც მართვა და არც კოორდინაცია.

შეთანხმება ხდება სახელებს შორის, ან სახელსა და ზმნას შორის კლასში, პირსა და რიცხვში. შესაბამისად არის შეთანხმების ორი სახეობა: 1. სახელი ითანხმებს ზმნას კლასში და აჩენს მასში სათანადო გრამატიკული კლასის ნიშანს: **уара у-хӏмаруеит** „შენ (მამაკ.) თამაშობ“, **бара бы-хӏмаруеит** „შენ (ქ.) თამაშობ“, **иара||ӏара ды-хӏмаруеит** „იგი (აღამ.) თამაშობს, **иара и-хӏмаруеит** „იგი (არაგონ.) თამაშობს“... სახელი ითანხმებს სახელს კლასში კუთვნილების გამობატვისას და ამ დროს **л-**ს რიგის ნაცვალსახელური პრეფიქსები დაერთვის მკუთვნილის აღმნიშვნელ სიტყვას: **уара у-шӏжӏы** „შენი (მამაკ.) წიგნი“, **бара**

ბ-**შ**აკაყ „შენი (ქ.) წიგნი“, იარა **ი**-**შ**აკაყ „მისი (მამაკ.) წიგნი“, ლარა **ლ**-**შ**აკაყ „მისი (ქ.) წიგნი“, იარა (**ა**-)**შ**აკაყ „მისი (არაგონ.) წიგნი“... შეთანხმების ამ სახეობაში კლასის მიხედვით შეთანხმებასთან ერთად ხდება შეთანხმება პირის კატეგორიაშიც. კლასში შეთანხმება არ ხდება მხოლოდითი რიცხვის პირველ და მრავლობითი რიცხვის სამსავე პირში, აქ მხოლოდ პირების მიხედვით შეთანხმება გვაქვს: სარა **ს**-**ა**მარუეიტ „მე ვთამაშობ“, ხარა **ხ**,**ა**-**ა**მარუეიტ „ჩვენ ვთამაშობთ“, შარა **შ**,**ა**-**ა**მარუეიტ „თქვენ თამაშობთ“, დარა (**ი**-)**ა**მარუეიტ „ისინი თამაშობენ“... სარა **ს**-**ა**მარუეიტ „ჩემი წიგნი“, ხარა **ხ**,**ა**-**ა**მარუეიტ „ჩვენი წიგნი“, შარა **შ**,**ა**-**ა**მარუეიტ „თქვენი წიგნი“, დარა **რ**-**ა**მარუეიტ „მათი წიგნი“... 2. სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში, თუ სახელი სუბიექტი ან ობიექტია: სარა **ს**-**ც**ოიტ „მე მივდივარ“ — ხარა **ხ**-**ც**ოიტ „ჩვენ მივდივართ“, იარა **ი**-**ც**ოიტ „მე მივდივარ“ — შარა **შ**-**ც**ოიტ „თქვენ მივდივართ“, იარა||ლარა **დ**-**ც**ოიტ, იარა (**ი**-)**ც**ოიტ „ის მიდის“ — დარა (**ი**-)**ც**ოიტ „ისინი მიდის“... **ს**-**ა**-**ი**ხუეიტ **ა**შაკაყ „გვითხულობ წიგნს“ — **ს**-**რ**-**ა**-**ი**ხუეიტ **ა**შაკაყ-**კ**,**ა** „გვითხულობ წიგნებს“... რიცხვში შეთანხმება ხდება სახელებს შორისაც (არა ყოველთვის) ატრიბუტულ შესიტყვებაში: **ა**ხაყყ **ა**იიიგ **ა** „ცელქი ბავშვი“ — **ა**ხაყყ-**კ**,**ა** **ა**იიიგ-**კ**,**ა** „ცელქი ბავშვები“, **ა**ტაჰ,მადა **კ**აყშ „ბრძენი ბერიკაცი“ — **ა**ტაჰ,მად-**ა** **კ**აყშ-**კ**,**ა** „ბრძენი ბერიკაცები“... აფხაზურში სახელმა შეიძლება შეითანხმოს დამოუკიდებელ სიტყვად წარმოდგენილი თანდებული კლასში, პირსა და რიცხვში ერთდროულად: სარა **ს**-**ყ** „ჩემთან“, იარა **ი**-**ყ** „შენთან (მამაკ.)“, ბარა **ბ**-**ყ** „შენთან (ქ.)“, იარა **ი**-**ყ** „მასთან (მამაკ.)“, ლარა **ლ**-**ყ** „მასთან (ქ.)“, იარა (**ა**-)**ყ** „მასთან (არაგონ.)“, ხარა **ხ**-**ყ** „ჩვენთან“, შარა **შ**-**ყ** „თქვენთან“, დარა **რ**-**ყ** „მათთან“...

მირთვა აფხაზურ შესიტყვებაში ყველაზე მეტად გავრცელებული და ძველი სინტაქსური ურთიერთობის სახეა, რაც გამოწვეულია ამ ენაში ბრუნების სისტემის უქონლობით. ამ დროს სინტაგმის წევრებს

საერთო გრამატიკული კატეგორიები არა აქვთ მორფოლოგიურად გამოხატული. აფხაზურში ერთმანეთს მიერთვის: ა) ზმნა და აფიქსიანი სახელი: шыпы-ла дааит „ფეხით, ქვეითად მოვიდა“...; ბ) ზმნა და უაფიქსო სიტყვა: Гагра дцеит „გაგრაში წავიდა“, анас их,аеит „ასე თქვა“...; გ) ნასახელარი ინფინიტური სტატიკური ზმნა და უაფიქსო სიტყვა: зынза ихаычуп „ძალიან პატარაა“...; დ) არსებითი სახელი და ზედსართავი სახელი: аҟаҭн ышза „ლამაზი გოგონა“, ахьтәи мацәаз „ოქროს ბეჭედი“... მირთვის დროს არსებით სახელს მრავლობითი რიცხვის ნიშანი ხან დაერთვის, ხან — არა: аҩа-цәа аих,аҭа-цәа „უფროსი ვაჟები“ (შეთანხმება), მაგრამ аҟахә ҭзиа-қәа „კარგი ამბები“ (მირთვა)... ზოგ შემთხვევაში ატრიბუტული მსახლვრელის შემცველი შესიტყვება თითქოს ერთ რთულ სიტყვად (კომპოზიტად) გაიგება და პირველ სიტყვას შეიძლება დაერთოს ზოგადობისა და კუთვნილების პრეფიქსები, მეორეს კი მრავლობითი რიცხვის სუფიქსი. შდრ. მაგალითად, ერთი მხრივ — а-жъа шкәакәа “თეთრი კურდღელი“, მეორე მხრივ, а-жъа шкәакәа-қәа „თეთრი კურდღლები“, с-жъа шкәакәа-қәа „ჩემი თეთრი კურდღლები“...

სიტყვათა რიგი აფხაზურ შესიტყვებაში ამ ენის გრამატიკული სტრუქტურის თავისებურების გამო ხშირად მორფოლოგიურ-სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს. სიტყვათა რიგი უფრო მეტად მყარია, იშვიათად — შედარებით თავისუფალი. სიტყვათა რიგის სინტაქსური ფუნქცია ყველაზე საგრძნობია ატრიბუტულ სინტაგმაში, სადაც მსახლვრელის ადგილმდებარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შესიტყველების ნაწილით არის იგი წარმოდგენილი. საერთოდ, ატრიბუტულ სინტაგმაში მსახლვრელის ადგილი ფიქსირებულია და ჭარბობს მისი პრეპოზიცია. ასე, მაგალითად, მსახლვრელი სიტყვა პირველ ადგილას დგას მაშინ, როდესაც: ა) არსებითი სახელით გამოიხატება მკუთვნილი: афырхаца и-ажәа „ვაჟაკის სიტყვა“, ахычы и-хәмарга „ბავშვის სათამაშო“...; ბ) ნაცვალსახელით გამოიხატება მკუთვნილი: сара сы-аны „ჩე-

მი სახლი“, уара у-аыза „შენი ამხანაგი“...; გ) ჩვენებითი ნაცვალსახელის არსებითთან ერთად გამოყენებისას: ари а-шәкәы „ეს წიგნი“, уи а-мхы „ის ყანა“... მაგრამ შებრუნებულია წყობა, როცა არსებით სახელს განსაზღვრავს ზედსართავი სახელი: абыста пха „თბილი ღომი“, азы хышәашә „ცივი წყალი“... მსაზღვრელად გამოყენებული პირველი ოცეულის რაოდენობითი რიცხვითი სახელები ჩვეულებრივ არსებითი სახელის შემდეგ დგანან: атәцақәа хпә „სამი ჭიქა“, ашәкәықәа жәәнә „ათი წიგნი“..., მაგრამ იგივე რიცხვითი სახელები შეიძლება არსებითი სახელის ფუძეს შეერწყას და რთულ სიტყვაში პირველ ადგილას აღმოჩნდეს: х-цәыца-к „სამი ჭიქა“, жәә-шәкәы-к „ათი წიგნი“... არსებითი სახელის წინაც და მომდევნოდაც დაისმის რაოდენობითი რიცხვითი სახელები ოცის ზემოთ და კრებითი რიცხვითი სახელები: аынәажәә кәардә||акәардәқәа аынәажәә „ორმოცი სკამი“, ахды аишыцаә||аишыцаә хыдыкгы „სამივე ძმა“...

წინადადებაში რეალური სუბიექტის აღმნიშვნელი სიტყვა ჩვეულებრივ პირველ ადგილას დგას, მას მოსდევს ირიბი და პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვები, მაშინ როდესაც ზმნაში შეიძლება სათანადო კლასოვან-პიროვანი პრეფიქსები იმავე ან შებრუნებული წყობით იყოს წარმოდგენილი. მაგალითად:



ერთპირიან ზმნასთან: ахәычы д-цәыуоит „ბავშვი ტირის“.

S ობრ. ობრ. S

ორპირიან ზმნასთან: Кама ашәкәы (и-)лы-моуп „კამას წიგნი აქვს“

S ობ. ობ. S

Сасыржәа адау д - и - шыт „სასრიყვამ დევი მოკლა“

S Оиr. Оз. Оз. Оиr. S

სამპირიან ზმნასთან: анду Адгәыр ацәа (и-) и- л - тәит „ბეზიამ ადგურს ვაშლი მისცა“...

4. წინადადება აგებულების მიხედვით. აფხაზურში წინადადება აგებულების მიხედვით ძირითადად მარტივი ან შერწყმულია, ხოლო მაქვემდებარებელ კავშირთა უქონლობის გამო რთული წინადადება ახლალა იწყებს ჩამოყალიბებას და ძალზე განსხვავდება ქართულის რთული წინადადებისაგან. **მარტივი** წინადადება შეიძლება იყოს გაუვრცობელი ან გავრცობილი. გაუვრცობელი მარტივი წინადადების წევრები შეიძლება იყოს: შემასმენელი, ქვემდებარე, დამატება-ობიექტები; გავრცობილ წინადადებაში დამატებით შეიძლება იყოს: უბრალო დამატება, განსაზღვრება, გარემოება. მარტივ წინადადებაში შეიძლება ორი ზმნა გვექონდეს, რომელთაგან ერთი ინფინიტური ფორმით იქნება წარმოდგენილი, მეორე კი — ფინიტური ფორმით. მაგალითად: сиб иеы сақтәаны сцит „მამაჩემის ცხენზე შევჯექი (შევჯექი რა) და წავედი“. ხშირად ქართული ენის რთული წინადადების როლს საგარემოებო ელემენტებიანი ინფინიტური წარმოების ზმნის შემცველი მარტივი წინადადება ასრულებს აფხაზურში. მაგალითად: сахьауаз амѠахәастәѠ азәгы дысѠымлеит „ბილიკზე, რომლითაც მოვდიოდი, არავინ შემხვედრია“. **შერწყმული** წინადადება აფხაზურში ძირითადად ქართულის მსგავსია, მაგრამ ინფინიტური წარმოების ზმნის მეშვეობით იგი ზოგჯერ ოდნავ განსხვავებულ ხასიათს იღებს: ари ахәычы НаѠх,а Кьагәа иеипѠш дхацаѠәѠаны, КәаѠәаниа Абас иеипѠш дыѠказаны, Чацә Чагә иеипѠш длафх,әаѠны, БарганѠыиа Гәыдиса иеипѠш дуаѠдырны дкалааит „ეს ბავშვი ნაფჰა კიაგვას მსგავსად მაგარი ვაჟკაცი, აბას კოლონიას მსგავსად ცხენოსნობის ოსტატი, ჩაგუ ჩაწვბას მსგავსად ენამახვილი, გულისა ბარგანჯიას მსგავსად მცოდნე ადამიანი დამდგარიყოს“ (თარგმანი მიახლოებითია); ари даараза гәырѠьара дууп абри атаацәараѠ

